დამოუკიდებელი და ზეპარტიული

# ასავალ დასავალი

WWW.ASAVALI.COM

2025 წლის 3 - 9 თებერვალი

N 6 1577

ფასი 3 ლარი და 90 თეთრი



20

## ლაზარე ჟორბენაძე:

## ნანახი მაქვს სააკაშვილის სპეცსამსახურების მიერ გადაღებული ფარული კადრები,

21

სადაც მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი ქალი თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში წაწვენილი ჰყავთ... ამავე მდგომარეობაში მყავს ნანახი სხვა ევროპელი ქალიც, რომელიც ხშირად ჩანს ტელევიზორში!

## ელიზბარ ჯაველიძე:



დიდი ხანია, ისე არაფერს გავუხარებივარ, როგორც საქართველოს დელეგაციისა და თეა წულუკიანის გადაწყვე-ტილებამ გამახარა!

2

## ომარ ნიშნიანიძე:



11

ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ, დაახლოებით, ერთ თვეში საქართველოსა და ივანიშვილის წინააღმდეგ დაწესებული ყველანაირი სანქცია გაუქმდება!

## დღეს, 3 თებერვალს,



6

ზურაბ ჟვანიას მკვლელობიდან 20 წელი გავიდა!

ჟვანიას საქმეში ისევ რუხ კარდინალად რჩება სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია

## ოლეგ იაძე:



14

მიხარია, რომ მოველსწარი ბაიდენის უკანასკნელ ამოხრო-ტინებას!

# ლოთრას ძლევენი

5

## თამაზ მოლაშვილი:



10

რატომ არ ამოიღეთ ხმა, როცა სულხან მოლაშვილი ციხეში აწამეს და გურამ შარაძეს შუაგულ თბილისში შუბლში ტყვია დაახალეს?!

## 6-მილიარდიანი ჭიტლაყი ნაცლიბერალი ჭინკებისათვის



8

## იაგო ხვიჩია:



12

ეს ოთხი ოპოზიციური პარტია, რომელიც „ქართული ოცნების“ თამაშს თამაშობს, ან იდიოტია, ანდა — ხელისუფლებასთან გარიგებული!

„ოპოზიციის რაღაც ნაწილი პარლამენტარის ხელფასს უკვე იღებს!“

# სამი თვე მოგვცეს!

3



15

## მისტერ ტრამპ,

მეორე მსოფლიო ომში გაიმარჯვა იმან, ვისი დროშაც რაიხსტაგზე ამაყად აფრიალდა!



აი, რატომ არის სალომე ზურაბიშვილი პირველი მოღალატე ქალი საქართველოს ისტორიაში!




მაკკეინის ინსტიტუტის სტიპენდიატ ზურაბიშვილს მიაჩნია, რომ საქართველო უნდა იყოს ამერიკის „სათამაშო მოედანი“ რუსეთის წინააღმდეგ!

9

# «ჩვენთან ქედმაღლური ლაპარაკი არავის გაუვა!»

***ზვიად გამსახურდიას ეროვნული ხელისუფლების განათლების მინისტრი, აკადემიკოსი ელიზბარ ჯაველიძე აცხადებს, რომ, თუ კოლექტიური ნაცმოძრაობის წევრები — საქართველოს მოღალატეები პარლამენტში შევლენ, კოჰაბიტაცია ისევ გაგრძელდება:***



**„საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელიც პედოფილების, ლესბოსელების, ტრანსგენდერებისა და პედე...სტების** *(ცენზურა ჩვენია. რედ.)* **ჭკუაზე ივლის!“**




## ელიზბარ ჯაველიძე:

## დიდი ხანია, ისე არაფერს გავუხარებივარ, როგორც საქართველოს დელეგაციისა და თეა წულუკიანის გადაწყვეტილებამ გამახარა!



**„ამ აგრესიის მიზეზი არის ის, რაც ირაკლი ღარიბაშვილმა თქვა და მერე ტრამპმა გაიმეორა: ქალი ქალია და კაცი — კაცი!“**



— ჩემი შეფასებით, სალომე ზურაბიშვილი ერთი უზნეო და გარყვნილი დედაკაცია. ამას ერთხმად აღიარებს ყველა, სადაც კი უმუშავია. 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, როცა ეს უზნეო ქალი კენჭს იყრიდა, წერილი დავწერე და ვთქვი, რომ **სალომე ზურაბიშვილს** თვით საფრანგეთშიც კი არ სცემდნენ პატივს, რადგან თავისი შვილის ნათლიასთან **ჟანრი კაშიასთან** ჯერ ბინძური და უწმინდური სარეცელი გაიყო და მერე ცოლად გაჰყვა!

**— სხვათაშორის, საакაშვილმა ვანო ჯავახიშვილთან საუბრისას კიევში ღლაბუცით განაცხადა — სალომე საქართველოში იმიტომ ჩამოვიყვანე, რომ ფრანგული სიყვარული კარგად იცისო!**

— სალომე ზურაბიშვილმა ფრანგული სიყვარულიც კარგად იცის და რუსულიც... ზურაბიშვილი საფრანგეთის სპეცსამსახურების აგენტიც არის და რუსეთის აგენტიც. საუბედუროდ, საქართველოში წარმოჩინდა, როგორც „მოღვაწე“, არადა, სინამდვილეში გონებრივადაც შეზღუდულია. უფრო მეტიც, იგი გამოკვეთილი მოღალატე და უსამშობლო ადამიანია, რომელსაც ეს დამღა კუბოს კარამდე გაჰყვება. ეს ქალი საერთოდ არავინ იყო და არაფერს წარმოადგენდა, მაგრამ ზვიადი რომ დაამხეს და სამშობლოდან განდევნეს, საქართველოს დამაქცევარმა ოპოზიციამ სალომე ზურაბიშვილი წარმოაჩინა, როგორც საქართველოს პირველი პრეზიდენტის წინააღმდეგ გულმხურვალე მებრძოლი. **ამ ხელისუფლებას, ცხადია, მხარს ვუჭერ, მაგრამ ამ უზნეო და გარყვნილი ქალის გაპრეზიდენტება დიდი შეცდომა იყო!**

**— საქართველოს დელეგაციამ ევროსაბჭოს გენერალური ასამბლეა პროტესტის ნიშნად დატოვა!**

— დიდი ხანია, ისე არაფერს გავუხარებივარ, როგორც საქართველოს დელეგაციისა და **თეა წულუკიანის** გადაწყვეტილებამ გამახარა! ევროპელებმა უნდა გაიგონ, რომ არც კულტურით და არც ისტორიით მათზე ნაკლები არა ვართ და ჩვენთან ასე ქედმაღლური ლაპარაკი არავის გაუვა! საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელიც პედოფილების, ლესბოსელების, ტრანსგენდერებისა და პედე...სტების **(ცენზურა ჩვენია. რედ.)** ჭკუაზე ივლის! გადაგვარებული სოდომისტების ევროპულ დიქტატურას საქართველო ქედს არ მოუდრეკს. ვაცხადებ პირდაპირ: ამ ხნის კაცი ვარ, მაგრამ, თუ ვინმე ცუდად შემეხება, ხელსაც შევუბრუნებ და თავსაც გავუტეხავ!

**— თქვენ ზვიად გამსახურდიას ეროვნულ ხელისუფლებაში განათლების მინისტრი იყავით. როგორ შეაფასებთ იმ ფაქტს, რომ საქართველოში განათლების ძირეული რეფორმა იწყება?**

— მე და თქვენ განათლების ყოფილი მინისტრი **გიორგი ამილახვარი** გამოვცვალეთ, მაგრამ პრობლემა პრობლემად დარჩა. ხელისუფლება განათლების რეფორმას როგორ განახორციელებს, როცა **წულაძე** იურისტია, **იზორია** იურისტია და სამი ქალბატონი, რომლებიც მოადგილეებად მოიწვიეს, იურისტები არიან?! **ქვეყანაში, სადაც პედაგოგიური ინსტიტუტი არ არსებობს და პედაგოგებს არ ზრდიან, განათლების რეფორმა ვინ უნდა განახორციელოს?!** სანამ საქართველოში იარსებებს სოროსის ფონდი და სოროსელების სამჭედლო — ილიაუნი, მანამდე საქართველოში ვერავითარი განათლების რეფორმა ვერ ჩატარდება! თუ რეალური ცვლილებები და განათლების სისტემის რეფორმირება უნდათ, მაშინ მოსპონ **ილიაუნი, ბენდუქიძის უნივერსიტეტი** და განდევნონ საქართველოდან **სოროსის ფონდი!** სწორედ სოროსის ფონდი აფინანსებდა იმ ძალადობრივ აქციებს, როცა რუსთაველის პროსპექტი და მთავრობის სასახლე ცეცხლის ალში გახვიეს. ჩვენ არ გვაქვს საქმე გოეთეს, კანტის, შილერის, თომას მანის, ნიცშესა და კერკეგორის ევროპასთან, ჩვენ საქმე გვაქვს პედოფილებისა და ტრანსგენდერების ევროპასთან. შესაბამისად, ის ფასეულობები, რასაც დიდი ევროპელი მოაზროვნეები ამკვიდრებდნენ, დღეს მთლიანად უარყოფილი და ნიველირებულია. **კერკეგორი** ამბობდა — ღმერთი ავად არისო! **ნიცშეს** აზრით, ღმერთი მოკვდა. იგი ელოდა ზეკაცს, მაგრამ, საუბედუროდ, თანამედროვე ევროპულმა ცივილიზაციამ ზეკაცის ნაცვლად მიიღო **ზეპედე...სტები!** ***(ცენზურა ჩვენია. რედ.)*** ღმერთი, როგორც მორალის, ზნეობის, სიყვარულის, მშვენიერებისა და სრულყოფილების სიმბოლო, დანტეს პირამიდის სათავეში დგას. მასთან მიმართებაში თითოეული ადამიანი რელატიურ დამოკიდებულებაში უნდა ყოფილიყო. თანამედროვე ევროპამ ამ ყველაფერს დაუპირისპირა ტრანსგენდერთა იდეოლოგია, ანუ ადამიანთა მასობრივი გარყვნა.

**— მაინც რა არის საქართველოს წინააღმდეგ მიმართული გლობალური აგრესიის მთავარი მიზეზი?**

— კაცი დავბერდი და არ მახსოვს, საქართველო ასეთი საშინელი წნეხისა და ზეწოლის ქვეშ ყოფილიყო! ამ აგრესიის მიზეზი არის ის, რაც **ირაკლი ღარიბაშვილმა** თქვა და მერე **ტრამპმა** გაიმეორა: ქალი ქალია და კაცი — კაცი! **ტრამპს** ვერაფერს უბედავენ და ჩვენ მოგვდგნენ! აღარაფერს ვამბობ იმის შესახებ, ამ სულელმა და გარყვნილმა ქალმა — **სალომე ზურაბიშვილმა** ტრამპს რომ უთხრა — როგორ ბედავს 3,7-მილიონიანი საქართველო, წინააღმდეგობას რომ გიწევსო?! ჩემს ბიჭობაში მახსოვს, ცნობილი **პედე...სტები** ***(ცენზურა ჩვენია. რედ.)*** **ტუზიკა და ქიშვარდა** დადიოდნენ,

## კვირგვინოსნები

**ირაკლი კობახიძე**
*საქართველოს პრემიერ-მინისტრი*



ჩვენ ვამტკიცებდით 3 წლის განმავლობაში იმას, რასაც დღეს ამბობს **ტრამპის** ადმინისტრაცია — **გაწირეს ჩვენი მეგობარი უკრაინა და რისთვის?** ეს არის ძალიან დიდი კითხვის ნიშანი. „პრაიმტაიმი“

**კახა კალაძე**
*თბილისის მერი*



ჩვენ არ ვიღებთ **არც შანტაჟის ენას, არც ულტიმატუმებს.** ჩვენ გვინდა მხოლოდ მეგობრობა, პარტნიორობა. **ულტიმატუმითა და შანტაჟით** ელაპარაკონ მათ, ვისთანაც გასდით. „რეზონანსი“

**შალვა პაპუაშვილი**
*პარლამენტის თავმჯდომარე*



უკრაინაში ომის პირველ დღეებში ზუსტად იგივე ხალხი, ვინც დღეს დგას ქუჩაში, იდგა პარლამენტის წინ და **ითხოვდა სანქციების დაწესებას, მებრძოლების გაგზავნას და ომში ჩართვას.** დღეს იგივე ხალხი გამოდის და ითხოვს, რომ მათ დავუჯეროთ.

„პრაიმტაიმი“

**მიხეილ ყაველაშვილი**
*საქართველოს პრეზიდენტი*



პროკურატურას **არჩევნების გაყალბების არცერთი მტკიცებულება არ წარედგინა,** ეუთოს საბოლოო დასკვნაც ამბობს, რომ **არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა,** მოქალაქეებს ჰქონდათ თავისუფალი არჩევანის უფლება — **ეს არის რეალობა.**

„პრაიმტაიმი“

# „ქვეყანაში, სადაც პედაგოგიური ინსტიტუტი არ არსებობს და პედაგოგებს არ ზრდიან, განათლების რეფორმა ვინ უნდა განახორციელოს?!“

მღეროდნენ და თავიანთი ბილწი ცხოვრებით ცხოვრობდნენ. მაგათ არავინ ეხებოდა და ეგენი კიდევ როგორ გაბედავდნენ, ქუჩაში გამოსულიყვნენ და თავიანთი სიბინძურე ვინმესთვის თავს მოეხვიათ?! დღეს კიდევ ეს გათახსირებულები არათუ ქუჩაში დგანან, არამედ ტელეეკრანიდან აცხადებენ — თქვენ უნდა წახვიდეთ და ჩვენ მოვიდეთო! კიდევ კარგი, **ტრამპი** ამერიკის პრეზიდენტი გახდა, თორემ საქართველოში კიდევ უფრო მძიმე სიტუაცია იქნებოდა. ისე, საბოლოოდ ჩვენზე მაინც ვერ გაიმარჯვებდნენ, რადგან ქართველ კაცს, შესაძლოა, ბევრი რამ ეშლება, მაგრამ სამშობლოს, ოჯახისა და ქრისტიანობის სიყვარული არ ესწავლება.

**— ოპოზიცია პარლამენტში არ შედის და ახალ არჩევნებს ითხოვს! რას იტყვით?**

— ამ ნაძირალებს პარლამენტში რა უნდათ? თუ ეს მოღალატეები პარლამენტში შევიდნენ, მაშინ კოჰაბიტაცია ისევ გაგრძელდება! ხელისუფლება 2003-2012 წლებში ჩადენილი დანაშაულების გამოძიებას აპირებს და ნაცებს პარლამენტში რა უნდათ?! **მოვუწოდებ ხელისუფლებას, დაასრულოს ეს სამარცხვინო კოჰაბიტაცია და სააკაშვილი აპარტამენტებიდან იმ ციხეში გადაიყვანოს, სადაც, მისი ბრძანებით პატიმრებს აწამებდნენ და აუპატიურებდნენ!** რა უნდა სააკაშვილს აპარტამენტებში, სადაც ნებივრობს და ქალები სექსუალურ




# „თუ მართლა რეალური ცვლილებები და განათლების სისტემის რეფორმირება უნდათ, მაშინ მოსპონ ილიაუნი, ბენდუქიძის უნივერსიტეტი და განდევნონ სოროსის ფონდი!“



ჯორჯ სოროსი

მომსახურებას უწევენ?!

**— ამ სიტუაციაში ხელისუფლებამ რა ნაბიჯი უნდა გადადგას?**

— ფაქტია, რომ გადატრიალების საფრთხე განეიტრალებულია, მაგრამ ქართველი ხალხის ერთი დიდი შეკრება აუცილებლად უნდა მოეწყოს, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას!

*ესაუბრა*

***დიტო ჩუბინიძე***

# სამი თვე მოგვცეს!

***ის, რაც გასულ კვირას სტრასბურგში, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე მოხდა, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ თანამედროვე ევროპული ბიუროკრატია პოლიტიკური და მორალური ხრწნილების უკანასკნელ ფაზაში იმყოფება.***




საქმე ეხება ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის უფლებამოსილების ცნობას, რის ჩაშლასაც კოლექტიური ნაცმოძრაობა დიდი მონდომებით ცდილობდა და, კაცმა რომ თქვას, ნაწილობრივ გამოუვიდა კიდეც.

მართალია, **თინა ბოკუჩავამ, ჭიჭე-ჭუჭუ ვაშაძემ, შარვალჩახდილმა გირჩმა,** დიდმა ფალოსოფოსმა **ზურაბ ჭიაბერაშვილმა** და სტრასბურგში საგანგებოდ ჩასულმა სხვა ნაცრადიკალებმა მთლად იმას ვერ მიაღწიეს, რომ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას საქართველოს დელეგაციის უფლებამოსილება არ ეცნო, მაგრამ იმდენი კი გაახერხეს, ქართული დელეგაციის უფლებამოსილების ცნობა მხოლოდ დროებით და თანაც, ქართული სახელმწიფოსათვის მეტად დამამცირებელი დათქმებით მომხდარიყო.

კერძოდ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის უფლებამოსილება 3 თვით — 2025 წლის აპრილის ბოლომდე ცნო და იქვე წამოაყენა რამდენიმე პირობაც, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში ქართულ დელეგაციას მანდატს აღარ გაუგრძელებს.

პირველი და უმთავრესი, რაც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს ხელისუფლებისაგან მოითხოვა, **ახალი საპარლამენტო არჩევნები** გახლავთ, რომლის ჩატარების თარიღიც „ქართულმა ოცნებამ“, თურმე, უახლოესი თვეების განმავლობაში უნდა გამოაცხადოს!

კი მაგრამ, რატომ უნდა ჩატარდეს საქართველოში ახალი საპარლამენტო არჩევნები?

თუ ევროსაბჭოს მიაჩნია, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები, რომელშიც პირველ ადგილზე გასულმა **„ქართულმა ოცნებამ“** მეორე ადგილზე გასულ **ნიკუტუ გვარამიას** კოალიციას თითქმის 900 000 ხმით გაუსწრო, ხოლო ერთად აღებულ ოთხ ოპოზიციურ გაერთიანებას 300 000 ხმით აჯობა, გაყალბებული იყო, მაშინ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის უფლებამოსილება თუნდაც დროებით და თუნდაც დათქმებით რატომ აღიარა?

**რაკი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოს საპარლამენტო დელეგაციას მანდატი თუნდაც დროებით და თუნდაც დათქმებით მისცა, გამოდის, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგებსაც აღიარებს და „ქართული ოცნების“ ლეგიტიმაციასაც ცნობს.**

მაშ, რის საფუძველზე ითხოვს ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოში ხელახალი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას?

ამ კითხვაზე მხოლოდ ერთი პასუხი შეიძლება, არსებობდეს — **ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოში ახალი საპარლამენტო არჩევ-**

*გაგრძელება მე-4 გვერდზე*

## 3-თვიანი ვადა, რომელიც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოში ნაცლიბერალური დიქტატურის დასამყარებლად დააწესა, ისე შეწყდა, რომ მისი ათვლა არც დაწყებულა!

## კვირგვინოსნები



**თეა წულუკიანი**

*პარლამენტარი, ვიცე-სპიკერი*

ოპოზიციური პარტიები უარს ამბობენ პარლამენტში თავიანთი ადგილების დაკავებაზე, თუმცა, **უკვე მიიღეს და ჩაირიცხეს თანხები,** რომლებიც ამ მანდატებისთვის ეკუთვნოდათ, **დაახლოებით 2 მილიონი.**

„აიპრესი“



**ეკა სეფაშვილი**

*„ხალხის ძალის“ წევრი, საქართველოს საპარლამენტო დელეგაციის წევრი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში*

საქართველოს უნდა შეესრულებინა ისეთი დათქმები, რაც ჩვენთვის წითელი ხაზებია — **აპრილამდე უნდა ჩატარებულიყო ახალი საპარლამენტო არჩევნები და უნდა გაგვეთავისუფლებინა პოლიტპატიმრები.** თვითონაც კარგად იციან, რომ **საქართველოში არჩევნები არ გაყალბებულა და ეს იყო საქართველოს წინააღმდეგ გამოგონილი ახალი ზეწოლის ბერკეტი,** რომ რამენაირად აიძულონ ხალხი, ისევ ნაცმოძრაობას და მათ სატელიტებს მისცენ ხმა.

„პრაიმტაიმი“



**გუგა მაჭარაშვილი**

*„ხალხის ძალის“ აღმასრულებელი მდივანი*

ბრიუსელში **ომის პარტიის** წარმომადგენლებს ვეკითხები — **ტრამპის ბრძანებების წინააღმდეგ ხმას ვერ იღებთ და პატარა სახელმწიფოს კუნთებით გვეთამაშებით?**

„რეპორტიორი“



**რიკარდ იოზვიაკი**

*„რადიო თავისუფლების“ ევროპის ბიუროს რედაქტორი*

ევროკავშირი საქართველოში არჩევნების შედეგებს შეეგუა. ისიც მითხრეს — თუკი მოგვიწევს პრეზიდენტის დაპატიჟება, **ყაველაშვილს მოვიწვევთო.**

„რეზონანსი“



**კეშ პატელი**

*FBI-ს დირექტორობის კანდიდატი*

ნებისმიერი ადამიანი, რომელიც **სამართალდამცველის წინააღმდეგ ძალადობის აქტს ჩაიდენს,** უნდა იყოს გამოძიების ობიექტი, დაპატიმრებული და გასამართლებული.

„რუსთავი-2“

*დასაწყისი მე-3 გვერდზე*

# სამი თვე მოგვცეს!

**ნების ჩატარებას იმიტომ ითხოვს, რომ სამი თვის წინათ ჩატარებულ არჩევნებში კოლექტიური ნაცმოძრაობა დამარცხდა!**

შესაბამისად, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა დემოკრატიულად და სამართლიანად ჩათვლის მხოლოდ იმ არჩევნებს, რომელშიც გამარჯვებულად კოლექტიური ნაცმოძრაობა გამოცხადდება, ხოლო ყველა არჩევნები, რომელშიც კოლექტიური ნაცმოძრაობა დამარცხდება, თავიდან უნდა ჩატარდეს, სანამ საქართველოს ხელისუფლებაში **ნიკუტუ გვარამია, ჭუჭუ ვაშაძე და შუშუ ჯაფარიძე** არ მოვლენ!

2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების შედეგების გაუქმებისა და „ქართული ოცნებისათვის“ ხმის მიმცემი 1 120 000 ადამიანის სანაგვეში გადაყრის გარდა, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს ხელისუფლებისაგან მიმდინარე წლის აპრილამდე **„უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“** კანონის გაწვევას, **„პოლიტპატიმრების“** გათავისუფლებასა და **„მშვიდობიანი მომიტინგეების“** მიმართ **„მოძალადე“** პოლიციელების დასჯასაც ითხოვს...

პირდაპირ რომ ვთქვათ, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა საქართველოს ხელისუფლებასა და ქართველ ხალხს ეუბნება:

**სამ თვეს გაძლევთ,** რომ თქვენი სუვერენიტეტი თქვენივე ხელით გააუქმოთ და კვლავ ისეთივე უუფლებო კოლონიად იქცეთ, როგორიც 2022 წლის თებერვლამდე — უკრაინაში ომის დაწყებამდე იყავითო!

**სამ თვეს გაძლევთ,** რომ თავზე გადაიხიოთ ყველა კანონი, რომელიც საქართველოში ლიბერალური დიქტატურის დამყარებას უშლის ხელს, არასამთავრობო ორგანიზაციებს ფინანსური დეკლარაციის შევსებას ავალდებულებს, ოჯახური ღირებულებების დაცვას ემსახურება და არასრულწლოვნებს ლგბტ პროპაგანდისაგან იცავსო!

**სამ თვეს გაძლევთ,** რომ მთელმა ერმა ლგბტ დროშა აფრიალოთ, რუსთაველის გამზირზე გეი-აღლუმი გამართოთ, კაცი კაცზე დააქორწინოთ და დედასა და მამას „მშობელი ნომერი ერთი“ და „მშობელი ნომერი ორი“ დაუძახოთო!

**სამ თვეში შეგამოწმებთ** და თუ მთელი ერი ღვინოში ჩამშარდავი **ნიკუტუ გვარამიასა** და საჭმელში ჩამფურთხებელი ჭუჭუების ჭკუაზე არ იქნებით, ვაი, თქვენი ბრალიო!

**სამ თვეში შეგამოწმებთ** და თუ მთელი ერი **შუშუ ჯაფარიძესავით** შარვალჩახდილი არ დადგებით საოკუპაციო ხაზთან, თქვენი აჯობებსო!

**სამ თვეში შეგამოწმებთ** და თუ მთელი ერი ფალოსოფოს



**ჭიაბერაშვილი, სამადაშვილი, ვაშაძე, ჯაფარიძე** და სხვა ნაცები სტრასბურგში საგანგებოდ ჩავიდნენ, **რათა ჩაეშალათ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ ქართული დელეგაციის უფლებამოსილების ცნობა**

**ზურაბ ჭიაბერაშვილივით** არ დაინახავთ, რომ „ქართვლის დედის“ ქანდაკებას ხელში ფიალის მაგივრად — საშო, ხოლო ხმლის მაგივრად ფალოსი უჭირავს, თქვენი ევროპული პერსპექტივა სამუდამოდ დასამარდებაო! მოკლედ,

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ ქართველ ხალხს**

**სამი თვე მოგვცა იმისათვის, რომ ეროვნული ჰარაკირი ჩავიტაროთ, ჩვენს სამშობლოს სასიკვდილო განაჩენი გამოვუტანოთ**

**და ქართული სახელმწიფო უსამშობლო ნაცლიბერ-ფაშისტების ხელში ჩასავარდნად გავამზადოთ!**

რა უნდა ექნა სტრასბურგში ჩასულ ქართულ დელეგაციას, რომელსაც დეპუტატი **თეა წულუკიანი** ხელმძღვანელობდა?

თუ ქართული დელეგაცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ წამოყენებულ პირობებს დათანხმდებოდა, ეს იმის აღიარება იქნებოდა, რომ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები გაყალბდა, **არადა, 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები არ გაყალბებულა!**

თუ ქართული დელეგაცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ წამოყენებულ პირობებს დათანხმდებოდა, ეს იმის აღიარება იქნებოდა, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებას პოლიტიკური პატიმრები ჰყავს, **არადა, დღევანდელ საქართველოში პოლიტიკური პატიმრები არ არსებობენ!**

თუ ქართული დელეგაცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ წამოყენებულ პირობებს დათანხმდებოდა, ეს იმის აღიარება იქნებოდა, რომ ქართულმა პოლიციამ მშვიდობიან მომიტინგეებზე იძალადა, არადა, **ქართულმა პოლიციამ ძალადობრივი პროტესტი და სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა ისე აღკვეთა, მის კანონიერ არსენალში არსებული ყველა საშუალება, მაგალითად, რეზინის ხელკეტები, ე.წ. არალეტალური ტყვიები და საგანგებოდ გაწვრთნილი ძაღლები, არც კი გამოუყენებია!**

ერთი სიტყვით, თუ ქართული დელეგაცია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მიერ წამოყენებულ პირობებს დათანხმდებოდა, ეს იქნებოდა ქართული სახელმწიფოს სრული პოლიტიკური კაპიტულაცია **გლობალური დიფ სთეითის, ანუ ფარული დასისა** და საქართველოში მოქმედი მისი ნაცლიბერალური აგენტურის წინაშე.

შესაბამისად, სტრასბურგში წარგზავნილმა ქართულმა დელეგაციამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო — **დამამცირებელი დათქმებით მონიჭებული დროებითი მანდატი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას უკანვე მიუგდო და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მის მუშაობაში პროტესტის ნიშნად არ მიიღებს მონაწილეობას, სანამ ასამბლეა საქართველოს მიმართ ობიექტურ და სამართლიან დამოკიდებულებას არ გამოავლენს!**

**ასე და ამრიგად, 3-თვიანი ვადა, რომელიც ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ საქართველოში ნაცლიბერალური დიქტატურის დასამყარებლად დააწესა, ისე შეწყდა, რომ მისი ათვლა არც დაწყებულა!**

**ქართველ ხალხს 3 თვე კი არა, 3 წამიც არ სჭირდება იმისათვის, რომ საქართველოს ხელისუფლებაში ნიკუტუ გვარამიების, ჭუჭუ ვაშაძეებისა და შუშუ ჯაფარიძეების მოსვლას მტკიცე უარი უთხრას!**

**ქართველ ხალხს ამაზე უარი ბოლო 12 წლის განმავლობაში ზედიზედ 9 არჩევნებში აქვს ნათქვამი!**

*ჯაბა ხუბუა*




**ქართულმა დელეგაციამ ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო და დამამცირებელი დათქმებით მონიჭებული დროებითი მანდატი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეას უკანვე მიუგდო!**

## ქვირგვინოსნები

**მაკა ბოჭორიშვილი**
*საგარეო საქმეთა მინისტრი*



ოპოზიცია მოქმედებს **საქართველოს, ქართული სახელმწიფოს და ყველაფრის წინააღმდეგ,** რაც უკავშირდება ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრიობას და ინტერესებს.

„აიპრესი“

**გივი მიქანაძე**
*პარლამენტარი*



ევროსაბჭოს კომიტეტის მიერ შემუშავებულ დოკუმენტის პროექტში **ასახულია სიცრუე და არარეალობა,** ცალსახად ვაცხადებთ, რომ **არანაირი საპარლამენტო არჩევნები 2028 წლამდე არ იქნება.**

„იმედინიუსი“

**პიტერ სიიარტო**
*უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი*



დიპლომატიური პასპორტების მქონე პირებისთვის **უვიზო რეჟიმის შეჩერების გადაწყვეტილებას უნგრეთი არ შეასრულებს,** საქართველოს მომავალი საქართველოში უნდა გადაწყდეს.

„პირველი არხი“

**პაველ ჰერჩინსკი**
*საქართველოში ევროკავშირის ელჩი*



დაპირებების მიუხედავად, **გამჭვირვალობის კანონი დააბრუნეს,** თავიდანვე ვთქვით, რომ მის შემოღებას შედეგები მოჰყვებოდა, **ამას ვერ დავტოვებდით რეაგირების გარეშე.**

„პირველი არხი“

**სალომე ზურაბიშვილი**
*საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი*



დიპლომატიური პასპორტების მქონეთათვის **უვიზო რეჟიმის შეჩერება უცხოური აგენტების კანონზე საპასუხოდ უჩვეულოა,** დაივიწყეთ ძველი კანონები, **მოუწოდეთ ახალი არჩევნებისკენ.**

„პირველი არხი“

**სოზარ სუბარი**
*პარტია „ხალხის ძალის“ თავმჯდომარე, პარლამენტარი*



დარწმუნებული ვარ, რომ **ოპოზიციის აქციები გაგრძელდება, რადგან ეს არის მათი დამკვეთების ნება** და გადაწყვეტილება, რომ **როგორმე ავნონ საქართველოს სახელმწიფოს.**

„რეზონანსი“

# ლორა თორნტონი აუცილებლად გაიზიარებს წყეული ირაკლი ოქრუაშვილის ბედს, რომელმაც „ვარდების რევოლუციის“ კვირაძალზე ქართველებს მოსკოვში ფეკალიების ჩატანა და გაყიდვა ურჩია და თავად აღმოჩნდა ქაქში!

*მაკკეინის ინსტიტუტის გლობალური დემოკრატიის პროგრამების დირექტორი და საქართველოში ენდიაის ოფისის ყოფილი ხელმძღვანელი ლორა თორნტონი ქართველ ძღვენიჭამიებს ოკეანის გაღმიდან მორიგ დირექტივას უძღვნის — კარგი იქნება, ქართველმა ფერმერებმა ნეხვი ყველა სამთავრობო შენობის წინ დაყარონ!*

# ლორას ძღვენი



საფრანგეთში, ამ რამდენიმე თვის წინათ, ცნობილი არეულობისა და პროტესტის დროს, ფრანგმა ფერმერებმა ტრაქტორები დაქოქეს, ტონობით ნეხვი პარიზში ჩამოიტანეს და სიყვარულისა და მშვენიერების დედაქალაქი ცხოველების ფეკალიებით ააყროლეს! პოლიტიკურ მოვლენათა განვითარების ლოგიკა გვკარნახობს, რომ, **დიდი ალბათობით, ფრანგი ფერმერები ლორა თორნტონის მსგავსმა უჯიშო დიფ სთეითელებმა წააქეზეს, რომლებმაც თავიანთი ვირეშმაკული პოლიტიკით გერმანიის ეკონომიკა დაანგრიეს, ხოლო საფრანგეთი აფრიკულ სახელმწიფოს დაამსგავსეს.**

ვიდრე მსგავსი სამარცხვინო მოწოდებებით გამოვიდოდა და **მამუკა ხაზარაძის უბორნიაში დატრენინგებულებს თბილისში ნეხვის ჩამოტანისკენ მოუწოდებდა,** უზნეო და ხელიდან წასული **ლორა თორნტონი** ძალიან იყო მოწადინებული, რომ დედაქალაქში გამართულ საპროტესტო აქციებზე როგორმე სისხლი დაღვრილიყო და, ვანო მერაბიშვილის თქმისა არ იყოს, ერთი-ორი გვამი გაგორებულიყო.

ეს ამბავი რომ არ გამოვიდა და ხელისუფლების ფილიგრანული მოქმედების შედეგად საყურიანი ბიჭების პროტესტი **ლაშა ბუღაძისა და რატი ამაღლობლის** უბორნიაში გაიჭედა, **ქალბატონმა ლორამ** მძიმე ემოციური დარტყმა მიიღო და ტრამპის გამარჯვებით გულდათუთქულმა წაისისინა — **ტრამპი გამაუპატიურებელიაო!** ფროიდის მოძღვრების თანახმად, **ლორა თორნტონის** ეს გამოხდომა-წამოცდენა სხვა არაფერია, თუ არა იმის გარდარეული სურვილი, რომ მაკკეინის ინსტიტუტის პროგრამების დირექტორი ვილაცამ, მათ შორის, სწორედ **პრეზიდენტმა ტრამპმა** უნდა გააუპატიუროს, თორემ ეს ქალი ისეა აშლილი, ზედმეტი ბრაზისაგან შესაძლოა, საკუთარ ფეკალიებშიც კი ჩაიხრჩოს!

**ქალბატონ ლორას** ნეხვის ქექვას ჩვენ არ ვაპირებთ, ამისათვის მას შტატიანი თანამშრომლებიც ჰყავს და სტიპენდიატიც — **ეკა გიგაური, ნინო ლომჯარია, სალომე ზურაბიშვილი და მთელი კოლექტიური ნაცსექტა,** მაგრამ იმას კი ვიტყვით, რომ იმ ლექსიკით, როგორითაც ეს გარეწარი ქალი საქართველოს არჩეულ ხელისუფლებასა და ქართველებს მოიხსენიებს, ჩვენს სამშობლოსთან ლაპარაკს თვით **გენერალი ერმოლოვიც** ვერ ბედავდა.

ლორა თორნტონს — ჩექმებში გამოწკეპილ ამ ამერიკელ შანსონეტკას, უძველეს შუმერებთან წილნაყარი და ქრისტეს ნათელით გაბრწყინებული საქართველო, ეტყობა, ჰავაის არქიპელაგის კუნძულ კეალკეკუას ტომის კაციჭამიებით ჰგონია დასახლებული. ცნობისათვის, ეს ის კუნძულია, რომლის ბელადმა **ლაპუ-ლაპუმ** ცნობილი ინგლისელი ზღვაოსანი **ჯეიმს კუკი** 1779 წლის 14 თებერვალს შეჭამა.

ცხონებულმა **თამაზ წივწივაძემ** ამერიკული და ევროპული გრანტებით მოსყიდულ და გამძღარ ქართველ აგენტებს კარგა ხნის წინათ უწოდა **ძღვენიჭამიები.** ჰოდა, ვურჩევთ **ბარეწარ ლორა თორნტონს, ქართველი ძღვენიჭამიების** მისამართით გაცემული თავისი უკანასკნელი ბრძანება ცოტათი შეცვალოს და ასე ჩამოაყალიბოს — **„ნეხვის თბილისში ჩამოტანა და რუსთაველის პროსპექტის აყროლება საჭირო აღარ არის, რადგან ისედაც ყარხართ! უმჯობესია, მიბაძოთ „დოის“, რაიონებში გახვიდეთ და სადაც კი ნეხვს ნახავთ, გასკდომამდე თქვლიფოთ!“**



Laura Thornton @LauraLT... · 3h
This is important - learning from one another and picking up new tactics! I think the Hong Kong umbrella movement was one of the most innovative and extraordinary protest movements of a century... (hard to beat china though 😢). And these protests boost each other (Slovakia etc).

1 · 2 · 59

Laura Thornton @LauraLT... · 3h
Also the French approach of bringing in truckloads of shit and dropping in the capital! Would be awesome if Georgian farmers dumped manure in front of all govt buildings!! 😅

34

**ლორა თორნტონის აზრით, არსებობს ფრანგული მიდგომა და კარგი იქნება, ქართველმა ფერმერებმა ნეხვი ყველა სამთავრობო შენობის წინ დაყარონ!**

დამერწმუნეთ, თუ ასე მოიქცევა, **ლორა თორნტონი** უმალ საქართველოს მეგობარი გახდება და შესაძლოა, კასტილებიანი გამაუპატიურებლის **თემურ უბირიას** სახელობის პირველი ხარისხის ორდენსაც გამოკრას ხელი! წინააღმდეგ შემთხვევაში, დიდი ეჭვი გვაქვს, რომ **ლორა თორნტონი** აუცილებლად გაიზიარებს **წყეული ირაკლი ოქრუაშვილის** ბედს, რომელმაც „ვარდების რევოლუციის“ კვირაძალზე ქართველებს მოსკოვში ფეკალიების ჩატანა და გაყიდვა ურჩია და თავად აღმოჩნდა ქაქში!

***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**დონალდ ტრამპი**
*აშშ-ის პრეზიდენტი*



უფროსი თაობის ადამიანები **ბავშვებს სქესის შეცვლაში არწმუნებენ,** ეს სახიფათო ტენდენცია ჩვენი ქვეყნის ისტორიის შავ ლაქად დარჩება. ბავშვების უთვალავი რაოდენობა მალე ინანებს, რომ **ის დაასახიჩრეს და დაიწყებს იმ შემზარავი ტრაგედიის გაცნობიერებას,** რომ ვეღარასდროს ეყოლება საკუთარი შვილები და მათ ძუძუს ვერ აჭმევს.

„რეპორტიორი“

**ჯეი დი ვენსი**
*აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტი*



არ ვაპირებ, ჩემი ბებიისა და ბაბუისთვის განკუთვნილი დახმარება უკრაინაში გავგზავნო, რათა **ზელენსკის რომელიმე მინისტრმა უფრო დიდი იახტა შეიძინოს. უკრაინაში შოკისმომგვრელი კორუფციაა** — ყველა მდიდრდება, თავად უკრაინელი ხალხის გარდა, რომელიც აღნიშნული კონფლიქტის გამო იტანჯება.

„რეზონანსი“

**ვიქტორ ორბანი**
*უნგრეთის პრემიერ-მინისტრი*



დროა, ბრიუსელში **ბიუროკრატებმა და სოროსის ქსელმა საქართველოს მთავრობაზე თავდასხმა შეწყვიტონ,** საქართველოს სუვერენიტეტისთვის მათ ბრძოლაში **შალვა პაპუაშვილს** მხარდაჭერა გამოვუცხადე.

„პირველი არხი“

**ილჰამ ალიევი**
*აზერბაიჯანის პრეზიდენტი*



**ჩვენ წავაწყდით დიდ წინააღმდეგობას ბაქო-თბილისი-ყარსის პროექტის რეალიზაციის დროს.** ახლა შემიძლია ამის მოყოლა, განსაკუთრებით ამის წინააღმდეგი აშშ იყო. **საქართველოს მაშინდელ მმართველებზე ამერიკის სახელმწიფოს მიერ ძალიან სერიოზული ზეწოლა ხორციელდებოდა,** რომ მათ არ მოეცათ ამაზე თანხმობა.

„პირველი არხი“

# დღეს, 3 თებერვალს,

# ზურაბ ჟვანიას მკვლელობიდან 20 წელი გავიდა!

*1999 წლის 27 იანვარს, როდესაც ზურაბ ჟვანიამ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს გაწევრიანებისას 39-ე სკამიდან წარმოთქვა: — მე ვარ ქართველი და, მაშასადამე, ევროპელი — ვერც კი წარმოიდგენდა, რომ 6 წლის შემდეგ მოკლავდნენ, ხოლო ევროპის საბჭოს ასამბლეას მისი მკვლელობა საერთოდ არ აღელვებდა. ჟვანიას მკვლელობიდან 20 წლის შემდეგ მისი ტრაგიკული ხვედრი ბასტილიის ციხის უპატრონო პატიმარივით არის დავიწყებული.*

ზუსტად 20 წლის წინათ, **2005 წლის 3 თებერვალს,** თბილისში მოკლეს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და **20 წელია,** რაც მისი გარდაცვალების ოფიციალურ ვერსიად მხუთავი გაზით გაგუდვა მიიჩნევა. ამ ხნის მანძილზე გამოძიება ეყრდნობოდა ერთადერთი ექსპერტის, აწ გარდაცვლილი **ლევან ჩაჩუას** დასკვნას და მიუხედავად გამოძიების არაერთგზის დაპირებისა, რომ გვამის ექსჰუმაციას მოახდენდნენ და საქმეში უცხოელ ექსპერტებს ჩართავდნენ, ეს საქმე თაროზე შემოდეს.

**სრული უფლება გვაქვს, ვიფიქროთ, რომ ჟვანიას გვამის გამოკვლევა არც ევროპელმა ექსპერტებმა ისურვეს და არც ამერიკელებმა.** ამის თქმის საფუძველს გვაძლევს ჟვანიას საქმის გამყალბებლად მიჩნეული, ყოფილი გენერალური პროკურორის, საქართველოში ჩადენილი უმძიმესი დანაშაულებისათვის ბრალდებული **ზურაბ ადეიშვილის** ვოიაჟები ბერლინისა და ბრიუსელის მაღალ ეშელონებში, ასევე „ვივამედის“ ლუქსპალატაში წამოწოლილი **მიხეილ სააკაშვილისთვის** სასათბურე პირობების შექმნა და ევროპელი პარლამენტარების მიერ მიღებული რეზოლუციები მისი გათავისუფლების თაობაზე.

არც ბუნდესტაგში, არც ბრიუსელში **ზურაბ ადეიშვილისათვის** კითხვა არ დაუსვამთ — **ამ 20 წლის წინათ, 2 თებერვალს, ღამით,** რატომ დაურეკა მან საქართველოს პრემიერ-მინისტრ **ზურაბ ჟვანიას,** რატომ გაიყვანა გარეთ და რა იცის მისი მკვლელობის შესახებ.

როგორც 20 წლის წინათ **რიჩარდ ლუგარმა** განაცხადა: პრემიერის სიკვდილი საქართველოს ისტორიაში „ბნელი ღამის“ სახელწოდებით შევაო, ამ მკვლელობის საქმეც ასევე დარჩა — სრულ სიბნელეში!

**ამ 20 წლის განმავლობაში ერთ ევროპარლამენტარსაც კი არ წამოუყენებია საკითხი ჟვანიას საქმის სასწრაფო გამოძიებაზე, რეზოლუციის მიღებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, პირიქით, ჟვანიას ხსენებაც არ უნდათ, მხოლოდ სააკაშვილია მათთვის დემოკრატიის შუქურა, რომლის უპირობო გათავისუფლებასაც ითხოვენ.** ამის სრულ ლუსტრაციას 20 წელი დასჭირდა, როცა ევროპელი დეპუტატები თავიანთ სატელიტებს საქართველოში ხელისუფლების დამხობისაკენ მოუწოდებენ, არად დაგიდევენ მათი მხრიდან პოლიციელებზე ძალადობას, „მოლოტოვის კოქტეილების“ სროლას და პროტესტს არ გამოთქვამენ ამაზრზენ მოწოდებებზე: **„მოკალი ქოცი“.**

ისინი თვალს ხუჭავდნენ სააკაშვილის რეჟიმის მიერ ქუჩებში ახალგაზრდების მკვლელობაზე, მიტინგების დარბევასა და გვამებზე. ამიტომაც არის ევროპის მხრიდან დღემდე ნიჰილისტური დამოკიდებულება ჟვანიას საქმეზე, თუმცა, საზოგადოება გულგრილი არ დარჩენილა მოკლული პრემიერის ძმის **გოგლა ჟვანიასა** და მისი ქვრივის **ნინო ქადაგიძის** საქციელზე, როცა ისინი მოულოდნელად იმათ გვერდით დადგნენ, ვინც ზურაბ ჟვანიას საქმის გაყალბებაში მონაწილეობდა.

**ეს საქმე არასოდეს გაიხსნება!** — მითხრა ჟვანიას საქმის ერთ-ერთმა გამომძიებელმა და, ალბათ, ასეც იქნება. **დონალდ ტრამპი** ამერიკელებს პრეზიდენტ **ჯონ კენედის** მკვლელობის საქმის მასალების გასაჯაროებას დაჰპირდა, თუმცა, **როგორც ამერიკელმა ჟურნალისტმა ჯეფრი სილვერმანმა განაცხადა, კენედის მკვლელობის ძირითადი მასალები 50 წლის წინათ გაანადგურეს, ამიტომ ხალხს ახალს ვერაფერს ეტყვიან.** ჟვანიას მკვლელობასთან დაკავშირებით კიდევ უფრო რთული სიტუაციაა — **საქმე პირველივე წუთიდან გაყალბდა შემთხვევის ადგილის სრული ფალსიფიკაციითა და გვამების გადაადგილებით.**

**გარდაცვლილია ამ საქმის ოთხი ექსპერტი: ზაზა ოქრუაშვილი, ლევან სამხარაული, მამუკა ჩხაიძე და ლევან ჩაჩუა. ხელშეუხებლები არიან ჟვანიას დაცვის ყოფილი უფროსი კობა ხარშილაძე და დაცვის წევრი მიხეილ ძაძამია, რომლებმაც ძალიან კარგად იციან, რა მოხდა ამ 20 წლის წინათ, მაგრამ დუმილს ამჯობინებენ.**

**ჟვანიას მკვლელობის შემდეგ ხარშილაძე მილიონერი გახდა, თუმცა, დაცვის სამსახურში სამსახურებრივი გულგრილობის გამო დაკავებულიც იყო, მაგრამ მილიონები მისთვის ამად ღირდა.** შეგახსენებთ, რომ სწორედ **ხარშილაძის კომპანიამ** შეასრულა ვაკის პარკის შადრევანში ის უხეირო სამუშაოები, რის შედეგადაც შადრევანში ჩასული 13 წლის **მარიტა მეფარიშვილი** დენის დარტყმით დაიღუპა.

ჟვანიას საქმეზე ბოლო პროცესები გაიმართა ამ 10 წლის წინათ — **2015 წლის თებერვალში,** როდესაც 3-ათასლარიანი გირაოს საფუძველზე, სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს ყოფილი მთავარი





რაულ უსუპოვის ცხედარი

## კვირგვინოსნები

**გოგა ხაინდრავა**
*კინორეჟისორი*



**პორნო-ლიბერალებო!** ელჩების თავისუფალი მიმოსვლისთვის, **თემურლენგით დაწყებული, ბოლშევიკების და ნაცისტების ჩათვლით,** ხელი არავის შეუშლია! როგორ დაბეჩავდით **„ევროსდემოკრატები“,** წლებით ნალოლიავებ **პოლიტსავაზშოს** სამარეს რომ უთხრით საკუთარი ხელით!

„რეპორტიორი“

**მეუფე იაკობი**
*ბოდბელი მთავარეპისკოპოსი*



**ყოფილი პრეზიდენტი** იქნება თუ სხვა **ნებისმიერი ქალბატონი,** რომელიც **უცხოეთში საქართველოს წინააღმდეგ განცხადებებს აკეთებს,** როგორ უნდა მივიღოთ? რა გვინდა, **ისევ 90-იან წლებში დავბრუნდეთ?** ადრეც მივმართე **ქალბატონებს** და განსაკუთრებით **ერთ ქალბატონს — ვისი სისხლის დაღვრა გსურთ?**

„აიპრესი“

**ირაკლი ზარქუა**
*პარლამენტარი*



**ნაცებს მოვმართავთ** — დეკლარაციას რატომ არ ავსებთ, **ხომ აიღეთ ბიუჯეტიდან პარტიული დაფინანსება?! „ლელომაც“ და ნაცებმაც** ფული აიღეს. მე მინდა, ახალგაზრდებს ვუთხრა — **თქვენ გიყენებენ!**

„აიპრესი“

**ირმა ქაკალუა**
*ადვოკატი*



გავიხსენოთ, **კულტურის სფეროს წარმომადგენლები 2012 წლამდე სად იყვნენ.** ეს ადამიანები იყვნენ ისინი, ვინც **მიუზიკლებს უძღვნიდნენ მიხეილ სააკაშვილს, უმღეროდნენ და იყვნენ ძალიან კომფორტულად.** მაშინ, როდესაც მთელი მსოფლიო შეთანხმდა იმაზე, რომ **ქართულ ციხეებში ადამიანებს აწამებდნენ, მთელმა მსოფლიომ ნახა, რომ ქუჩაში ხალხს ხოცავდნენ,** ამ მსახიობების გაპროტესტებული თქვენ გახსოვთ?

„TV იმედი“




**საზოგადოება გულგრილი არ დარჩენილა მოკლული პრემიერის ძმის გოგლა ჟვანიასა და მისი ქვრივის ნინო ქადაგიძის საქციელზე, როცა ისინი მოულოდნელად იმათ გვერდით დადგნენ, ვინც ზურაბ ჟვანიას საქმის გაყალბებაში მონაწილეობდა.**






ზურაბ ჟვანიას ძმა – გოგლა ჟვანია და ცოლი – ნინო ქადაგიძე აქციაზე

პროკურორი **მამუკა გვარამია** და სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს უფროსის ყოფილი მოადგილე **როსტომ ლაზარია.** მათ ბრალად ედებოდათ **ზურაბ ჟვანიასა და რაულ უსუპოვის** გარდაცვალების საქმეზე მტკიცებულებების გაყალბება. **ეს არის და ეს, მას შემდეგ არც პროკურატურა და არც სასამართლო ჟვანიას საქმეს აღარ დაბრუნებიან.**

## ჟვანიას საქმეში ისევე რუხ კარდინალად რჩება სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია, რომლის დაკითხვასაც ჟვანიას ძმა გოგლა ჟვანია ითხოვდა.

მოგეხსენებათ, სახელმწიფო კანცელარიაში ალასანიას გამოყოფილი ჰქონდა ოთახი, პრეზიდენტის გადაწყვეტილებებშიც ერეოდა, ჟვანიას მკვლელობის დღესაც კანცელარიაში იყო და დილით საგანგებო თათბირსაც ესწრებოდა. **გოგლა ჟვანიამ** ვერ მიიღო პასუხი კითხვაზე: **თემურ ალასანია 2005 წლის 3 თებერვლამდე მისი ძმის მისამართით რატომ ამბობდა, მალე ჟვანია აღარ იქნებაო...** მოგეხსენებათ, ბოლო პერიოდში **თემურ ალასანია** საქართველოში **2021 წლის 14 დეკემბერს** ჩამოვიდა, 21 დეკემბერს თითქოს დისშვილის დაბადების დღეს უნდა დასწრებოდა. თუმცა, საქართველო მას შემდეგ დატოვა, რაც თბილისის საქალაქო სასამართლოში კერძო კომუნიკაციის საიდუმლოების დარღვევის ფაქტზე იქნა გამოკითხული. **კერძოდ, საქმე ეხებოდა უკრაინულ საიტზე გამოქვეყნებულ აუდიოჩანაწერს, სადაც, სავარაუდოდ, თემურ ალასანია მიხეილ სააკაშვილთან საუბრის დროს ქართველებს შეურაცხმყოფელი სიტყვებით მოიხსენიებდა და ამბობდა, რომ მილიონს გადაუხდიდა მას, ვინც ბიძინა ივანიშვილს „სნაიპერსკი ვინტოვკით" მოკლავდა.**




**თემურ ალასანია** ისე წავიდა თბილისიდან, დისშვილის დაბადების დღე აღარც გახსენებია, არც ჟვანიას საქმეზე დაუბარებიათ. მისი ბოლო ხმამაღალი განცხადება იყო: **გაყოფილი, გახლეჩილი, ერთმანეთს დატაკებული საქართველო მირჩევნიაო და ამ მითითებებს დღეს წარმატებულად ასრულებს აქაური ოპოზიცია.**

**ირაკლი კაკაბაძე,** რომელიც დღეს ამ პროცესებს თანაუგრძნობს, ჟვანიას საქმესთან დაკავშირებით, ალბათ, უკან არ წაიღებს თავის სიტყვებს: ***„ვიცი, რომ არსებობდა და არსებობს კონკრეტული მაფია, რომლის ნათლიმამაც გახლავთ ბატონი თემურ ალასანია და ბატონი ერიკ ბუდისი, რომელიც იარაღის გაყიდვით ძალიან დიდ ფულს აკეთებდა. ამ მაფიის წინააღმდეგ გამოვიდა ჩემი მეგობარი ზურაბ ჟვანია. 2005 წლის იანვარში იყო მუქარის ზარი ამ მაფიის ერთ-ერთი წევრისგან, კერძოდ, ერიკ ბუდისისგან, რომელიც გახლავთ პუტინის დაახლოებული წრის წარმომადგენელი და მისი მუქარა ასე ჟღერდა, რომ მთავრობის ორი წევრი, ლაპარაკი იყო ზურაბ ჟვანიასა და კახა ბენდუქიძეზე, ერთი თვის მერე აღარ იქნებოდა იმ თანამდებობაზე, რომელზეც იყვნენ".***

მიუხედავად იმისა, რომ საავაშვილი დაპატიმრებულია და სასჯელს „ვივამედის" ლუქსპალატაში იხდის, პროკურატურას აზრადაც არ მოსდის, სააკაშვილი ჟვანიას საქმეზე დაკითხოს, მითუმეტეს, რომ **2005 წლის 8 თებერვალს** მას საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე ნახსენები აქვს ფრაზა: „ზურაბ ჟვანიას მკვლელობასთან დაკავშირებით"... ასევე **სანდრა რულოვსს** თავისი წიგნის — **„იდეალისტის ნაამბობის"** პრეზენტაციაზე.

პროკურატურა არ აგრძელებს გამოძიებას და **ვანო მერაბიშვილის** დაკითხვას, რატომ ვერ გასცა პასუხი მან **ზურაბ ჟვანიას დედას, აწ გარდაცვლილ რემა ჟვანიას** ბრალდებაზე: **ზურას მკვლელობა მერაბიშვილის სცენარი იყო, თუმცა, შემსრულებლები ვინ იყვნენ, არ ვიციო.**

გამოძიებამ ყურადღება უნდა მიაქციოს ყოფილი პრემიერ-მინისტრის **ირაკლი ღარიბაშვილის** განცხადებას ჟვანიას დაცვის უფროსის **კობა ხარშილაძის** დაკავების შემდეგ, როცა **ვანო მერაბიშვილი** რამდენიმე თვის დაპატიმრებული იყო... *„ძალიან საეჭვოდ დაპანიკდნენ მას შემდეგ, რაც ახალმა პროკურორმა დაიწყო ჟვანიას საქმის გადახედვა-გამოძიება და პროკურატურამ დააკავა ჟვანიას ყოფილი წევრი, რომელიც შემთხვევის ადგილზე იმყოფებოდა ჟვანიას გარდაცვალების დროს".*

გამოძიებამ კარგად იცის **ამერიკელების დასკვნა ზურაბ ჟვანიას საქმეზე,** რადგან სახლში, სადაც ჟვანიას გვამი აღმოაჩინეს, მხუთავი გაზის კონცენტრაცია იმ დონის არ ყოფილა, რომ ადამიანი გარდაცვლილიყო. **რემა ჟვანიაც** ამას ამბობდა: **ამერიკელების დასკვნაში წერია, რომ მურის ნატამალიც არ არსებობდა გამათბობელზე. ეს იმას ნიშნავს, რომ ის ან საერთოდ არ ჩართულა, ან ძალიან კარგად მუშაობდა.** კარგად ახსოვდა ზურას ყოფილი მეგობრის **ხათუნა გოგორიშვილის** ნათქვამი: **ნეტავ დადგეს ის დრო, როდესაც სიმართლეს გაიგებენ!** დიახ, **ხათუნა გოგორიშვილმა,** რომელიც სწორედ ჟვანიამ აქცია პოლიტიკურ ფიგურად, ძალიან კარგად იცის სიმართლე. **სიმართლე იცის ჟვანიასგან სააკაშვილის მონის რეჟიმში გადასულმა** გია ბარამიძემაც, **რომელიც ყოველ გამოსვლაზე მხოლოდ სააკაშვილის ვაზელინის ფუნქციით შემოიფარგლება.** საოცარია ისიც, რომ ჟვანიას უფროსი მეგობარი, ბოლშევიკ-მხვრეტავის **ლევან ღოღობერიძის შვილი ლანა ღოღობერიძე,** რომელიც ხელისუფლების დამხობის მოსურნეთა ავანგარდშია, თუნდაც 20 წლის შემდეგ, რატომ არ ითხოვს ჟვანიას საქმის გამოძიებას?!

**4 თებერვალს,** როდესაც პარლამენტის საგაზაფხულო სესიის გახსნისთანავე პარლამენტის დღის წესრიგში დადგება დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის საკითხი, რომლის მიზანია ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს მომხდარი დანაშაულების გამოძიება, **იმედს ვიტოვებთ, რომ ჟვანიას მკვლელობის საქმესაც თაროდან ჩამოიღებენ და, რადგან ის ჯერ კიდევ დახურული არ არის, გამოძიებას ბოლომდე მიიყვანენ!**

***ქეთევან ხამიცაშვილი***




## კვირგვინოსნები



**დიმიტრი ხუნდაძე**
*„ხალხის ძალის" წევრი*

ვნახეთ ოპოზიციის ნამოქმედარი, როდესაც **ცხელი ბომბების ცვენას ანიჭებდნენ უპირატესობას და ამის გაგრძელებაა დღეს საქართველოს შეთავაზება სათამაშო მოედნად.** ეს არის ძალიან სახიფათო განცხადება და, სამწუხაროდ, ეს არ არის შემთხვევითი, **ეს არის ის, რა მიზანსაც ემსახურებიან და რა დავალებასაც ასრულებენ.**

„TV იმედი"



**ვლადიმერ ბოჭაძე**
*პარლამენტარი*

ბოლო სამი წელია, **ჩვენი ხელისუფლება ისჯება** ერთადერთი მიზეზის გამო, რომ ჩვენ **შევინარჩუნეთ მშვიდობა და სტაბილურობა** ქვეყანაში.

რადიკალური ოპოზიცია დიდი ხანია, **ქართული სახელმწიფოს ოპოზიციაა** და არა — „ქართული ოცნების".

„იმედინიუსი"



**ქსავიერ ბეტელი**
*ლუქსემბურგის საგარეო საქმეთა მინისტრი*

**ნუ მთხოვთ, დავგმო არჩევნები** მხოლოდ იმიტომ, რომ არ მომწონს შედეგები, **არ მაქვს ანგარიში, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოში ჩატარებული არჩევნები არასამართლიანია.**

„პირველი არხი"



**ლასლო კევერი**
*უნგრეთის პარლამენტის თავმჯდომარე*

ჩვენ დარწმუნებულები ვართ, რომ **საქართველო მიაღწევს მიზნებს** და ამ ათწლეულის ბოლომდე გახდება **ევროკავშირის წევრობის ყველაზე მომზადებული კანდიდატი** ქვეყანა.

„პირველი არხი"



**დონ ტუიგი**
*ბრიტანეთის დელეგაციის თავმჯდომარე ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში*

მე არ ვამბობ, რომ **ივანიშვილს,** უბრალოდ, **ქონება უნდა ჩამოვართვათ — ჩვენ ეს ქონება უნდა გამოვიყენოთ!**

„პრაიმტაიმი"

# 6-მილიარდიანი ჭიტლაყი ნაცლიბერალი ჭინკებისათვის



***საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილ ელჩს კელი დეგნანს თბილისში თავისი გენერალ-გუბერნატორული მოსაქმეობის მიწურულს, გაფუჭებული მაგნიტოფონივით ჰქონდა ჩახვეული — ამერიკა საქართველოს 30 წლის განმავლობაში 6 მილიარდი დოლარით დაეხმარაო!***

აშშ-ის მიერ საქართველოსათვის 30 წლის განმავლობაში გამოყოფილი **6 მილიარდი** დოლარის შესახებ **ელჩი დეგნანი** ისეთი სიხშირითა და ინტენსივობით ლაპარაკობდა, რომ ამან ერთგვარი დაყვედრების სახე მიიღო და სულხან-საბა ორბელიანის ცნობილი იგავ-არაკის სიუჟეტს დაემსგავსა: *დატყვევებულ და ორმოში ჩაგდებულ მეფეს ერთი კაცი გააპარებს, მაგრამ გზაში იმდენჯერ ჰკითხავს — ხომ კარგად მოვიქეცი, რომ ორმოდან ამოგიყვანეო, მეფეს ყელში ამოუვა და დაიყვირებს — ამ კაცმა გამაპარაო! როცა ორთავეს შეიპყრობენ და მეფეს გაკვირვებით ჰკითხავენ — რად აყვირდი და არ გაიპარეო, უპასუხებს — სანამ სახლამდე მივაღწევდი, ჩემი მშველელი ყვედრებით ამომხდიდა სულს, ამიტომ ისევ ორმოში ყოფნა ვარჩიეო!*

30 წლის განმავლობაში გამოყოფილი **6 მილიარდი დოლარის** დაყვედრებას **კელი დეგნანმა** განსაკუთრებით მას შემდეგ მოუხშირა, რაც „ქართულმა ოცნებამ" კოლექტიური დასავლეთისადმი დაუმორჩილებლობის პირველი ნიშნები გამოავლინა, გლობალური ომის პარტიის მიერ საქართველოს ომში ჩათრევის მცდელობაზე ხმამაღლა ალაპარაკდა და აშშ-ის ელჩის მისამართით კრიტიკული კითხვების დასმა გაბედა.

მოგვიანებით ისიც გაირკვა, რომ, სანამ ამერიკის მიერ საქართველოსათვის 30 წლის განმავლობაში გამოყოფილ **6 მილიარდ დოლარზე** აპელირებას მოუხშირებდა, **ელჩი დეგნანი** უკვე ნამყოფი იყო მაშინდელი პრემიერ-მინისტრის **ირაკლი ღარიბაშვილის** კაბინეტში, სადაც მას დაჟინებით მოუწოდებდა — **რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი უნდა გახსნათ, 3 მილიონ ქართველს 2-3 დღეში ერთიანად ვერ გაგჟუჟავენ, შემდეგ კი პარტიზანულ ბრძოლებზე გადახვალთო!**

მაშინ საქართველოს ხელისუფლება გლობალური ომის პარტიისაგან **კელი დეგნანის** პირით შემოთვლილ დირექტივას რომ დაჰყოლოდა და უკრაინაში შეჭრილი რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი გაეხსნა, აშშ-ის მიერ მთელი 30 წლის განმავლობაში გამოყოფილი **6-მილიარდიანი დახმარება** ერთბაშად რამდენიმე მილიარდით გაიზრდებოდა და შესაძლოა, გაორმაგებულიყო კიდეც, მაგრამ ქართული სახელმწიფო აღარ იარსებებდა, ქართული ქალაქები ბუჩასა და მარიუპოლის ბედს გაიზიარებდნენ და საქართველოს მიწა საძმო საფლავებით დაიფარებოდა.

სწორედ იმის გამო, რომ „ქართული ოცნების" ხელისუფლება სახელმწიფოებრივ თვითმკვლელობაზე არ წავიდა, პრაგმატულად იმოქმედა და დიდი ზეწოლის მიუხედავად, ანტირუსულ კოცონში ფიჩხის როლის შესრულებაზე უარი განაცხადა, ქართული სახელმწიფო დღემდე უპრეცედენტო საერთაშორისო წნეხისა და პოლიტიკური შანტაჟის ქვეშ იმყოფება, თუმცა, მეორე მხრივ, სამშვიდობო პოლიტიკამ და სუვერენიტეტის აღდგენისაკენ გადადგმულმა ნაბიჯებმა საქართველოსთვის სრულიად ახალი პერსპექტივები გააჩინა.

ამის პირდაპირი დასტურია გასულ კვირას **არაბთა გაერთიანებული საამიროების დედაქალაქ აბუ-დაბიში** საქართველოს სამთავრობო დელეგაციის ვიზიტი და მსოფლიოში სახელგანთქმულ დეველოპერულ კომპანია **„ემაარ ჯგუფთან"** გაფორმებული მემორანდუმი, რომლის თანახმადაც არაბი ინვესტორები საქართველოში **6 მილიარდი დოლარის** ღირებულების პროექტებს განახორციელებენ.

**6 მილიარდი დოლარის** პირდაპირი უცხოური ინვესტიცია! — ეს საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენაა!

მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში საქართველო ამერიკის შეერთებული შტატების სტრატეგიულ პარტნიორად ითვლებოდა, არცერთ ამერიკულ კომპანიას საქართველოში სერიოზული ინვესტიცია არ ჩაუდია და ქართული ეკონომიკისათვის მნიშვნელოვანი ბიძგის მიმცემი ბიზნესპროექტი არ განუხორციელებია!

**მიუხედავად იმისა, რომ უკანასკნელი 30 წლის განმავლობაში საქართველო პროდასავლურ საგარეო კურსს მიჰყვება, არცერთ სერიოზულ ევროპელ ინვესტორს საქართველოში იმის მეასედი თანხა არ დაუხარჯავს, რამდენსაც არაბული „ემაარ ჯგუფი" ერთ პროექტში დებს!**

როგორც გაცხადდა, არაბული კომპანიის მიერ **6 მილიარდი დოლარის** ინვესტირება თბილისსა და ბათუმში მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას გულისხმობს, რაც ავტომატურად ნიშნავს ათიათასობით ახალი სამუშაო ადგილის შექმნას, საბიუჯეტო შემოსავლების ზრდასა და ქართული ეკონომიკის ხელშესახებ წინსვლას.

საქართველოს ისტორიაში უპრეცედენტო საინვესტიციო მემორანდუმის გაფორმების კვალდაკვალ, **პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ** სოციალურ ქსელ „X"-ში დაწერა:

*„ეს მრავალფუნქციური ინფრასტრუქტურული პროექტი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში, დააჩქარებს ეკონომიკურ ზრდას სამუშაო ადგილების შექმნითა და ახალი ინვესტიციებს მოზიდვით, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს გარდაქმნას მრავალმხრივ ბიზნესჰაბად".*

არაბმა ინვესტორმა, „ემაარ ჯგუფის" დამფუძნებელმა **მოჰამედ ალი რაშედ ალაბარმა** აღნიშნა:

*„საქართველოში, ამ საოცარ ქვეყანაში, ეს უზარმაზარი ინვესტიცია, იცით, რას გააკეთებს? ის მოტივაციას მისცემს უამრავ ინვესტორს, რომლებიც იტყვიან: „ოჰო! რაღაც სასწაული ხდება საქართველოში, ჩვენც გვინდა მსგავსის გაკეთება, ჩვენც ვცდით". ასე მოხდა ყველა იმ ქვეყანაში, სადაც პროექტები წამოვიწყეთ. ჩემთვის დიდი სიამოვნება და პატივია საქართველოში მუშაობა. გპირდებით, კარგ საქმეს გავაკეთებთ. როდესაც ამხელა კაპიტალდაბანდება ხდება, ეს მოცულობით პოზიტიურ გავლენას ახდენს ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაზე".*

მოკლედ, რამხელა ეკონომიკური დატვირთვა გააჩნია საქართველოსათვის 6-მილიარდიან უცხოურ ინვესტიციას, ამას ზედმეტი ახსნა-განმარტება არ სჭირდება, მაგრამ მსოფლიოში ცნობილი და აღიარებული არაბული ბიზნესჯგუფის მიერ საქართველოში **6 მილიარდი დოლარის** დაბანდება არამხოლოდ ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ასპექტითაც უმნიშვნელოვანესი მოვლენაა.

სწორედ მაშინ, როცა ანტისახელმწიფოებრივი ნაცოპოზიცია ამტკიცებს — **ივანიშვილის ხელისუფლება საქართველოს საერთაშორისო იზოლაციისაკენ მიაქანებსო,** საერთაშორისო ავტორიტეტის მქონე უმსხვილესი არაბული ბიზნესჯგუფი საქართველოში უპრეცედენტო ინვესტიციით შემოდის!

სწორედ იმ ფონზე, როცა ქართველი ლიბერფაშისტები გაიძახიან — **ამერიკისა და ევროკავშირის მიერ სანქცირებულ ხელისუფლებასთან საქმეს არავინ დაიჭერსო,** იგივე ხელისუფლება დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში ყველაზე მასშტაბურ საქმიან გარიგებას ჩარხავს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მსხვილ ინვესტორთან!

თამამად შეიძლება ითქვას, რომ **6-მილიარდიანი საინვესტიციო მემორანდუმი** ანტიქართული და ლიბერფაშისტური ნაცსექტისათვის მწარე პოლიტიკური ჭიტლაყია, რომელიც მას საქართველოს ხელისუფლებამ და მსოფლიოში ცნობილმა არაბულმა ბიზნესჯგუფმა ერთობლივად ამოსცხეს!

გარდა ამისა, **არაბულ „ემაარ ჯგუფთან"** მიღწეული უპრეცედენტო საინვესტიციო შეთანხმება კიდევ ერთი მკაფიო დასტურია, რომ საქართველოს სწორხაზოვანი საგარეო კურსი და ევროატლანტიკური სივრცისაკენ უკანმოუხედავი სწრაფვა კი არა, მრავალვექტორული და დაბალანსებული საგარეო პოლიტიკა სჭირდება!

საქართველოს ხელისუფლება არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაემსგავსოს ტვინდახშულ ნაცლიბერალებს, რომლებიც გეოგრაფიული ბრმაყრუობით არიან შეპყრობილი და ჰგონიათ, რომ გეოპოლიტიკურ ჰორიზონტს მხოლოდ ერთი — დასავლეთის მხარე გააჩნია, აღმოსავლეთის, ჩრდილოეთისა და სამხრეთის არსებობას კი არ აღიარებენ!

ერთი სიტყვით,

**თუ აშშ-ის ყოფილი ელჩი კელი დეგნანი წამდაუწუმ გვაყვედრიდა – ამერიკა საქართველოს 30 წლის განმავლობაში 6 მილიარდი დოლარით დაეხმარაო, არაბული კომპანია „ემაარ ჯგუფი" საქართველოში 6 მილიარდი დოლარის ინვესტიციას მხოლოდ 3 წლის განმავლობაში განახორციელებს!**



ყოველივე ამის ფონზე, კოლექტიურ ნაცსექტას, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ და ეკონომიკურ იზოლაციაზე ოცნებობს, ისღა დარჩენია, **„ემაარ ჯგუფის"** მიერ დუბაიში აშენებულ მსოფლიოს ყველაზე მაღალ ცათამბჯენზე — **„ბურჯ ხალიფაზე"** აძვრეს და... მთელი ძალით გამოექანოს!




ეს იქნება ყველაზე ლოგიკური და ადეკვატური დასასრული იმ ტრაგიკომედიისა, რომელიც საქართველოს პოლიტიკურ სცენაზე ნაციონალური მოძრაობის მონაწილეობით უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში თამაშდება!

***ჯაბა ხუბუა***

# აი, რატომ არის სალომე ზურაბიშვილი პირველი მოღალატე ქალი საქართველოს ისტორიაში!

***საქართველოს მრავალსაუკუნოვან ისტორიას, საუბედუროდ, მრავალი მოღალატე ახსოვს, მაგრამ იმათ შორის არცერთი ქალი არ ყოფილა, რის გამოც სალომე ზურაბიშვილს სრულიად დამსახურებულად ერგო საქართველოს ისტორიაში პირველი მოღალატე ქალის თიკუნი.***



**სალომე ზურაბიშვილის 40-წამიანი შეხვედრა დონალდ ტრამპთან, ემანუელ მაკრონის თანდასწრებით, პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის გახსნის ცერემონიალზე**

მიუხედავად იმისა, რომ პრეზიდენტი აღარ ჰქვია და ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ მავნებლობისათვის ნაკლები რესურსი გააჩნია, **საქართველოს ისტორიაში პირველი მოღალატე ქალი** ანტიქართულ საქმიანობას აწ უკვე **მაკკეინის ინსტიტუტის** სტიპენდიატის სტატუსით აგრძელებს.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ **მაკკეინის ინსტიტუტი** ამერიკული **დიფ სთეითის, იგივე ფარული დასის** ერთ-ერთი რგოლია, რომელმაც ე.წ. ნაცმაიდნის, ანუ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალების გეგმა ჯერ კიდევ 2024 წლის 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე გამოაქვეყნა, ცხადი გახდება, რომ მისი სტიპენდია **სალომე ზურაბიშვილს** სწორედ ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ აქტიური ბრძოლისათვის დაენიშნა.

დიახ, **საქართველოს ისტორიაში პირველი მოღალატე ქალი — სალომე ზურაბიშვილი** მაკკეინის ინსტიტუტის სტიპენდიატი იმიტომ გახდა, რომ სწორედ მას ჰქონდა მთავარი და საკვანძო როლი ხელისუფლების ანტიკონსტიტუციური გზით დამხობის საქმეში, რისი აქტიური მცდელობაც, თავისი „მოლოტოვის კოქტეილებითა“ და პეტარდების კანონადით, 2024 წლის მიწურულს ვიხილეთ.

როცა **საქართველოს ისტორიაში პირველმა მოღალატე ქალმა — სალომე ზურაბიშვილმა** საქართველოს საჯარო სკოლების მოწაფეებს ქუჩაში გამოსვლისა და რუსთაველის გამზირზე მიმდინარე ძალადობრივ საპროტესტო აქციებში მონაწილეობისაკენ მოუწოდა, ბევრმა ეს მის შეუგნებლობასა და არაადეკვატურობას მიაწერა, მაგრამ იმხანად ჯერ კიდევ პრეზიდენტად წოდებული პროვოკატორი სრულიად შეგნებულად მოქმედებდა და ძალიან კარგად იცოდა, რასაც აკეთებდა, რადგან **მაკკეინის ინსტიტუტის** მიერ შედგენილი ნაცმაიდნის გეგმა აუცილებლად გულისხმობდა ე.წ. საკრალურ მსხვერპლს, ანუ საპოლიციო ძალებთან შეტაკებისას ერთი ან რამდენიმე „მშვიდობიანი მომიტინგის“ სიკვდილს.

თანაც, რევოლუციური სცენარისათვის გაცილებით უფრო ეფექტიანი იქნებოდა, თუ „საკრალური მსხვერპლის“ როლში ბავშვი ან მოზარდი აღმოჩნდებოდა, რაც მყისიერად გამოიწვევდა მასობრივ მღელვარებასა და სტიქიურ პროტესტს... სწორედ ამიტომ მოუწოდა **სალომე ზურაბიშვილმა** სკოლის მოსწავლეებს ქუჩაში გამოსვლისაკენ და ზუსტად ამ მიზნით შეიჭრნენ თბილისის საჯარო სკოლების დერეფნებსა და საკლასო ოთახებში მეგაფონიანი ლიბერფაშისტები, რომლებიც მოსწავლეებს საპროტესტო აქციებზე უხმობდნენ.

თუმცა, მადლობა ღმერთს და ბარაქალა ქართული საპოლიციო ძალების პროფესიონალიზმს, რომ ძალადობრივი საპროტესტო გამოსვლები უმსხვერპლოდ დასრულდა, რის გამოც **მაკკეინის ინსტიტუტმა** იმედგაცრუება ვერ დამალა და განცხადება გაავრცელა — **სასწაულია, რომ თბილისში მიმდინარე აქციებზე ჯერ არავინ მომკვდარაო!**

ერთი სიტყვით,

**სალომე ზურაბიშვილი, როგორც გლობალური ფარული დასის აგენტი და პირველი მოღალატე ქალი საქართველოს ისტორიაში, მთელ თავის საპრეზიდენტო ძალისხმევას იყენებდა, რათა მაკკეინის ინსტიტუტის მიერ დაწერილი სცენარი განხორციელებულიყო და საქართველოში სახელმწიფო გადატრიალება მომხდარიყო, რაც არ გამოვიდა, მაგრამ გაწეული შრომა მაინც დაუფასეს და მაკკეინის ინსტიტუტის სტიპენდია დაუნიშნეს.**

ჰოდა, **მაკკეინის ინსტიტუტის სტიპენდიატმა სალომე ზურაბიშვილმა** რამდენიმე დღის წინათ ინტერვიუ მისცა ამერიკულ გამოცემას **„ჰილი“** (The Hill), რომლის სტატიაში ნათქვამია, რომ იგი 2024 წლის დეკემბერში, რესტავრირებული პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის გახსნის ცერემონიაზე, საფრანგეთის პრეზიდენტ **ემანუელ მაკრონის** დახმარებით, **დონალდ ტრამპს** შეხვდა და უთხრა — **ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველო რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის ინსტრუმენტად უნდა გამოიყენოსო!**




**ამერიკული გამოცემა „ჰილის“ სტატია სალომე ზურაბიშვილის შესახებ**

**მაკკეინის ინსტიტუტის სტიპენდიატ ზურაბიშვილს მიაჩნია, რომ საქართველო უნდა იყოს ამერიკის „სათამაშო მოედანი“ რუსეთის წინააღმდეგ!**

უფრო ზუსტად, ამერიკულმა გამოცემამ სიტყვასიტყვით ასე დაწერა:

> *„მისი (**სალომე ზურაბიშვილის.** რედ.) გზავნილი არის, რომ აშშ-მა რუსეთზე ზეწოლა უნდა მოახდინოს და საამისოდ საქართველო, როგორც „სათამაშო მოედანი“, გამოიყენოს“.*

საქართველო — **ამერიკის „სათამაშო მოედანი“ რუსეთის წინააღმდეგ!**

საქართველო — **სუვერენული სახელმწიფო კი არა, დიდი ქვეყნების დაპირისპირების პოლიგონი!**

საქართველო — **ქვეყანა კი არა, საზარბაზნე ხორცი გეოპოლიტიკურ გიგანტთა ომში!**

ვერაფერს იტყვი, ზუსტად ისეთი პოზიციაა, როგორიც **გლობალური ომის პარტიის მარიონეტს — სალომე ზურაბიშვილს** უნდა ჰქონდეს!

ზუსტად ისეთი განცხადებაა, როგორიც **საქართველოს ისტორიაში პირველ მოღალატე ქალს — სალომე ზურაბიშვილს** შეეფერება!

რა მოუტანა საქართველოს რუსეთის წინააღმდეგ ამერიკის **„სათამაშო მოედნად“** ყოფნამ, ეს 2008 წლის აგვისტოში ვნახეთ, ხოლო 2022 წლის 24 თებერვლიდან, ანუ უკრაინაში ომის დაწყების დღიდან, თვალს ვადევნებთ გლობალური **ფარული დასის** გაშმაგებულ მცდელობას, რუსეთთან ბრძოლაში საქართველო კვლავ **„სათამაშო მოედნად“** გამოიყენოს.

აკი, **გლობალურმა ფარულმა დასმა სალომე ზურაბიშვილი** და მთელი თავისი აგენტურა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ სწორედ იმიტომ დარაზმა და საქართველოს ხელისუფლების დამხობასაც იმის გამო ცდილობს, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ უარი განაცხადა, რუსეთის წინააღმდეგ ამერიკის, უფრო კონკრეტულად კი, ბაიდენის ადმინისტრაციის **„სათამაშო მოედნის“** ფუნქცია შეესრულებინა.

რა ლაპარაკი უნდა, რომ ამერიკული გამოცემა **„ჰილის“** სტატიაში მოყვანილი სალომე ზურაბიშვილის ციტატა — **ამერიკამ საქართველო რუსეთის წინააღმდეგ „სათამაშო მოედნად“ უნდა გამოიყენოსო,** სწორედ **ამერიკული ფარული დასისა და გლობალური ომის პარტიის** გზავნილია, რომელიც თავიანთი აგენტის — **საქართველოს ისტორიაში პირველი მოღალატე ქალის** პირით გააჟღერეს.

თუმცა, როცა ნახეს, რომ **ზურაბიშვილის** განცხადებას საქართველოში ძალიან დიდი აღშფოთება მოჰყვა და საზოგადოების უდიდესი ნაწილის მიერ აღქმული იქნა, როგორც მორიგი ნაცლიბერალური პროვოკაცია ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ, ამერიკულ გამოცემას სტატია ჩაასწორებინეს და დააწერინეს, თითქოს **ზურაბიშვილს** ეთქვას — **ამერიკამ უნდა გამოაცხადოს, რომ კავკასია კრემლის „სათამაშო მოედანი“ არ არისო!**

სინამდვილეში, არავითარ გაუგებრობას, არასწორ თარგმანსა თუ ნათქვამის კონტექსტიდან ამოგლეჯას ადგილი არ ჰქონია და **საქართველოს ისტორიაში პირველმა მოღალატე ქალმა, მაკკეინის ინსტიტუტის სტიპენდიატმა სალომე ზურაბიშვილმა** ამერიკულ გამოცემა **„ჰილთან“** საუბარში სწორედ ის განაცხადა, რასაც ფიქრობს — **საქართველოს ერთადერთი ფუნქციაა, იყოს ამერიკის „სათამაშო მოედანი“ რუსეთის წინააღმდეგ!**

უკეთ რომ ვთქვათ, ასე ფიქრობენ **ამერიკის ფარულ დასსა და გლობალურ ომის პარტიაში,** სალომე ზურაბიშვილმა კი, როგორც მათმა აგენტმა და პოლიტიკურმა ქვევრმა, ის ამოიძახა, რაც ჩასძახეს!

ამიტომაც არის **სალომე ზურაბიშვილი პირველი მოღალატე ქალი საქართველოს ისტორიაში** და ამიტომაც არის **გლობალური ფარული დასი** საქართველოს დაუძინებელი მტერი! თუმცა,

**მაკკეინის ინსტიტუტის სტიპენდიატ სალომე ზურაბიშვილსა და გლობალურ ფარულ დასს მოუწევთ, რომ შეიგნონ და შეეგუონ – საქართველო სუვერენული სახელმწიფოა, რომელიც აღარასოდეს იქნება აღარავის „სათამაშო მოედანი“ აღარავის წინააღმდეგ!**

**პირველ მოღალატე ქალს საქართველოს ისტორიაში — სალომე ზურაბიშვილსა და გლობალური ფარული დასის დანარჩენ აგენტებს** ქართველი ხალხი აღარასოდეს მისცემს საშუალებას, საქართველოს ბედით ითამაშონ!

**ჯაბა ხუბუა**




# თამაზ მოლაშვილი: რატომ არ ამოიღეთ ხმა, როცა სულხან მოლაშვილი ციხეში აწამეს და გურამ შარაძეს შუაგულ თბილისში შუბლში ტყვია დაახალეს?!

***სულხან მოლაშვილის მამა თამაზ მოლაშვილი თვალცრემლიანი იხსენებს სააკაშვილის რეჟიმის მიერ შვილის წამების ფაქტებს და ქუჩაში გამოსულ პროტესტანტებს ერთადერთი შეკითხვით მიმართავს:***

— უპირველესად, მადლობა „ასავალ-დასავალს“, რომ არსებობთ და გახსოვთ სააკაშვილის რეჟიმის მიერ უმოწყალოდ ნაწამები და მოკლული ჩემი შვილი. ნათქვამია, დრო ყველაფერს კურნავსო, მაგრამ თამაზ მოლაშვილის გული ვერ განკურნა. საძინებელ ოთახში თავთან სულხანის ბავშვობის დროინდელი სურათები მიდევს და ხშირად ვბღავივარ — **რა დააშავა ჩემმა შვილმა ისეთი, რომ სააკაშვილის ხროვამ ასე გაიმეტა?** აქციის მონაწილეების გამოსვლებს და მათ განცხადებებს რომ ვისმენ, ხალხს აწამებენო, ბრაზი მომდის, ეტყობა, კარგად არ იციან ამ სიტყვის მნიშვნელობა. წამება ის იყო, რაც ჩემს შვილს გაუკეთეს, უდანაშაულო ადამიანი პოლიტიკური ნიშნით დაიჭირეს, რამდენიმე დღე ჰყავდათ მეტრნახევრიან ბნელ საკანში, კოჭებამდე წყალში გამოკეტილი, სხეულზე სიგარეტებს აწვავდნენ, საკუთარ შვილებს არ ანახვებდნენ, დაააავადეს და ნელი სიკვდილით მოკლეს.

დღეს ამ საპროტესტო აქციებზე ბევრი ისეთი ადამიანი დგას, ვინც ამას ღიად თუ ფარულად ამართლებდა, ხმას არ იღებდნენ რეჟიმის წინააღმდეგ, როცა ანგელოზივით **ბუტა რობაქიძეს, სანდრო გირგვლიანს, გიორგი გამცემლიძეს** კლავდნენ, ციხეებში აწამებდნენ და აუპატიურებდნენ ადამიანებს, ლავიწის ძვლებს უმტვრევდნენ ჩემს შვილიშვილს, მხოლოდ იმიტომ, რომ **სულხან მოლაშვილის** შვილი იყო. მათი ნება რომ იყოს, დღესვე გაანთავისუფლებდნენ პატიმრობიდან სააკაშვილს. ჩემთვის და ჩემნაირი გაუბედურებული ადამიანებისთვის ეს იგივეა, გულში ლახვარი რომ ჩაგასონ. სულ მინდა, ვკითხო მათ — **შვილი გყავთ? რომ მოგიკლან და მე თქვენი შვილის მკვლელის განთავისუფლება მოვითხოვო, გესიამოვნებათ?** ყველა, მით უფრო ქართველი, ვინც ჩემი შვილის მკვლელზე იძახის, გამოუშვითო, უნამუსო და უსულგულოა! გააჩუმეთ თქვენი მყრალი ენები!



მე იმ ახალგაზრდებზე მტკივა გული, მავნე ოპოზიციონერების მიერ ტვინი რომ აქვთ გადაბრუნებული და არ იციან, ვის გვერდით დგანან.

**— ბევრი ცნობილი ხელოვანი, ექიმი თუ ჭკუასაკითხავი ადამიანიც უწოდებს „ოცნებას“ რეჟიმს და თვლის, რომ ქვეყნის სათავეში არ უნდა იყოს!**

— „ოცნებას“ რეჟიმს რომ უწოდებენ, იქვე რატომ არ საუბრობენ იმაზეც, რომ მათი თანამოაზრეები ქვებს, „მოლოტოვის კოქტეილებსა“ და პიროტექნიკას ესროდნენ პოლიციელებს?! აბა, ერთი ვინმეს გაებედა ეს სააკაშვილის ძალოვნებისთვის, წამებით ამოხდიდნენ სულს! ჭკუამოკლე და უტიფარი არის ყველა, ვინც ამაზე თვალს ხუჭავს და მხოლოდ „ოცნების“ გადაცდომებზე საუბრობს.

რეჟიმი რომ მართლა აწამებდა სულხან მოლაშვილს, სად იყვნენ მაშინ?! ქუჩის აქციების ორგანიზატორებიდან ვინმემ ენა ამოიღო? როცა სულხანი დაპატიმრებული იყო, 145-მა ადამიანმა მიმართა ხელისუფლებას მისი განთავისუფლების მოთხოვნით, წერილს ხელს აწერდნენ პროფესორები, აკადემიკოსები, სპორტსმენები. გახსოვთ, რა უპასუხა მათ სააკაშვილმა?


სულხან მოლაშვილი


თორნიკე მოლაშვილი

> **„ერთი შვილი სააკაშვილის მთავრობამ ნელი სიკვდილით მომიკლა, მეორე შვილს „ოცნება“ ეკონომიურად მიკლავს!“**

**— მახსოვს, თუმცა, არ იქნება ურიგო, თუ კიდევ ერთხელ შეახსენებთ საზოგადოებას!**

— ჩარეცხილები უწოდა იმ ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ვინც სულხანის წამებაზე ხმა ამოიღო. მარტო ამისთვის უნდა აგოს პასუხი ამ გარეწარმა! **სად იყო მაშინ დოიაშვილი?** რატომ არ აპროტესტებდა რეჟიმს?! დღეს რომ „ევროპა-ევროპას“ გაიძახიან, საით მიაქანებდა სააკაშვილის ხელისუფლება საქართველოს?! მე წამოვიწყე რუსეთთან ომი და აღვადგინე სავიზო რეჟიმი?! ამ მთავრობამ მოკლა ვინმე, მარშებს რომ უმართავენ?

ვფიქრობ, ხელისუფლებამ მეტი სიმკაცრე უნდა გამოიჩინოს მოძალადეთა მიმართ, ვინც არ უნდა იყოს ის, მსახიობი, სპორტსმენი თუ მასწავლებელი. არ შეიძლება მათთან ენის მოჩლექით საუბარი — მოდით, მოვეფეროთ და იქნებ გაჩერდნენო. ვის უნდა მოვეფეროთ, დოიაშვილს? მთავრობამ გზაზე დააყენა, თეატრი გაურემონტა, ეს კი რაღაცებს მიქარავს. **მე, როგორც ადამიანს და მუსიკოსს, დოიაშვილი და მის ირგვლივ შემოკრებილი ხელოვანები მეცოდება!**

გამოფხიზლდით, ხალხნო, ვის გვერდით დგახართ, ჩემი შვილის მკვლელების?! ახლა მიექანება დემოკრატია უფსკრულისკენ, როცა ხალხს ციხეებში აღარ აწამებენ და აღარ კლავენ? ბიძინა ივანიშვილია რუსი ოლიგარქი და სააკაშვილი — დემოკრატიის შუქურა? კიდევ ერთხელ გეკითხებით, **რატომ არ ამოიღეთ ხმა, როცა სულხან მოლაშვილი ციხეში აწამეს და გურამ შარაძეს შუაგულ თბილისში შუბლში ტყვია დაახალეს?!** არ გეყოთ ვაჟკაცობა თუ სააკაშვილის რეჟიმის შეგეშინდათ?!

**— „ოცნებამ“ გასულ კვირას ოფიციალურად დააანონსა, რომ საგაზაფხულო სესიის პირველივე კვირაში შეიქმნება 2003-2012 წლებში მოქმედი რეჟიმისა და რეჟიმის პოლიტიკური თანამდებობის პირების საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისია.**

— როგორ აპირებენ ამას, როცა სისხლისმსმელი ხალხი და მათი თანამზრახველები ჯერ ისევ თანამდებობებზე არიან?! როდესაც სტრასბურგმა **სულხან მოლაშვილი** გაამართლა, **მურუსიძემ** თქვა — მე რომ ახლა ამ საქმეს ვიხილავდე, ისევ ისე მოვიქცეოდიო. ეს სიტყვები არასოდეს დამავიწყდება!

სულხანი რომ საჩივარს წერდა სტრასბურგში, რეჟიმმა ჩემი მეორე შვილი **თორნიკე მოლაშვილი** სპეციალურად დააკავა იმის გამო, რომ სულხანს სტრასბურგიდან საჩივარი გამოეტანა. იმ დროს თორნიკე დიდუბის რაიონის პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილე იყო და მას შემდეგ აღარ უმუშავია. ნუთუ ბევრია თორნიკესნაირი, „ოცნებისათვის“ გამოსადეგი, ერთგული ადამიანი, დღეს უყურადღებოდ რომ არის მიტოვებული?! **ერთი შვილი სააკაშვილის მთავრობამ ნელი სიკვდილით მომიკლა, მეორე შვილს „ოცნება“ ეკონომიურად მიკლავს.** რომ ნახოთ ჩემი შვილის ორდენები მამაცობისათვის, გული მოგიკვდებათ. მეტი ყურადღება სჭირდებათ ადამიანებს, რომლებსაც დიდი წვლილი მიუძღვით „ოცნების“ გამარჯვებაში და მიუხედავად იმისა, რომ მისი მხარდამჭერი ვარ, არის საკითხები, რომელიც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს!

თუ გინდათ, სამართალი აღდგეს, **გიგა ბოკერიასთან, ვალერი გელაშვილთან და ირაკლი ოქრუაშვილთან** ერთად, რომელიც სულხანის დაკავების დროს გენერალური პროკურორი იყო, ბევრი თქვენიანის გაწირვაც მოგიწევთ! ხართ მზად ამისათვის?

*ესაუბრა*
***ნატო ფოცხიშვილი***

## კვირგვინოსნები

**ზაზა ოქუაშვილი**
*„მთავარი არხის“ თანადამფუძნებელი*



**„მთავარი არხის“ პრობლემა** არის ის, რომ დირექტორებმა — ჯერ **ნიკა გვარამიამ** და შემდეგ **გიორგი გაბუნიამ ტელეკომპანია მიიყვანეს გაკოტრებამდე.** მათი საქმიანობა არის მაგალითი, როგორ შეიძლება ამოეფარო მედიას და **ძარცვო ტელეკომპანია თანამშრომელთა მოთმინებისა და ქვეყანაში მიმდინარე ვითარების ხარჯზე,** გამოიყენო და გადააქციო ტელევიზია საერთაშორისო მასშტაბით **მილიონობით დოლარის გათეთრების მანქანად.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**თამარ ჩარკვიანი**
*ყოფილი პარლამენტარი*



ვის ლობირებდა **ხაზარაძე** — **ნოშრევან ნამორაძეს, ფხაკაძეს თუ პაპაშვილებს?!** მოვიდეს **ხაზარაძე** საზოგადოებრივ არხზე, **დებატებში დამიჯდეს,** მე პირდაპირ ეთერში ვეტყვი, ვისაც ლობირებდა და რატომ! „ახალი თაობა“

**გიორგი ახვლედიანი**
*პოლიტიკის ექსპერტი*



საქართველო გახდა სიმბოლო, როგორ შეიძლება **უკრაინის მაიდნის ფორმულა ველარ გამოიყენო** და გადატრიალება არ გამოგივიდეს!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**პავლე (პაპუნა) კახიძე**
*პარტია „ხალხის ძალის“ წევრი*



ნაცები კარგად ახერხებენ, რომ **სტუდენტები მოატყონ და ინფორმაციულ ვაკუუმში მოაქციონ,** „ქართული ოცნება“ კი ვერ ახერხებს, რომ მათ სიმართლე დაანახოს!

„საქართველოს რესპუბლიკა“

**მამუკა არეშიძე**
*ყოფილი დეპუტატი*



სადაა, აბა, ოპოზიცია?! **დღეს საქართველოს ოპოზიცია უბრალოდ დამალულია,** გამქრალია, არ არის ოპოზიცია.

„ახალი თაობა“

***საქართველოს პარლამენტის ყოფილი წევრი, პროფესორი ომარ ნიშნიანიძე ქვეყანაში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ვითარებას ეხმიანება და აღფრთოვანებას ვერ მალავს, რომ, ბოლოს და ბოლოს, ქართული სახელმწიფო შედგა:***





# „გოგლა, სააკაშვილმა და ნაცებმა ძმა მოგიკლეს და ზურაბ ჟვანიას მკვლელების გვერდით როგორ დგახარ?“

— ამასწინათ „ასავალ-დასავალი“ სწორად წერდა, რომ **სალომე ზურაბიშვილი** პირველი მოღალატე ქალია საქართველოს ისტორიაში. მართლაც შეიძლება, ასე გძულდეს სამშობლო? მაგრამ ამ მოღალატეებისთვის საქართველო სამშობლო არასოდეს ყოფილა. საქართველო ეს ჩვენთვისაა სამშობლო, მის ყოველ წარუმატებლობაზე გული რომ გვისკდება, თორემ ესენი უსამშობლო გარეწრები არიან. სააკაშვილისთვის და მისი ხროვისთვის საქართველო სამშობლო არ არის... ეს მუწუკები მოსაშორებელია და, მგონი, მალე მოვიშორებთ კიდეც!

**— ბატონო ომარ, იმედი გაქვთ, რომ ბოლოს და ბოლოს, მოღალატეები ჩაირეცხებიან?**

— ჩვენ რამდენჯერმე დაგვპირდნენ, რომ ამ ნაძირალებს გაასამართლებდნენ! ეს ბოლო დაპირებაა... თუ ეს დაპირება არც ამჯერად შესრულდა, მაშინ ამ ხელისუფლებას მოუწევს პასუხისგება! **ძალიან დიდი იმედით შევყურებ კომისიის შექმნას, რომელმაც 2003-2012 წლებში სააკაშვილისა და მისი ხროვის მიერ ჩადენილი დანაშაულები უნდა გამოიძიოს. მერწმუნეთ, არნახული ეფექტი ექნება იმას, როცა მთელი ეს პროცესი გადაიცემა ტელევიზიის პირდაპირ ეთერში.** აქედან გამომდინარე, ველოდები ისეთი მასალების გამომზეურებას, რომელიც საზოგადოებას ბევრ რამეზე დააფიქრებს. პირადად მე, „ქართული ოცნების“ დამფუძნებელი, პროფესორი ომარ ნიშნიანიძე, ყველანაირად შევეცდები, ზეწოლა მოვახდინო ხელისუფლებაზე, რათა სამართალმა პური ჭამოს და დამნაშავეებმა პასუხი აგონ!

**— როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ მოახერხა სამართლიანობის აღდგენა იმ პარლამენტმა, რომლის წევრი 2012 წელს თქვენც იყავით?**

— კარგად მახსოვს, პარლამენტში ამ მოღალატეებს რომ მივაწვებოდით, ისევ ჩვენები გვაჩერებდნენ და უკან გვახევინებდნენ... ბატონ ბიძინას პირადად არაერთხელ უთქვამს ჩემთვის — **ომარ, მოდი, კიდევ ერთხელ მივცეთ შანსიო!** როგორც დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს მოღალატე ლიპარიტ ბაღვაშზე, „კუდი ძაღლისა არ განემართების, არცა კირჩხი მართლად ვალს“, ასეა ჩვენშიც — ნაცებისა და მათი სატელიტების გამოსწორება არ იქნა და არც იქნება! ეს არის საქართველოს სიმსივნე, რომელიც უნდა მოიკვეთოს!

**— ჩვენ ირგვლივ საოცრებები ხდება... გოგლა ჟვანია — ზურაბ ჟვანიას ძმა, აგენტურის მხარეს დადგა! ამას რით ახსნით?**

— გოგლა ჟვანია და მე ერთად ვიყავით პარლამენტში და მისი საქციელით გაოგნებული ვარ. ერთი გოგლა ჟვანიას ტვინში ჩამახედა და გამაგებინა, იქ რა ხდება და რა ტრანსფორმაცია მოხდა ასეთი? ჩემს სტუდენტებს, მეგობრებს, კოლეგებს, ახლობლებს **გოგლა ჟვანიაზე** რომ ვეკითხები, ყველა გაოგნებულია... **გოგლა, სააკაშვილმა და ნაცებმა ძმა მოგიკლეს და ზურაბ ჟვანიას მკვლელების გვერდით როგორ დგახარ?** პირადად მე ამ პოლიტიკის გამო უახლოესი მეგობრები დავკარგე, ისეთები, თავი კიტრივით რომ მოჰქონდათ. შე დალოცვილო, შენ თუ ჩემი მეგობარი ხარ, შემეკითხე რაღაცა, თუ არადა, საქართველოს მტრებს რომ გულშემატკივრობ, ჩემთან მეგობრობას როგორღა აპირებ?

**— ფაქტია, რომ გადატრიალება ჩაფლავდა... როგორ ფიქრობთ, ხელისუფლება რამ გადაარჩინა?**

— მხოლოდ ხელისუფლება კი არა, საქართველო გადარჩა! ხელისუფლების ქვედა და საშუალო რგოლები რომ ნაცებითაა გამოტენილი, ცნობილია, მაგრამ ყოჩაღ, რომ უმაღლესმა სახელისუფლებო ვერტიკალმა სიმყარე შეინარჩუნა და არ ჩამოინგრა. დარწმუნებული ვარ, იმათ, ვინც ამ არშემდგარი გადატრიალების მცდელობის უკან დგას და ამ მოძალადეებს აფინანსებს, სწორედ ამის იმედი ჰქონდათ, მაგრამ სახელმწიფომ გაუძლო. **ყოჩაღ, შინაგან საქმეთა სამინისტროს და პირადად მინისტრს, მაგარი ბიჭები გვყოლია!** სულ მეშინოდა — უკან არ დაიხიონ-მეთქი, მაგრამ ქართული სახელმწიფო შედგა. ჯერ რას ითმენდნენ ეს ბიჭები!.. მე, მაგალითად, ვერ მოვითმენდი... ყოჩაღ! მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად გამიჩნდა იმედი, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა უომრად შეუძლია!



## ომარ ნიშნიანიძე:

# ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ, დაახლოებით, ერთ თვეში საქართველოსა და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაწესებული ყველანაირი სანქცია გაუქმდება!



დონალდ ტრამპი და უნგრეთის პრემიერ-მინისტრი ვიქტორ ორბანი



დონალდ ტრამპი და ისრაელის პრემიერ-მინისტრი ბენიამინ ნეთანიაჰუ



დონალდ ტრამპი და საუდის არაბეთის პრინცი მუჰამედ ბინ სალმანი

**პრეზიდენტმა ტრამპმა პირდაპირ გამოაცხადა – ჩემი მეგობარი ქვეყნები უნგრეთი, ისრაელი და საუდის არაბეთიაო! საქართველოს იდეალური ურთიერთობა აქვს სამივე ამ ქვეყანასთან, რაც შემთხვევითი არ არის. მართლაცდა, ყოჩაღ, ხელისუფლებას, რომ ეს ყველაფერი გათვალა!**

**— მიუხედავად ამისა, ოპოზიცია ირწმუნება, რომ ბიძინა ივანიშვილს კიდევ უფრო მძიმე სანქციები ელის და ქვეყანა იზოლაციაშია!**

— ჩემი სიტყვა დაიმახსოვრეთ, დაახლოებით, ერთ თვეში საქართველოსა და ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ დაწესებული ყველანაირი სანქცია გაუქმდება! ბარაქალა ბიძინას, რომ ამოდენა ზეწოლას ასე ღირსეულად და ვაჟკაცურად გაუძლო! საწყალი ზვიად გამსახურდია განა იმავე ძალებმა არ მოკლეს? ეს არის მდინარის დინების წინააღმდეგ ცურვა, რასაც ზვიადი შეეწირა, ხოლო ბიძინა ივანიშვილს უფრო გაუმართლა, რადგან ტრამპმა სულზე მოგვისწრო... ჩვენი გადარჩენის ფორმულა ერთია — კალთაში არავის უნდა ჩავუჯდეთ და დავიცვათ ბალანსის პოლიტიკა! თუ ამ სტრატეგიას არ ვუღალატებთ, საქართველოს ისეთი მდებარეობა მისცა ღმერთმა, ყოველთვის გამარჯვებული იქნება!

**— პუტინს ევროპა გააჩერებს?**

— ევროპა შეაკავებს რუსს? მეტი არაა ჩემი მტერი! ტრამპის სიტყვები მენიშნა და ეჭვი არ მეპარება, რომ ამერიკის პრეზიდენტი ევროკავშირს დაშლის! ხომ ხედავთ, ცალ-ცალკე ელაპარაკება ყველა ქვეყანას... ასე რომ, **სულ მალე ჩვენც აღარ გვექნება ვინმესთან სახვეწარი და სალრიტინო — არიქა, ამაში მიგვიღეთ და იმაში მიგვიღეთო!**

**— ქვეყანას ახსოვს ჩხუბი პარლამენტში, როცა კაკოია ბობოხიძეს თავში მიკროფონი ჩასცხეთ... ბობოხიძე და თქვენ შერიგდით?**

— *(იცინის)* არა, არ შევრიგებულვართ! **ბობოხიძე** ერთი-ორჯერ შემხვდა და ამიარა გვერდი. ეროვნულ მოძრაობაში კაკო ბობოხიძე გზაზე მე დავაყენე, მაგრამ მერე მიღალატა და მხედრიონელებსა და ქვეყნის დამაქცევრებს შეეკრა. ბობოხიძე თავის დღე და მოსწრება სულ მოღალატე იყო!

**— პოლიტიკურად გააქტიურებას აპირებთ?**

— რა გითხრათ, უკვე პატარა ბიჭიც არ ვარ, მაგრამ, თუ „ქართულ ოცნებას“ დავჭირდები, იციან, სადაც ვარ და ჩემი იმედი ყოველთვის შეუძლიათ ჰქონდეთ!

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## კვირგვინოსნები

**ანა ნათელიძე**
*ნაციონალური მოძრაობის წევრი*



**ზურა ჟვანიას ძმისგოგლა ჟვანიას** ინტერვიუ ვნახე — წუხს, ევროსაბჭო დატოვა „ქართული ოცნების“ დელეგაციამო. საერთოდ, ამ კაცს, რომელმაც **საკუთარი ძმის სიკვდილით ივაჭრა და ფული აკეთა,** აზრს რატომ ეკითხებით, ეგ გამკვირვებია. **გოგლა ჟვანიას ბოდიში აქვს მოსახდელი ნაციონალურ მოძრაობასთან და მიხეილ სააკაშვილთან.**

„რეზონანსი“

**ლევან ქობულიშვილი**
*გერმანიაში მოღვაწე ქართველი ფიზიკოსი, პროფესორი*



**ქართველ ემიგრანტებს მინდა, შევთავაზო ექსპერიმენტში მონაწილეობა:** რომ დაინახავთ პოლიციელს, **მიდით და სთხლიშეთ სახეში.** დარწმუნებული ვარ, ამას არ გააკეთებთ, **გასუსული დადიხართ, უცხოელ პოლიციელებს რომ ხედავთ.**

„იმედინიუსი“

**ირაკლი კირცხალია**
*ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის პირველი მოადგილე*



სრულიად სამართლიანად ვეძახით მათ **უსამშობლოებს,** ვინაიდან ისინი პოლიტიკური გუნდის ოპოზიციაში კი არ არიან, **ისინი თავისი ქვეყნის, თავისი მოსახლეობის ოპოზიციაში არიან.**

„იმედინიუსი“

**ლევან ლორთქიფანიძე**
*პოლიტოლოგი*



ქართულ პოლიტიკურ ველს **ახალი ძალები და მოძრაობები** სჭირდება.

„ახალი თაობა“

*პარტია „გირჩის“ ლიდერი ИАГО ХВИЧИА აცხადებს, რომ დღევანდელ ქართულ ოპოზიციას ნამუსი არა აქვს, სამაგიეროდ, ყველანაირი საპოხი საშუალება გააჩნია, რათა ტრამპთან საერთო ენა გამონახოს, თუმცა, ეს ამბავი არ გამოვა.*



# იაგო ხვიჩია: ეს ოთხი ოპოზიციური პარტია, რომელიც „ქართული ოცნების“ თამაშს თამაშობს, ან იდიოტია, ანდა – ხელისუფლებასთან გარიგებული!

**— თქვენ რომ პროკურორი იყოთ, რა კვალიფიკაციას მისცემდით იმას, რაც ნოემბერ-დეკემბერში რუსთაველზე ხდებოდა? მხედველობაში მაქვს პარლამენტში შეჭრისა და გადაწვის მცდელობა, პოლიციელებისთვის პიროტექნიკის, ქვების, რკინის ბურთულებისა და „მოლოტოვის კოქტეილის“ დაშენა...**

— ადამიანები, რომლებიც ვიღაცებმა წააქეზეს, ზოგჯერ ცდებოდნენ კანონს, მაგრამ არა იმდენჯერ, რამდენი პატიმარიც ახლა ციხეშია! ეს არ ყოფილა ორგანიზებული დაჯგუფება, ეს იყო ვიღაცის მიერ ემოციაზე აგდებული ახალგაზრდობა.

**— და ვინ არიან ეს „ვიღაცები“, რომლებმაც ახალგაზრდები „აგდეს“?**

— ეს ვიღაცები, უპირველეს ყოვლისა, არიან მედიასაშუალებები, ანუ ტელევიზიები, ენჯეოშნიკები და გარკვეული ოპოზიციური ლიდერები, რომლებიც ახალგაზრდების უკან იმალებიან! არცერთი ოპოზიციონერი ლიდერი დღეს ციხეში არ ზის, მაგრამ ახალგაზრდები, რომლებსაც ისინი ძალადობისკენ მოუწოდებდნენ, ციხეში სხედან და ბელადებს ამ ახალგაზრდების დაცვაზე არ უფიქრიათ!

**— მოდით, დავაკონკრეტოთ, მაინც ვინ აქეზებს ახალგაზრდებს და ვინ იმალება მათ უკან?**

— ესენი არიან იმ ოთხი პარტიის ლიდერები, რომლებმაც მოახდინეს ოპოზიციური ველის პრივატიზება და სცადეს საპროტესტო მუხტის კორექტირება.

**— რატომ ვერ ჩნდებიან ეს ლიდერები აქციებზე?**

— ოპოზიციური ლიდერები, რომლებიც ახალგაზრდებს აქეზებდნენ და აქეზებენ, აქციებზე ვერ ჩნდებიან იმ უბრალო მიზეზით, რომ ხალხი მათ დევნას აგინებს! ყველაფერის მიუხედავად, მაინც მგონია, რომ ამ ოთხი პარტიის ლიდერებში თავიანთი სისულელით ან წინასწარი განზრახვითა და შეთანხმებით, ხელისუფლების საქმეს აკეთებენ!

**— თქვენ ფიქრობთ, რომ გვარამია, მელია, ვაშაძე, გახარია, ხოშტარია ხელისუფლებასთან არიან შეკრულნი?**

— რას დავარქმევთ მათ — შეკრულებს თუ გარიგებულებს, მოდით, ამაზე სხვა დროს ვილაპარაკოთ, მაგრამ გაგახსენებთ ჩემს პაექრობას ნიკა მელიასთან „პირველ არხზე“. როცა მას გკითხე — საიდან მოიტანეთ წინასაარჩევნოდ 140 მილიონი მაშინ, როცა პოლიტიკაში ვარ, ბიზნესმენებს, დონორებს ვიცნობ და შეუძლებელია, „ქართული ოცნების“ გარეშე პოლიტიკურმა პარტიამ ფული იშოვოს-მეთქი? — ამ კითხვის პასუხად ნიკა მელიასგან მივიღე სრული დუმილი. თქვენ მიერ ჩამოთვლილი ხალხის დიდი ნაწილი სწორედ იმ პარტიაში იყო, რომლის ფულის წარმომავლობაზეც ვიკითხე... რაც შეეხება მამუკა ხაზარაძეს, ვითომ ამდენს იბრძოდა ხალხს ასანქცირებდა, მაგრამ ახლახან გამოვიდა და თქვა — ამერიკაში ჩემი მეგობრების დასასანქცირებლად არ დავდივარო! აქედან გამომდინარე, მამუკა ხაზარაძე ნამდვილად არ არის ის კაცი, რომელიც ქუჩაში გასული ხალხის ინტერესებს იცავს. ამიტომ სრული უფლება მაქვს, განვაცხადო, რომ **ეს ოთხი ოპოზიციური პარტია, რომელიც „ქართული ოცნების“ თამაშს თამაშობს, ან იდიოტია, ანდა ხელისუფლებასთან გარიგებული!**

**— ამბობენ, რომ დონალდ ტრამპმა საქართველოს ხელისუფლება სულზე მოუსწრო, თორემ ამ ხელისუფლებას აუცილებლად დაამხობდნენ! ეთანხმებით?**

— მაინც მგონია, რომ **ტრამპი** „ქართული ოცნებისთვის“ მთლად ღვთის საჩუქარი არ იქნება, რადგან **ბაიდენისგან** განსხვავებით, რომელიც, ფაქტობრივად, ვერ მართავდა, იგი ძალიან ეფექტური მმართველია. აქედან გამომდინარე, ამ ხელისუფლებას რომ გაიცნობს, ტრამპი „ქართული ოცნების“ მიმართ რას მოიმოქმედებს, ღმერთმა უწყის!

**— ამ ოპოზიციას რომ გაიცნობს, ტრამპი რას იზამს?**

— ეს კი ნამდვილად იქნება დიდი პრობლემა ოპოზიციისთვის... პირდაპირ გეტყვით, ამ ოპოზიციას პრეზიდენტ ტრამპთან მეგობრობა არანაირად არ გამოუვა, ეს გამორიცხულია! **ამ ოპოზიციას ნამუსი არა აქვს, სამაგიეროდ, ყველანაირი საპოხი საშუალება გააჩნია, რათა ტრამპთან საერთო ენა გამონახოს;** თუმცა, ეს ამბავი არ გამოვა. ოპოზიციაში ერთადერთი პარტია ჩვენ ვართ, ვინც ტრამპს იმთავითვე მხარს უჭერდა. ამიტომაც ვიყავით ჩახსნილი ყველა საერთაშორისო შეხვედრიდან. ნებისმიერ შემთხვევაში,

**ტრამპი საქართველოში შექმნილი ვითარების შესახებ ინფორმაციას სპეცსამსახურებისგან მიიღებს და არა პარტიებისა და ენჯეოებისგან.**

აი, მერე გამოჩნდება ყველაფერი!

**— როგორ ფიქრობთ, ვადამდელი არჩევნების საკითხი მოიხსნა?**

— მიმაჩნია, რომ საბოლოო ჯამში მაინც ისე იქნება, როგორც ამერიკელები, კერძოდ, **პრეზიდენტი ტრამპი** გადაწყვეტს! თუმცა, ჩემი აზრით, ამდენი ლანძღვა-გინებისა და უბედურების შემდეგ „ქართული ოცნება“ თვითონ უნდა მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ ვადამდელი არჩევნები ჩაატაროს!

**— დღევანდელ ოპოზიციაში სიამტკბილობა დიდხანს გაგრძელდება?**

— მოგეხსენებათ, თავიდანვე ვუჭერდი მხარს ერთი დიდი ნაციური კოალიციის შექმნას, სადაც ყველა ნაცი გაერთიანდებოდა! ეს ბევრად უკეთესი იქნებოდა, მაგრამ ნაცები ოთხ პარტიად გაიყვნენ და ამ ოთხ პარტიაში გადანაწილებულებს ერთმანეთი ჭირივით სძულთ, ფაქტია, რომ ეს არის ტოქსიკური კოალიცია, მაგრამ, სანამ ბარიერები იქნება, ასეთი კოალიცია იარსებებს.

**— შევა თუ არა ოპოზიცია პარლამენტში?**

— მოგეხსენებათ, ფსონი დადებული მაქვს და ესენი პარლამენტში შევლენ! სხვათაშორის, როგორც შევიტყვე, **ოპოზიციის რაღაც ნაწილი პარლამენტარის ხელფასს უკვე იღებს.** ამის თაობაზე პარლამენტს შევკითხვით მივმართეთ. ყველაფერს გადავამოწმებთ და საზოგადოებას მოვახსენებთ!



## „ოპოზიციის რაღაც ნაწილი პარლამენტარის ხელფასს უკვე იღებს!“

## „ნაცები ოთხ პარტიად გაიყვნენ და ამ ოთხ პარტიაში გადანაწილებულებს ერთმანეთი ჭირივით სძულთ!“

*ესაუბრა*
*დიტო ჩუბინიძე*

## კვირგვინოსნები

**ალექსანდრე რაქვიაშვილი** *„გირჩის“ წევრი*



იქ ზვარაძია ერთ ბიძინასთან დაახლოებულ **მილიონერს დასანქცირებისგან იცავს**, აქ **ხაზარაძე** სხვა ქოცების **მილიონერების გადასარჩენად ამერიკაში დაფრინავს**. იქ **მელიას** კრუნჩხვები აქვს, **ვერ ამბობს, თუ ვინ აფინანსებს.**

„აიპრესი“

**სოსო მანჯავიძე** *ანალიტიკოსი*



**ოპოზიცია ყოველწლიურად პარლამენტზე შტურმს ახორციელებს და ეს ქმედება დაუსჯელი რჩება** — არც პოლიტიკური შეფასება ეძლევა და არც სამართლებრივი. წარმოგიდგენიათ, **პოლიციაზე ძალადობა და გადატრიალების მცდელობა ხულიგნობად ცხადდება.** თურქეთში გადატრიალების მცდელობისთვის უამრავი ადამიანია დაჭერილი. იქ სოციუმში გამოქვეყნებული მუქარა, გინება ოთხი წლით პატიმრობით ისჯება. აქ სახელმწიფო გადატრიალება **ეროვნულ სპორტად** გადაიქცა.

„საერთო გაზეთი“

**გელა ნიკოლაიშვილი** *უშიშროების სამსახურის ყოფილი თანამშრომელი, ოფიცერი*



ოპოზიცია თავის ნათქვამ სისულელეში თავადვე იხლართება. როგორ ფიქრობთ, ოპოზიციის მართლა რომ გაემარჯვა, **გაყალბებაზე, შანტაჟზე, ფლომასტერის გაჟონვაზე მაინც ილაპარაკებდა?!** იტყოდნენ, რომ არჩევნები იდეალურად ჩატარდა **და დარღვევების ხსენებაც არ იქნებოდა.**

„საერთო გაზეთი“

**მირიან ჯაჯანი** *„სტრატეგია აღმაშენებლის“ ლიდერი*



გამოსავალი **საერთო დიდი პოლიტიკური პლატფორმის** შექმნაა, მინდა, ყველა პარტიას, მათ შორის, **ძალაუფლების** ვუთხრა, რომ არ **არის იმის გარჩევის დრო, ვინ რომელი პარტიიდან არის.**

„პირველი არხი“

# მოგელანდებით!



## მოგზაურობა ქართულ პოლიტიკაში გელა ზედელაშვილთან ერთად

# ამის ბებიის ტრიკომა!




**ეს ვინ ჩვენი ფეხებია,** აშშ-ს რომ საქართველოს სთავაზობს?!

**ვის დაჰკარგვია? ვისი თესლიდან აღმოცენებულა და საიდან ჩამოთრეულა?!**

ვინმეს რამე რომ შესთავაზო, ეს რამე უნდა გაგაჩნდეს, ან უფლება უნდა გქონდეს, ან ნება უნდა დაგრთონ.

ამას კი, ამ **ამორალურ დედაბერს,** არც არაფერი გააჩნია, არც უფლება მიუნიჭებიათ, არც ნება მიუციათ!

☺

ადრეც დავწერე და ვიმეორებ: როდესაც ნაპოლეონი წმ. ელენეს კუნძულზე გადაასახლეს, სახლში ჩაიკეტებოდა ხოლმე და სანამ არ დაუძახებდნენ — **ბატონო იმპერატოროო,** არავის იღებდა. მეტიც, თუ **იმპერატორს** არ უწოდებდნენ, ირგვლივ ყველაფერს ლეწავდა.

მართალია, ამას ნაპოლეონამდე ცოტა უკლია, მაგრამ აშლილობის მხრივ დაახლოებით იგივე ფაზაშია!

დიახ, დარწმუნებულია, რომ ისევ **პრეზიდენტია** და აშშ-საც **„სათამაშო მოედნად“** საქართველოს სთავაზობს!

**მაშა-მაშა! ამის ბებიის ტრიკომა!**

# ქალი თუ კაცი? – საკითხავი აი, ეს არის!

გავიკითხე...
რას ამბობ, **ქალია,**
ოღონდ **ცოლი ჰყამსო!**
**ქალია და ცოლი ჰყამს-მეთქი?**
ჰო, რა იყო, **ცოლიც ჰყამს,** სიდედრიც, ცოლისდაც, ცოლისძმაც და სიმამრიცო!
სტრასბურგში ეს **ცოლიანი ქალი თეა წულუკიანს** გამოეკიდა — **შე მონავო...** რა იყო, რას მიყურებ, ვერ მიცანიო?
**თეამ** — ვერა, ვერ გიცანიო.
**ეს მე ვარ,**





**საქართველოვო! შენ კიდე მონა ხარ, თანაც ბიძინასიო!** მიხას მონა იძახის ამას, მიხასი, **ჭუჭუსი, გოგიევიჩის, გირჩი ზურაბასი...** რომელი ერთი ჩამოვთვალო? ჰო, **ხაზარაძისაც!**
**თეამ** — **წადი, ფისი ქენი და დაიძინეო.** არადა, ამ **ცოლიანმა ქალმა** ფისი როგორ უნდა ქნას — დამჯდარმა თუ დამდგარმა? შლანგით თუ უშლანგოდ?




# შემოსალაწუნებლები

ამდენი გიჟი და ავადმყოფი ასეთი მცირერიცხოვანი ქვეყნისთვის ძალიან ბევრი გამოდის.

სხვათაშორის, კომუნისტებს ჰქონდათ კარგი წესი — **ეგეთებს აუცილებლად აძლევდნენ თეთრ ბილეთს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამ ბილეთის მფლობელი იყო ალაოდ.**

აბა, ახლა რა უნდა გავაკეთოთ, როცა ამდენ ალაოდ მყოფს ჯიბეში თეთრი ბილეთი კი არა, უმაღლესის დიპლომი უდევს? **გასაგებია, რომ ზოგიერთი უმაღლესის დიპლომი თეთრ ბილეთზე უარესია, მაგრამ იმ ალაოდ მყოფებისგან განსხვავებით, ამ ალაოდ მყოფებს სახელმწიფოს მართვის პრეტენზიები აქვთ.**

ის ალაოდ მყოფები იძახდნენ — **ნაპოლეონებიც ვართ, მაკედონელებიც ვართ, ალმაშენებლებიც ვართ, ციცერონებიც ვართო,** მაგრამ ხელისუფლებაში მოსვლაზე პრეტენზია არასდროს განუცხადებიათ. ესენი კიდე... ესენი **ნაპოლეონებიც არიან, მაკედონელებიც, ალმაშენებლებიც, ციცერონებიც** და თან ხელისუფლების დამხობა უნდათ.



*მღვდელმა შემოულაწუნა! — კადრი ფილმიდან „ნატვრის ხე“*

**გააწანი სილა რეჟიმსო!**

როგორც კი „რეჟიმი“ სწვდებათ ხოლმე ჭუჭყიან კისრებში, ეგრევე იწყებენ ჯღნავილს და ყველანი ავად ხდებიან, ყველას 57 სახის დაავადება აწუხებს თავიანთი ბელადივით.

ისე კი, **მაგისთანებს თავად უნდა შემოულაწუნო მამაპაპურად,** რომ გასცვივდეთ ეგ ჭირიანი აზრები!

# ბრიტანელი ხორცმეტი

## ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში ბრიტანეთის დელეგაციის თავმჯდომარე დონ ტუიგი

### მე არ ვამბობ, რომ ივანიშვილს უბრალოდ ქონება უნდა ჩამოვართვათ – ჩვენ ეს ქონება უნდა გამოვიყენოთ



რა გინდა, **შე ჩვენის დიპლიპიტოვ,** ვის ფულსა და ქონებას ეპოტინები, ვის დაჰკარგვიხარ? გინდა, ბრიტანეთის დელეგაციის თავმჯდომარე იყავი, გინდა — მანჯურიისა, **ვის რა უნდა ჩამოართვა და ვისი რა უნდა გამოიყენო?**

☺

აქამდე ჩვენს თვალში დასავლეთი და აშშ სამართლიანობის პრინციპებზე დამყარებული სამყარო იყო, სადაც კერძო საკუთრება ხელშეუხებლობით სარგებლობდა. ვერ გამიგია, ვცდებოდით თუ ესენი ახლა გადაიქცნენ ღორებად? **არა, ყაჩაღობა რომ გენში აქვთ, ეს ინდიელთა გაჟლეტის პროცესმა და შემდეგ სხვა ქვეყნების მიმართ კოლონიზატორულმა გამოვლინებებმაც აჩვენა, მაგრამ ახლა ხომ 21-ე საუკუნეა?**

არაო, უბრალოდ ქონება კი არ უნდა **ჩამოვართვათ,** უნდა **გამოვიყენოთო, საჩვენოდ დავხარჯოთო, გავინაწილოთო, დავისაკუთროთო.**

წარმოგიდგენიათ — **წავართვათო!** ამ ხორცმეტმა და ყალთაბანდმა!

☺

**ფრთხილად, ემანდ, ეგ ბინძური სიცოცხლე და სული არ წაგართვას ბუნებამ!**

***ლიბერალური ფაშიზმი ბოლომდე გაშიშვლდა. მსოფლიოს მასშტაბით, ამერიკასა და ევროპაშიც, კონსერვატორები იმარჯვებენ. რა ცვლილებებს გამოიწვევს საქართველოში ეს პროცესი? გვესაუბრება ცნობილი ქართველი სპორტსმენი ოლეგ იაძე:***


თუძცა, არაფერი გამოუვათ! — აცხადებს კასპის რაიონის ყოფილი გამგებელი, „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი, ცნობილი სპორტსმენი ოლეგ იაძე:

— სავიზო შეზღუდვების შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სახელმწიფო დეპარტამენტმა ახლახან საქართველოს ხელისუფლების მიმართ მორიგი ნეგატიური ჟესტი დააფიქსირა და ერთობლივი სამხედრო წვრთნები „ღირსეული პარტნიორი“ განუსაზღვრელი ვადით გადადო. უფრო მეტიც, რამდენიმე დღის წინათ საქართველოში ჩამოვიდა აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მოადგილე ეზრა ზეია და ნაცვლად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობის განწყობას გასცნობოდა და ოკეანის მიღმა ობიექტური ინფორმაცია წაეღო, იმ არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერებს შეხვდა, რომლებსაც მოსახლეობაში ეროვნული ცნობიერების წაშლის მიზნით ზღვა ფულით ამარაგებენ და უცხოური გამჭვირვალობის კანონის წინააღმდეგ აყენებენ.

— ამ ქმედებით შეერთებული შტატების ხელისუფლება რაზე მიგვანიშნებს?

— სამი წლის წინათ ამერიკიდან დაბრუნებული სალომე...

ოლეგ იაძ...

მოუთმენლად ველი ბაიდენის უკანასკნელ ამოხროტინებას!

დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
WWW.ASAVALI.COM
2024 წლის 15 - 21 ივლისი
N 30 1548




— ლიბერალურ ფაშიზმს დემოკრატიასა და ზნეობასთან საერთო არაფერი ჰქონია — ჰუმანისტი **ზვიად გამსახურდია** დიქტატორად შერაცხეს, ხოლო ქართველთა სისხლში ყელამდე გასვრილი მიხეილ სააკაშვილი „დემოკრატიის შუქურად“ მონათლეს. რა თქმა უნდა, ასეთი არალოგიკური მიდგომა ოდესმე უნდა დასრულებულიყო და აი, ამერიკაში პრეზიდენტად **დონალდ ტრამპის** არჩევით მთელს მსოფლიოში მართლაც დაიწყო ახალი ერა, რომელიც ყველაფერს თავის სახელს დაარქმევს. ნიშანდობლივია, რომ არჩევისთანავე **ტრამპმა** წინა პლანზე სწორედ ის საკითხები წამოსწია, რაზეც უკვე წლებია, ჩვენი ხელისუფლება საუბრობს და რის გამოც, ლიბერფაშისტებისგან იდევნება: ამერიკის ჯარში აღარ იქნებიან ლგბტ პირები; შეწყდება სქესის გადაკეთების პროპაგანდა და ერთნაირსქესიანთა ქორწინება აიკრძალება.

**— საქართველოსთან მიმართებაში ამერიკის ძველი, ბაიდენისეული პოლიტიკაც შეიცვლება?**

— ამერიკასთან სტრატეგიული თანამშრომლობა ნამდვილად ვერ შედგება. ამას ვერ შეეგუება ე.წ. მსოფლიოს **ფარული დასი,** როგორც უწოდა ტრამპის მიერ **დიფ სთეითად** მონათლულ სიღრმისეულ, ჩრდილოვან მმართველობას „ასავალ-დასავალის“ რედაქტორმა **ლაშა ნადარეიშვილმა.** არ მგონია, ამერიკამ ქართველებს ასე მალე უვიზო მიმოსვლა დაუწესოს, პირდაპირი ავიარეისები გაუხსნას ან თავისუფალი ვაჭრობა დაუშვას, მაგრამ მაინც დიდი მოვლენაა, როცა **გლობალურ ფარულ დასს** უკვე თვით ამერიკის პრეზიდენტი დაუპირისპირდა! მოგეხსენებათ, კანონიერ პრეზიდენტს ზვიად გამსახურდიას თავის დროზე ამერიკის ვერტიკალმა ცილი დასწამა, რომ დიქტატორი იყო და საქართველო მხოლოდ ქართველებისთვის უნდოდა. ამჯერად უკვე ტრამპის ლოზუნგი ხდება **„ამერიკა ამერიკელებს!“**

წინა ინტერვიუებში გეუბნებოდით, მოუთმენლად ველი ლიბერფაშიზმის ერთ-ერთი მთავარი თავკაცის **ბაიდენის უკანასკნელ ამოხროტინება**ს-მეთქი. და აი, სურვილი ამიხდა, უფრო მეტიც, ბაიდენზე უწინ, მისი ულტრალიბერასტული აზრები აძაღლდა და ამ ბინძური იდეოლოგიის უკანასკნელი ხროტინი გვესმის!

მჯერა, ევროკავშირის მესაჯდომე ლიდერებს ამერიკის ახალი პრეზიდენტი ბოლომდე გააშიშვლებს, როცა მათ უკან მდგომ **ფარულ დასს** გადამწყვეტ ბრძოლაში დაამარცხებს! მაგრამ სიფრთხილეც საჭიროა, რადგან **ფარული დასი** საკუთარი ქვეყნის პრეზიდენტობის კანდიდატის შესაძლო მკვლელობასაც არ მოერიდა და ტრამპს ტყვია ესროლა!

**— ტრამპის ეპოქაში უცხოეთის გავლენას საქართველოს თავს აღარ მოახვევენ?**

— კოლექტიური დასავლეთი ყოველთვის გვამადლიდა, რომ ინვესტიციებს გვაძლევდა, ბოლოს კი აღმოჩნდა, რომ ვალს გვადებდა, ფულს კი, საკუთარი ინტერესების ფარგლებში გვაძლევდა, რათა ნაწილი „ატკატების“ სახით უკან მიეღო ან მათივე აგენტურის ჯიბეში დალექილიყო. როცა საქართველოს ხელისუფლებამ ქვეყნისთვის დამღუპველი პოლიტიკური მითითებების შესრულებაზე უარი განუცხადა, ეს კორუმპირებული აგენტურა აგვიჯანყეს და ხელისუფლების რევოლუციური გზით შეცვლა დაისახეს მიზნად. არადა, ისიც ნიშანდობლივია, რომ დასავლური „დახმარების“ შეწყვეტას არ მოჰყოლია ქართული ეკონომიკის ჩამოშლა და საყოველთაო კოლაფსი.



# მიხარია, რომ მოვესწარი ბაიდენის უკანასკნელ ამოხროტინებას!

## „მჯერა, ევროკავშირის მესაჯდომე ლიდერებს ამერიკის ახალი პრეზიდენტი ბოლომდე გააშიშვლებს!“

**— „ეს ხმა ტკბილი“, რაც ამერიკაში გაისმა, ევროპას როდის გადმოედება?**

— ხალხი უკვე მთელი ევროპის მასშტაბით იმაღლებს ხმას **ფარული დასის** წინააღმდეგ. კონსერვატიული ძალების აქტიურობა შეინიშნება საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიაში, სლოვაკეთში, რომლებიც უპირისპირდებიან ევროკავშირის კორუმპირებულ ლიდერთა ლიბერასტულ პოლიტიკას. **შემირცხვენია ის ქართველები, რომლებიც ბალტიისპირელი კუზილიუსების დაკრულზე ცეკვავენ.** სამარცხვინოა, მათი პოზიცია. პირდაპირ გეტყვით, რომ აქამდე არც ევროკავშირის ხელისუფლებაში და არც საქართველოში ამდენი თავმოჭრილი, პირმოჭრილი, ყურმოჭრილი და ცხვირმოჭრილი მონა ჯერ არ მინახავს! ისინი პირდაპირ მტრები არიან, ყველა საშუალებით ხელს უშლიან საქართველოს წინსვლას, გამუდმებით გვაბეზღებენ ევროკავშირში. **ვენაცვალე თეა წულუკიანს, რომელმაც მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ საქართველო აღარ დათანხმდება მისი სახელმწიფოებრიობის წინააღმდეგ მიმართულ რომელიმე დათქმას და მითითებას. გიხაროდენ!** — არც რიგგარეშე არჩევნებს ჩავატარებთ, რადგან ეუთოს მიერ ობიექტურად აღიარებული არჩევნების შედეგები გადახედვას არ ექვემდებარება! არც უცხოელი აგენტურის ლუსტრაციის კანონს გავაუქმებთ და არც ერთნაირსქესიანთა ქორწინების დასაკანონებლად ვიზრუნებთ! დიახ, სწორედ ამ სიტყვებით დატოვა **თეა წულუკიანმა** ის ფორუმი და ქართველებს ეროვნული და სახელმწიფოებრივი ღირსება დაუბრუნა!

**— მაგრამ ამის პასუხად, როგორც მოსალოდნელი იყო, ევროკავშირმა საქართველოში თავის აგენტურას აქციების გაგრძელება უბრძანა. ამ ტალღასაც გაუძლებს ხელისუფლება?**

— ვერაფერს გახდებიან, რადგან ლიდერებად უკვე მხილებული ცნობილი ნაცები ჰყავთ. **ნიკუშა გვარამიას და ჭუჭუ ვაშაძის** ფეხქვეშ მიწა უნდა იწვოდეს! მათ გარდაუვალი სასჯელი ელოდებათ ჯერ ნაცების რეჟიმის პერიოდში ჩადენილი დანაშაულებისათვის და ახლა უკვე ახალი ცოდვების გამოც, რადგან მოქალაქეთა პირადი ქონების დაზიანება იწყეს, მკვლელობის მოწოდებები მეტროს კედლებზე დაწერეს! **ახლა ამდენს ბედავენ და წარმოიდგინეთ, რას იზამენ, ხელისუფლებაში თუ დაბრუნდებიან!**

ხელისუფლება ყოველმხრივ ცდილობს, რომ სიტუაცია დააბალანსოს, მაგრამ მოსახლეობის უმრავლესობის მოთმინების ფიალაც უკვე აივსო და ნებისმიერ მომენტში შეიძლება, გაშმაგებულმა უმრავლესობამ გადათელოს უცხოეთის აგენტურა! **ერთხელაც იქნება, უმრავლესობა ხელისუფლების დამოკიდებულებას აღარ გაითვალისწინებს და ფიზიკურად გადაუვლის ამ პარაზიტებს!**

**— განსაკუთრებით ბიძინა ივანიშვილს ერჩიან.**

— ბიძინა ივანიშვილმა სასწორზე შეაგდო საკუთარი და ოჯახის უსაფრთხოება, უყოყმანოდ გაწირა საკუთარი ქონება, როცა გადამწყვეტ მომენტში საქართველოს ეროვნული ინტერესების დაცვა იტვირთა და **ფარულ დასს** გაცნობიერებულად დაუპირისპირდა! **საქართველოს ისტორიაში ბიძინა ივანიშვილი უთუოდ შევა, როგორც თანამედროვე ეროვნული გმირი და სამშობლოსთვის ღვაწლმოსილი პერსონა!** მჯერა, მალე ქვეყანაში სამართლიანობასაც აღადგენს, აკი, უკვე შეიქმნა საპარლამენტო კომისია, რომელიც წინა რეჟიმის მიერ ჩადენილ დანაშაულებს გამოიძიებს. **ვივარაუდოთ, რომ ძალიან მალე ნაციონალური მოძრაობა, როგორც დამნაშავე პარტია — აიკრძალება; ხოლო ვივამედის ლუქს პალატაში წამოკლაკულ სააკაშვილს ციხის საკანში მიაბრძანებენ და ობიექტურ ბრალდებებს წაუყენებენ, რაც უვადო პატიმრობას ითვალისწინებს!**

**— და მაინც, როდემდე გაგრძელდება დედაქალაქის ცენტრში უცხოური აგენტურის პარპაში?**

— ხელისუფლებას უკვე ყველა წინაპირობა გააჩნია, რათა კანონის ფარგლებში მეტი სიმკაცრე გამოიჩინოს და აგენტურის პარპაში სამუდამოდ დაასრულოს. სალომე ზურაბიშვილსაც კანონის ფარგლებში ისე მიაგოს, როგორც იმსახურებს, რადგან აგენტურის ფაქტობრივი ლიდერი სწორედ იგი ბრძანდება. 53 ადამიანია დაჭერილი, რომელთაგან თითოეულს კონკრეტულ დანაშაულში მონაწილეობა ბრალდება და მათ პოლიტპატიმრებად ნათლავენ.

**— გამორიცხავთ, ქუჩაში გამოსულთა შორის შეცდენილი და გულწრფელი ადამიანებიც იყვნენ?**

— ვინც რევოლუციის მოწყობაში და აქციებზე თუნდაც მინიმალურ ფულად ანაზღაურებას იღებს — შეცდენილად ვერ მივიჩნევ. მაგრამ, თუ ქუჩაში გამოსულ ბრბოში თუნდაც რამდენიმე მიამიტი ჯერ კიდევ შემორჩა, რომელსაც ზნეობაზე ხელი ბოლომდე ჯერ კიდევ არ აუღია, მინდა, მათ პოეტ **ლაშა ნადარეიშვილის** ლექსის სტრიქონებით მივმართო, ვინძლო გონება გაუნათდეთ: **„ეს რა უცხო ხმაურია? ეს რა მეხმა იგრიალა? არ გამყიდო — მამული ვარ! არ მესროლო — ილია ვარ!“**

*ესაუბრა*
***ზაზა დავითაია***

**გვახსოვდეს და არასოდეს ვივიწყებდეთ:**

# გენერალისიმუსი

**№5 (301) ★ 2025 წლის 3 თებერვალი ★ გამოდის 2003 წლიდან**

> **სანამ არსებობს კაპიტალისტური გარემოცვა, იარსებებენ მავნებლებიც, დივერსანტებიც, ჯაშუშებიც, მკვლელებიც და ტერორისტებიც, რომლებსაც ჩვენს ზურგში აგზავნიან უცხო სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოები!**
>
> იოსებ სტალინი

# მისტერ ტრამპ,

## მეორე მსოფლიო ომში გაიმარჯვა იმან, ვისი დროშაც რაიხსტაგზე ამაყად აფრიალდა!

### ეს ქვეყანა იყო დიდი სტალინის საბჭოთა კავშირი!



***უკანასკნელ ხანს მთელი მსოფლიოს ყურადღება მიპყრობილია დონალდ ტრამპისკენ, რომელმაც შეუძლებელი შეძლო და დიფ სთეითის, ანუ ფარული დასის მიერ არჩევნებგაყალბებულმა და სასიკვდილოდ გაწირულმა, საპრეზიდენტო ტახტის დაპყრობა ოთხწლიანი პაუზის შემდეგ მაინც მოახერხა.***

**„რომ დღეს იქნება თუ ხვალ იქნება“,** არც იმას გაუვა წყალი, რომ **ტრამპი და პუტინი** ერთმანეთს აუცილებლად შეხვდებიან და როგორც პოტსდამში **სტალინმა და ტრუმენმა** გადაინაწილეს მსოფლიო, სწორედ ისე გაყოფენ და გადაინაწილებენ უკრაინასაც და დანარჩენ მზისქვეშეთსაც... თუმცა, აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ, თუ ამ ოთხმოცი წლის წინათ ჩინეთს, ინდოეთს, თურქეთსა და ირანს არავინ არაფერს ეკითხებოდა, დღეს ამ ქვეყნების თანხმობის გარეშე მსოფლიო მშვიდობა ვერ შედგება.

**ტრამპი და პუტინი** წინა კვირას ერთმანეთის ქებაში ისე გაერთნენ, რომ მავანს ყური მოჭრა ამერიკის პრეზიდენტის ერთმა ფრაზამ, რომელიც **მისტერ დონალდმა** საკუთარ სოციალურ ქსელში გაავრცელა — **„არასოდეს უნდა დაგვავიწყდეს, რომ რუსეთი დაგვეხმარა მეორე მსოფლიო ომის მოგებაში და დაკარგა 60 მილიონი სიცოცხლე!“**

**ტრამპს** სამართლიანად ადანაშაულებენ იმაში, რომ მან არარეალური რიცხვი მოიტანა და თქვა ის, რაც სინამდვილეში არ მომხდარა — **მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირს 60 მილიონი კაცი არ დაუკარგავს!** ამერიკის პრეზიდენტი ამ შემთხვევაში მართლაც ცდება, მაგრამ, სამწუხაროდ, არამხოლოდ რიცხვებში!

რუსეთი და საბჭოთა კავშირი კი არ დაეხმარა ამერიკასა და მოკავშირეებს მეორე მსოფლიო ომის მოგებაში, არამედ პირიქით, **შეერთებული შტატები და ბრიტანეთი დაეხმარნენ სტალინს, რათა ჰიტლერისთვის კისერი მოეღრიცა!** თუმცა, დახმარებაც იყო და დახმარებაც — **მოკავშირეებმა 1944 წლის 6 ივნისამდე ცოცხალი თავით არ გახსნეს „მეორე ფრონტი“, ხოლო პრეზიდენტი ტრუმენი, რომელიც ჩიკაგოელმა განგსტერებმა მოიყვანეს ხელისუფლებაში, პირდაპირ და დაუფარავად აცხადებდა** — თუ ფაშისტები მოუგებენ რუსებს, ჩვენ დავეხმარებით სტალინს, ხოლო თუ რუსები მოუგებენ გერმანელებს, ჩვენ მივეხმარებით ჰიტლერს, რათა რუსებმა და გერმანელებმა რაც შეიძლება დიდხანს ხოცონ ერთმანეთიო!

არავის დაავიწყდეს ისიც, რომ **პრეზიდენტ რუზველტის** „ლენდ ლიზით“ გაწეულ დახმარებას, რომელმაც თავის დროზე საბჭოთა კავშირს მნიშვნელოვანი შვება მისცა, მოსკოვი 70-იანი წლების ბოლომდე პროცენტებით ისტუმრებდა...

**ისევ მივუბრუნდეთ ტრამპის ზემოხსენებულ ფრაზას!**

საბჭოთა კავშირმა მეორე მსოფლიო ომში 60 მილიონი არა, მაგრამ დაახლოებით **27 მილიონი კაცი ნამდვილად დაკარგა,** ხოლო ფაშისტური გერმანიის ზარალი მხოლოდ 14 მილიონი იყო...

**300 ათასი ჯარისკაცი დაკარგა მეორე მსოფლიო ომში დიდმა ბრიტანეთმა,** რომელიც, ფაქტობრივად, მთელ დედამიწას მითიური ლერნეს ჰიდრასავით იყო შემოხვეულ-დაპატრონებული...

**300 ათასი ჯარიკაცი დაკარგა ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც,** რომელიც სწორედ მეორე მსოფლიო ომმა აქცია მსოფლიოს სუპერსახელმწიფოდ...



გაგიკვირდებათ, მაგრამ **300 ათასი ჯარისკაცი დაკარგა პატარა საქართველომაც,** რაც ჩვენი ქვეყნისთვის დღემდე ტრაგედიაა... თუმცა, სიმართლე აქაც უნდა ვთქვათ — **ქართველ ახალგაზრდებს მშობლები შინ ვერ აკავებდნენ! კომისარიატებში ქართველი ბიჭების უწყვეტი რიგები იდგა და ეს ხდებოდა მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ მთავარსარდალი ქართველი იყო — დიდი სტალინი!**

ასე რომ, ისტორიის გაუკუღმართებასა და ფალსიფიკაციას მხოლოდ კრემლის ბინადარნი კი არ ეწევიან, როცა ყოველი წლის 9 მაისს სამარცხვინოდ დუმან და სამხედრო პარადზე სტალინის სახელს არ ახსენებენ, არამედ იმავეს სჩადიან ამერიკაშიც...

**თუ მსოფლიო ეკონომიკის სათავეები ჩინეთმა ჩაიგდო ხელში, არ გაგვიკვირდება, რომ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვება ჩინეთმაც დაიბრალოს!** თუმცა, ფაქტი ერთია და კაცობრიობის ისტორიული მეხსიერებიდან მას ვერავინ წაშლის — **მეორე მსოფლიო ომში გაიმარჯვა იმან, ვისი დროშაც რაიხსტაგზე აფრიალდა! ეს ქვეყანა იყო დიდი სტალინის საბჭოთა კავშირი!**

სტალინი ცოცხალი აღარ იყო, მაგრამ ქვეყანას ჯერ კიდევ მისი წესრიგი მართავდა, როცა საბჭოთა კავშირმა 1954 წელს კოსმოსში დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრი გაუშვა. **იგივე ითქმის 1961 წლის 12 აპრილს იური გაგარინის კოსმოსში გაფრენაზე, რასაც ამერიკა ცოცხალი თავით ვერ ინელებს!** ეს რომ ასეა, პრეზიდენტ ტრამპის ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ გაკეთებულმა განცხადებამაც დაადასტურა, როცა მან კონგრესს ასეთი სიტყვებით მიმართა: **„მოვუწოდებთ კონგრესს, სრულად დააფინანსოს კოსმოსური პროგრამა „არტემისი“, რათა გარანტირებული იყოს, რომ შემდეგი კაცი და პირველი ასტრონავტი ქალი მთვარეზე ამერიკელები იქნებიან. ეს იქნება საწყისი იმისთვის, რომ ამერიკა გახდეს პირველი ქვეყანა, რომლის დროშაც მარსზე აფრიალდება!“**

სწორედ **სტალინის** პოლიტიკამ მოიტანა ეს გასაოცარი წარმატებები...

გაგარინის ტრიუმფიც **დიდი სტალინური ეპოქის** ინერციის შედეგი იყო და არა სულელი **ხრუშჩოვის** დამსახურება, რომელმაც ქვეყანა დააქცია!

მართლაც, **სტალინის საბჭოთა კავშირი** ამერიკას კოსმოსის ათვისებაში უსწრებდა, ხოლო **ხრუშჩოვის** დროს ქვეყანამ საშინელი დეკადანსი და ჩამორჩენა განიცადა, რაც სულელი ნიკიტას ლოზუნგებშიც კი გაცხადდა — **„დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას!“**

64 წელია, რაც ამერიკას კოსმოსის ათვისებაში საბჭოთა კავშირთან განცდილი საშინელი მარცხი ვერ მოუნელებია!

**დაამხობს თუ არა ტრამპი გაგარინის რეკორდს და აღმართავს თუ არა მარსზე ამერიკის დროშას, ეს არავინ იცის, მაგრამ, რაც ცნობილია, ის ხმამაღლა უნდა ითქვას — საბჭოთა კავშირს მეორე მსოფლიო ომში 60 მილიონი კაცი არ დაუკარგავს და არც ამერიკას დახმარებია ფაშიზმზე გამარჯვებაში!**

პირიქით იყო ასინეთა, პირიქით — **ამერიკელები დაეხმარნენ სტალინს და დიად გამარჯვებაში მთავარი მსხვერპლი იმ ქვეყანამ გაიღო, რომლის დროშაც ქართველმა მელიტონ ქანთარიამ რაიხსტაგის კენწეროზე ააფრიალა!**



## ★ სიმართლე ერთია!

***დიტო ჩუბინიძე***

*დასაწყისი იხ. „გენერალისიმუსი“, 2024 წლის №43-60; 2025 წლის №1-4*

# ას ერგასის


მიხეილ კვესელავა

## საპნის კულტურა...

მერე უფრო „მსხვილფეხა ჯალათები“ გამოჩნდნენ მოწმის მაგიდასთან. ჯერ „ანენერბეს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ვოლფრამ ზივერსი, რომელიც ცნობილი იყო როგორც „ჩონჩხების დამამზადებელი“. მას ისე უჭირდა კითხვებზე პასუხის გაცემა და ისეთ გრძელ პაუზებს აკეთებდა, რომ ბრალმდებელმა მიმართა:

— მე მესმის, რომ თქვენთვის ძალიან მძიმეა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, მაგრამ...

ახლა იყო ეს მძიმე, თორემ თავის დროზე ძალიან ამაყადაც გასცემდა პასუხს. თუმცა, მარტო ზივერსი კი არა, საზოგადოება „ანენერბეში“ უამრავი გამოჩენილი პროფესორი იყო ჩაბმული. ისინიც ესესის ორგანიზაციაში ითვლებოდნენ და სიამოვნებით ადგენდნენ ადამიანთა ჩონჩხების კოლექციებს ან ცოცხალ ადამიანებზე ახდენდნენ ცდებს. მერედა, რა თანამდებობები ჰქონდათ! პროფესორი ბრანდტი იყო საბრძოლო მომწამვლელ ნივთიერებათა გენერალური კომისარი, პროფესორი შპანერი — დანციგის ანატომიური ინსტიტუტის ადამიანთა ჩონჩხების დამზადების ლაბორატორიის გამგე. იყო აგრეთვე გვამების დამზადების განყოფილების გამგე. ჯერ კენინგსბერგში, ხოლო შემდეგ დანციგში დადგმული ჰქონდათ გილიოტინა. „გვამების დამამზადებლები“ ტუსაღს თავს აჭრიდნენ და ისე ინახავდნენ ლაბორატორიის საწყობში. ამის შემდეგ მაზური, ადამიანის ქონისაგან საპნის ხარშვის სპეციალისტი, რეცეპტის მიხედვით უშვებდა საქონელს, რასაც დიდი გასავალი ჰქონდა. მაზურიც აქებდა თავის პროდუქციას, შესანიშნავი ხარისხის საპონი გამოდის ადამიანის ცხიმისაგანო...

აქ ერთხელ კიდევ უნდა შევახსენოთ ბისმარკის სიტყვები:

— ერის კულტურა იმით გაიზომება, თუ რამდენ საპონს ხმარობს იგი.

ნეტავი იმას, ვინც მაზურის საპნის ხმარებით ამჟღავნებდა თავის კულტურას!.. მაზურისას, რომელიც ახლა მოწმის მაგიდასთან დგას და დაწვრილებით ჰყვება, თუ „როგორ ხდებოდა ეს“. მერე ისიც თქვა, თვითონ როგორ ხმარობდა ოჯახში ამ საპონს, როგორც ხელის დასაბანად, ისე სარეცხად. ინსტიტუტის სხვა თანამშრომლებსაც მიჰქონდათ საპონიო, თქვა მან და თავიც მოიწონა: ამ საქმით, რამდენადაც ვიცი, მთავრობაც იყო დაინტერესებულიო და დაასახელა განათლების მინისტრი რუსტი, ჯანმრთელობის მინისტრი კონტი, დანციგის გაულაიტერი ფოსტერი და სხვები, რომლებიც გაეცვნენ ინსტიტუტში ადამიანის ქონისაგან საპნის ხარშვის ტექნიკას...

...მას შემდეგ, რაც ბრალდების მხარემ ასეთი საშინელი მასალები წარმოადგინა მთავარ სამხედრო დამნაშავეთა მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებათა შესახებ, ჯილბერტი დაინტერესდა, მოხდა თუ არა გარდატეხა მათ ფსიქიკაში ან თუ რამე შეიცვალა ჰიტლერთან დამოკიდებულებაში. ამ მიზნით მან ერთხელ კიდევ ჩამოიარა მათი „რეზიდენციები“. რიბენტროპთან რომ შევიდა, უთხრა, ახლა ხომ დაინახეთ, ვინ იყო თქვენი ფიურერი?

**რიბენტროპი:** თქვენ არ შეგიძლიათ, გაიგოთ ჩემი ერთგულება ჰიტლერისადმი...

**ჯილბერტი:** ამგვარმა ბრმა ერთგულებამ ჩაგაგდოთ ისეთ მდგომარეობაში, საიდანაც გამოსავალი ვერ გიპოვიათ. არ მესმის, ახლა მაინც რატომ არ გინდათ, გაწყვიტოთ კავშირი მასთან, როცა მთელმა ქვეყანამ გაიგო, რომ ის მკვლელია?!

გავუწევდი მას...

პაპენიც ცდილობდა, აეხსნა ჯილბერტისათვის, თუ დროზე რატომ არ ჩამოშორდა ჰიტლერს:

— რატომ? — თქვა მან, — რა მექნა! რას გავხდებოდი! უცხოეთში გაქცევა არ მინდოდა, ისე კი დამხვრეტდა. მერე თურქეთში წავედი, მინდოდა, იმ კუთხეში მაინც შემენარჩუნებინა მშვიდობა.

ის კი არა, სულ იმას ცდილობდა, თურქეთი როგორმე ჩაება ომში და გერმანიის მოკავშირედ გაეხადა.

მარტო „პატარა ფუნკი“ ატირდა:

— შევცდი, თორემ 1938 წელს უნდა გადავმდგარიყავი. შევცდი... შევცდი... ახლა კი გვიანაა...

გერინგი კი ოდნავადაც არ იცვლიდა იერს. მართალია, დანაშაულის ფაქტებს აღიარებდა, მაგრამ ჰიტლერს მაინც არ ლანძღავდა. არც ის მოსწონდა, ჯილბერტი რომ სულ საკონცენტრაციო ბანაკებსა და ხოცვა-ჟლეტას ახსენებდა. ერთხელ სასადილოში ვიღაცამ თქვა, ხვალ პროცესზე რუსები ისევ საბრალდებო ფილმს უჩვენებენო. გერინგმა ხელი ჩაიქნია და წამოიძახა:

— ოჰ, ეს რუსები!..

რიბენტროპმა ნიშნის მოგებით მიმართა ჯილბერტს:

— არ გაგიგონიათ, ამერიკელებმა როგორ გაჟლიტეს ინდიელები? ისინიც ხომ დაბალი რასები იყვნენ? ან საკონცენტრაციო ბანაკები ვინ გახსნა პირველად? — ბრიტანელებმა, ბურებისათვის.

— მე ვნახე დახაუ, — წამოიწყო ჯილბერტმა. უნდოდა, რაღაც ეთქვა, მაგრამ გერინგმა შეაწყვეტინა:

— ეხ, ნუ გაგვიჭირე საქმე ამ რამდენიმე ათასი კაცის დახოცვით.

— აგრეთვე... — ისევ სცადა ჯილბერტმა საუბარში ჩარევა, მაგრამ გერინგმა მაინც არ ათქმევინა:

— ჰო, კარგი, კიდევ ერთი მატარებელი...

არც ჯილბერტი მოეშვა:

— კრემატორიუმები, საყასბოები, 6 მილიონი დახოცილი, როგორ არ შეძრწუნდებით!

არა, სულაც არ შეძრწუნებულან!.. ან რა შეაძრწუნებდათ „ნაწლავთა მჭამელთ კაცობრივთა ხორცთა... რამეთუ არა მისცა მათ უფალმან სინანული ცოდვათათვის...“

●

...18 მარტიდან დაიწყო ბრალდებულთა დაკითხვა და, როგორც იქნა, „თევზებიც“ ალაპარაკდნენ. ისინი გამოჰყავდათ

**რიბენტროპი:** არა, ამერიკელებს არ გესმით ეს. გერმანელები მორჩილი ხალხია. ჩვენ ერთგულები ვართ. სხვები ვერ გაიგებენ ამას. მე რა უნდა მექნა.

**ჯილბერტი:** მე მოვკლავდი მას!

**რიბენტროპი:** აჰ, არა, მე ამას აზრადაც ვერ გავივლებდი. არც ვიზამდი!

**ჯილბერტი:** რატომ, ეს ისე ხომ არ იქნებოდა, რომ „საკუთარი მამა“ მოგეკლათ?

**რიბენტროპი:** დიახ, რაღაც ამის მსგავსი, რადგან იგი გერმანიის სიმბოლოდ იქცა...

რიბენტროპისათვის ჰიტლერი ისევ ის განგების მიერ მოვლენილი ღმერთ-კაცი იყო, რომელსაც პლასტიკური ფორმა უნდა მიეცა გერმანელი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ოცნებისათვის და ეხსნა ერი გაჭირვებისაგან.

აქ მას ვოლტერის სიტყვები შეახსენეს:

— ერი, რომლის ხსნა ერთ კაცს შეუძლია, მათრახის ღირსია!..

მათრახის ხსენება რიბენტროპს, რა თქმა უნდა, არ ესიამოვნა, მაგრამ არც ჭკუისთვის დაუტანებია ძალა, რომ ეს შეგონება გაეგო. იგი ისევ მუხლმოდრეკილი იყო თავისი ფიურერის წინაშე...

...ჯილბერტი ხშირად ეკითხებოდა მათ, ასე მონურად რატომ ასრულებდით ჰიტლერის დანაშაულებრივ განკარგულებებსო. ამაზე რიბენტროპმა უპასუხა:

— 1940 წელს რაღაც საკითხში წინააღმდეგობა რომ გავუწიე, მაშინვე ისტერიამ მოუარა, მერე კი სკამზე უღონოდ დავარდა და მითხრა: ხომ ხედავთ, რა მიქენით! გინდათ მომკლათ? მე ავადმყოფი კაცი ვარ, თქვენ კი უნდა დაღუპოთ გერმანია. მე ხომ ერთადერთი კაცი ვარ, რომელსაც შეუძლია, ამ საშინელ დროს წინ გაუძღვეს ერს?!

ამის შემდეგ მე შევპირდი, რომ არასოდეს წინააღმდეგობას არ





„ანენერბეს“ ერთ-ერთი ხელმძღვანელი ვოლფრამ ზივერსი



ნიურნბერგის სასამართლო დარბაზში პირველ რიგში – ჰერმან გერინგი, რუდოლფ ჰესი, იოახიმ ფონ რიბენტროპი, ვილჰელმ კეიტელი, ერნსტ კალტენბრუნერი

რიგრიგობით, იმისდა მიხედვით, რომელ საბრალდებო სკამზე ისხდნენ.

პირველი გერინგი გამოიძახეს. მართალია, იგი ამბობდა, პირველ ნომრად რომ ვზივარ, ეს იმას არ ნიშნავს, პირველი ნომერი დამნაშავე ვაროო, მაგრამ, როგორც ჩანდა, მას ეს „პირველობაც“ ეამაყებოდა. ამიტომ, მოუხმეს თუ არა, მძიმედ წამოდგა, დარბაზი გაიარა და მოწმეთა დაბალ ტრიბუნასთან დაჯდა. მის უკან ორი ხელკეტმომარჯვებული სამხედრო პოლიციელი დადგა. დოკუმენტების გაუთავებელი წარდგენით მოქანცული დარბაზი ერთბაშად გამოცოცხლდა. იმ დღეს არცერთი სავარძელი არ იყო თავისუფალი. კორესპონდენტების იარუსი ისე იყო გაჭედილი, რომ ვიღაცები ფეხზეც კი იდგნენ. ენაკვიმატები ამბობდნენ, ეს თეატრალურ პრემიერას ჰგავსო. განწყობილება მართლაც „საპრემიეროო“ იყო. სტუმართა შორის ისევ გაჩნდნენ ლორნეტებიანი მანდილოსნები. ყველა რაღაც სენსაციას მოელოდა და ღელავდა. ყველას ყურადღება ყოფილი რაიხსმარშლის იმპოზანტური ფიგურისკენ იყო მიპყრობილი. მართალია, ნიურნბერგის ციხეში მან 70 გირვანქა დაიკლო წონაში, მაგრამ „სქელი ჰერმანი“ მაინც წარმოსადეგად გამოიყურებოდა...

... დაკითხვა ჯექსონმა დაიწყო. ბრალდებულს თავი ამაყად და გამომწვევად ეჭირა. ჯექსონს კი ჩვეულებრივზე უფრო კუშტი სახე ჰქონდა. ეტყობოდა, ისიც ღელავდა, რადგან იცოდა, რომ უკომპრომისო ორთაბრძოლა მოელოდა. ამიტომაც ჯიქურ შეუტია გერინგს:

— შესაძლებელია, თქვენ შეგნებული გაქვთ, რომ ერთადერთი ადამიანი ხართ ცოცხლად დარჩენილთა შორის, რომელსაც შეუძლია, დაწვრილებით მოყვეს ნაცისტური პარტიის ნამდვილი მიზნებისა და ხელმძღვანელობის შინაპარტიული მუშაობის შესახებ.

— დიახ, ეს მე კარგად მაქვს შეგნებული, — განაცხადა გერინგმა და უცებ ამოიდგა ენა...

ტრიბუნალის წესდების მიხედვით, ყოველ მათგანს შეეძლო, თავის საქმეზე გამოსულიყო როგორც მოწმე. ფრიკისა და ჰესის გარდა, ყველამ ისარგებლა ამ უფლებით, განსაკუთრებით კი გერინგმა. ასეთ შემთხვევაში დაკითხვას, ცხადია, დამცველები იწყებდნენ, შემდეგ კი ბრალმდებლებიც ერეოდნენ. ამასთან, ბრალდებულებს უფლება ჰქონ-

დათ, მხოლოდ დასმულ კითხვებზე გაეცათ პასუხი. გერინგი და მისი დამცველი შტამერი წინასწარ იყვნენ შეთანხმებულნი, რაც შეიძლება ვრცლად გაეცათ პასუხი დასმულ კითხვებზე. საქმე ის არის, რომ ტრიბუნალის წესდებაში ბრალდებულთათვის რეგლამენტი არ განუსაზღვრავთ. ამით ისარგებლა გერინგმა და 15 საათი ილაპარაკა: პირველ დღეს — 6, მეორეს — 6, მესამეს — 3. ვიღაცამ დათვალა, 54 ათასი სიტყვა თქვაო. ლოურენსმა ლაპარაკი არ შეაწყვეტინა. გერინგსაც ეს უნდოდა და ყველაფერი თქვა, რაც საჭიროდ მიაჩნდა. იგი დარწმუნებული იყო, რომ ნაციონალ-სოციალისტური გერმანიისა და ყველა ბრალდებულის სახელით გამოდიოდა. ფრიჩე წერს თავის მემუარებში:

საგან ფორმალურსა და ფაქტიურ პასუხისმგებლობას იმ ბრძანებებზე, რაც თქვენს მიერ იქნა გამოცემული...

მიუხედავად ამ შენიშვნისა, გერინგი მაინც თავის „ხაზს“ გაჰყვა:

— მე თავს პასუხისმგებლად ვთვლი ყველაფერზე, რაც გავაკეთე: მზადება ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად, სახელმწიფოს ისე განმტკიცება, რომ ყოფილიყო დიდი და თავისუფალი. მე ბევრი ვეცადე, ომი ამეცდინა, მაგრამ რაკი ის დაიწყო, მოვალეობა მიკარნახებდა, ყველაფერი გამეკეთებინა, რათა მოგვეგო კიდეც.

ლოურენსი იძულებული გახდა, ისევ ჩარეულიყო:

— ყოველივე ეს ჩვენ ერთხელ უკვე მოვისმინეთ. აღარ გვსურს განმეორება.

გერინგი მაინც ცდილობდა, რაც შეიძლებოდა, ვრცლად გაეს. გერინგმა თქვა, რომ ამგვარი „ფარგლები“ ომის შემდეგ უნდა დაგვედგინაო.

**რუდენკო:** თქვენ ამაზე პრინციპში პროტესტი არ განგიცხადებიათ?

**გერინგი:** პრინციპში არა, მაგრამ მე ძველი მონადირე ვარ და ვიცავ წესს: დათვის ტყავი იმის შემდეგ უნდა გაანაწილო, როცა მას მოკლავ.

**რუდენკო:** თქვენ ეს ტყავი

თავისთავად მეტყველებენ.

რუდენკო დაეთანხმა მას.

დასავლეთის პრესა აღნიშნავდა: რუდენკოს მიერ დაკითხვის შემდეგ ოფლში გაღვრილი გერინგი ძლივს მილასლასდა თავის სკამამდეო. ბრალდებულებსაც გაუქრათ პირველი აღტაცება. ისინი ისევ დასცინოდნენ იმ „სქელ ჰერმანს“. შპეერი ლანძღავდა კიდეც:

— ახლა რაღას მოაქვს თავი!



იბეჭდება შემოკლებით. ტ. III „ნემეზიდას მახვილი“

# დღე


ადოლფ ჰიტლერი და იოახიმ ფონ რიბენტროპი


იოახიმ ფონ რიბენტროპი ნიურნბერგის სასამართლო დარბაზში

— იქ, სადაც ბრალდება მხოლოდ დანაშაულს ხედავდა, გერინგმა საქმის მეორე მხარეც წარმოადგინა, რითაც სხვებსაც უჩვენა მაგალითი, თუ როგორ უნდა დაეცვათ თავი.

რიბენტროპი, როზენბერგი, შტრაიხერი და ჰესი, მართლაც, მის „ხაზს მიჰყვებოდნენ“, ჩვენი დანაშაული გერმანელი ხალხის წინაშე მხოლოდ ის არის, რომ ომი წავაგეთო.

ყოველი მათგანი იმ „მეორე მხარეს“ ებღაუჭებოდა და ჩადენილი დანაშაულის გამამართლებელ მოდუსს ეძებდა. ამიტომ იყო, რომ გერინგმა ასე დიდხანს ილაპარაკა „ვერსალით გაუბედურებულ“ გერმანიაზე.

— მსოფლიოს არ ესმოდა გერმანიის გაჭირვება, — თქვა მან,— არავინ არ დაეხმარა მას, ამიტომ თვითონ სცადა, ეშველა თავის თავისთვის და მივიდა კატასტროფამდე.

ყოველივე ამის პასუხისმგებლობა პროცესის წინაშე თვითონ გერინგმა იკისრა.

— ფიურერი ადოლფ ჰიტლერი მკვდარია, — თქვა მან, — მეორე კაცი მე ვიყავი გერმანიაში. ამიტომაც ვაცხადებ თავს ყველაფრის პასუხისმგებლად. ჩემი მისწრაფება იყო...

აქ იგი გააჩერა ლოურენსმა:

— ასეთი განცხადებები საჭირო არ არის. ტრიბუნალი ისედაც კარგად არჩევს ერთმანეთიცა პასუხი ბრალმდებლის კითხვებზე და, არაერთგზისი გაფრთხილების მიუხედავად, განაგრძობდა ნაცისტური პოლიტიკის პროპაგანდას. იგი ისე დალაგებით და მჭევრმეტყველურად ლაპარაკობდა, რომ ამბობდნენ, იმ დღეს გერინგს მორფი ჰქონდა მიღებული და გონება გაუნათდაო. საბრძოლო განწყობილებაზეც ჩანდა. ზოგჯერ აგრესიულადაც იქცეოდა. ამან შთაბეჭდილება მოახდინა. დასავლეთის პრესა ელვის სისწრაფით გამოეხმაურა ამ ამბებს. წერდნენ: ლოურენსიც კი მოექცა გერინგის გავლენის ქვეშ და ნება მისცა, 15 საათი ელაპარაკაო.

სხდომა რომ დამთავრდა, ბრალდებულები შემოეხვივნენ გერინგს, ულოცავდნენ „ბრწყინვალე გამოსვლას“. ისე ჩანდა, რომ „კაპრალი“ გერინგი კვლავ ჩაუდგა სათავეში თავის უკანასკნელ ოცეულს. მან ისევ მოიგო ბრალდებულთა უმრავლესობის გული...

•

გერინგი არ უარყოფდა, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მომზადებაში რომ იღებდა მონაწილეობას და დაპყრობილი ტერიტორიების რაიხთან შეერთებაზე რომ მსჯელობდნენ, დავა მხოლოდ იმან გამოიწვია, თუ რა ფარგლებში უნდა მომხდარიყო უნდა დაგეყოთ, როცა მთელ ტერიტორიებს დაიპყრობდით?

**გერინგი:** როგორ უნდა მომხდარიყო ეს, იმისდა მიხედვით უნდა გადაგვეწყვიტა, თუ რა ღირებულების იქნებოდა ტყავი.

**რუდენკო:** საბედნიეროდ, ეს ასე არ მოხდა.

**გერინგი:** საბედნიეროდ, თქვენთვის.

ეს ირონიული „საუბარი“ მაშინ გამწვავდა, როცა საბჭოთა კავშირის დროებით ოკუპირებული ტერიტორიების ძარცვის საკითხი დაისვა. რუდენკომ შეახსენა გერინგს მის მიერვე წარმოთქმული სიტყვები:

— უწინ ამას ძარცვას უწოდებდნენ, ახლა უფრო ჰუმანური ტერმინებია შერჩეული, მაგრამ მე მირჩევნია, ისევ „ძარცვა“ ვთქვა. თქვენ დაგეშილი ძაღლებივით უნდა იყოთ და სხვა, რაც თქვენ უკვე იცით.

**რუდენკო:** თქვენ ხომ არ უარყოფთ, რომ სწორედ ასე თქვით?

**გერინგი:** არა, მე სრულიადაც არ უარვყოფ ამას.

მერე ისევ იმ 5-10 თუ 50-100 მძევლის დახვრეტაზე მიდგა საქმე. გერინგმა ეს მეორედ შეახოცა ჰიტლერს ხელი: ნოლები იმან მიუმატაო.

რუდენკომ ისე ნელ-ნელა „გააძრო ტყავი“ გერინგს, რომ ლოურენსმა შენიშნა:

— არ არის საჭირო ასე დაწვრილებით დაკითხვა. საბუთები თუ ასე ერთგული იყო ფიურერისა, კრიტიკულ მომენტში რატომ მასთან არ დარჩა ბერლინში?!

განსაკუთრებით მის „ჭუჭყიან საქმეებსა“ და სიხარბეს ქირდავდნენ. გერინგს სრულებითაც არ უნდოდა, ამაზე ყოფილიყო ლაპარაკი, მაგრამ ბრალმდებლებმა და მოწმეებმა ყველაფერი გაუხსენეს: ოქროს ფილებით მოპირკეთებული აბაზანები, ოქროს სახელურები კარფანჯრებზე, ძვირფასი ქვებით მოჭედილი სანდლები, ბეჭდები ყველა თითზე, უნიკალური სურათების კოლექცია და, ვინ იცის, კიდევ რა! გერინგის მთელი გულისყური იქითკენ იყო მიმართული, რომ რაც შეიძლება მეტი და იაფად მოეხვეჭა. ამ მხრივ იგი ყველა თავის კოლეგას აჭარბებდა.

## კბილის მატლი...

გერინგის შემდეგ რიბენტროპი დაჰკითხეს. მთელი თავისი პატიმრობის მანძილზე იგი გულმოდგინედ ემზადებოდა ამ დღისათვის, თან ისეთი ფრთხილი იყო, რომ დაკითხვის დროს თუ რამე „სახიფათო საქმეს“ მიუახლოვდებოდა, მაშინვე უკან დგამდა ფეხს, დასმულ კითხვებზე მიკიბულ-მოკიბულ პასუხებს იძლეოდა და ერთხელ ნათქვამს ათჯერ უბრუნდებოდა.

... ბატონი რიბენტროპი ნაწყენიც იყო. დაკითხვის დროს იმპერიის საგარეო პოლიტიკაზე კი არა, ებრაელების საკითხსა და რაღაც „კრიმინალურ წვრილმანებზე“ რომ აწუხებდნენ. აბა, რა იქნებოდა, როცა თავდაცვის მთავარ მოდუსად მან აირჩია თეზა: გერმანიის საგარეო პოლიტიკას თვითონ ჰიტლერი განაგებდა, მე კი არაფერს მეკითხებოდაო. არც ბრალმდებლები იჩენდნენ მისი დიპლომატიური მოღვაწეობისადმი დიდ ინტერესს. უფრო მეტად ის აინტერესებდათ, ტრიბუნალისათვის ეჩვენებინათ, თუ სისხლის სამართლის რა დანაშაული ჰქონდა პირადად მას ჩადენილი. აქ კი ყველაფერი გაუხსენეს. ისიც, უნგრეთის გარდა, გერმანიის სხვა სატელიტ სახელმწიფოებისაგანაც რომ დაჟინებით მოითხოვდა ებრაელთა საკითხის „საბოლოო გადაწყვეტას“.

— გერმანიის მთავრობამ გადაწყვიტა, ებრაელები სისხლის სამართლის დამნაშავეებს გაუთანაბროს და ჩამოართვას მთელი ქონება...

ეს სწორედ იმ რიბენტროპის სიტყვებია, რომელიც პროტესტს აცხადებდა:

— მე არასოდეს არ ვყოფილვარ ანტისემიტი და რატომ უნდათ, ასეთად გამომიყვანონო. ის კი არა, ბრალმდებლები ისე „დაწვრილმანდნენ“, რომ არკვევდნენ, საიდან შეიძინა რიბენტროპმა ამდენი სასახლე. ამისთვის იმ მართლაც „კბილის მატლმა“ მაქსუელ-ფაიფმა მოწმედ რიბენტროპის ახლო თანამშრომელი შმიდტი გამოიძახა და ასეთი დიალოგი გაუმართა:

**მაქსუელ-ფაიფი:** რიბენტროპს, ვიდრე პოლიტიკურ მოღვაწეობას დაიწყებდა, სახლი ჰქონდა ბერლინ-დალემში, თუ არ ვცდები, ლენცალეე, ნომერ 19-ში. ასეა, არა?

**შმიდტი:** დიახ, ასეა.

**მაქსუელ-ფაიფი:** მერე, როცა საგარეო საქმეთა მინისტრი გახდა, ჰქონდა თუ არა ექვსი სახლი? თუ თქვენ ეს არ გახსოვთ, ნება მიბოძეთ, დავეხმარო თქვენს მეხსიერებას: 1. სახლი ზონენბურგში 750 ჰექტარი მამულით და გოლფის სათამაშო მოედნით, 2. სახლი ტანუკში, აახენის ახლოს, სადაც ჯიშიანი ცხენები ჰყავდა მოშენებული, 3. სახლი კიტცბიუტელთან, საიდანაც ბატებზე სანადიროდ დადიოდა. 4. სასახლე ფუშლში. ეს ავსტრიაშია, ასეა, არა?

**შმიდტი:** დიახ, ზალცბურგთან ახლოს.

**მაქსუელ-ფაიფი:** სანადირო სახლი სლოვაკიაში, პუსტეპოლედ წოდებული, არა?

**შმიდტი:** სახელწოდება არ მახსოვს, ვიცი, რომ ბატონი რიბენტროპი ზოგჯერ დადიოდა იქ სანადიროდ, მაგრამ მისი საკუთრება იყო სახლი თუ არა, არ ვიცი.

**მაქსუელ-ფაიფი:** დიახ, გარდა ამისა, მას ჰქონდა სანადირო სასახლე სუდეტში, რაც ადრე გრაფ ჩერნის ეკუთვნოდა. გთხოვთ, მიპასუხოთ, საგარეო საქმეთა მინისტრს ჰქონდა მტკიცე ხელფასი?

**შმიდტი:** დიახ.

**მაქსუელ-ფაიფი:** რამდენი?

**შმიდტი:** ეს მე არ ვიცი.

**მაქსუელ-ფაიფი:** რატომ, განა ეს საიდუმლო იყო?

**შმიდტი:** არა, მაგრამ მე ამით არ დავინტერესებულვარ.

**მაქსუელ-ფაიფი:** მაშინ იქნებ ასეთ კითხვას უპასუხოთ: შეეძლო თუ არა რომელიმე ადრინდელ საგარეო საქმეთა მინისტრს, თავისი ხელფასით ამდენი სასახლე და მამულები შეეძინა?

შმიდტმა ამაზე გარკვევით ვერაფერი უპასუხა. რიბენტროპი კი აღშფოთდა: როგორ, მე, მინისტრს, უფლება არ მქონდა, სახლები შემეძინაო. რა თქმა უნდა, ამის უფლება რიბენტროპს ჰქონდა, მაგრამ მაქსუელ-ფაიფს სულ სხვა რამ აინტერესებდა, როცა ამ საკითხს იკვლევდა. სახელდობრ: როგორ „შეიძინა“ მან ეს სასახლეები. რიბენტროპს რომ გრაფ ჩერნის მართლაც შესანიშნავი სასახლე მოეწონა, იმ გრაფმა მთელი თავისი ოჯახიანად საკონცენტრაციო ბანაკში ამოჰყო თავი. მის სახლ-კარს კი რიბენტროპი დაეპატრონა... მისი ცნობილი „ფუშლის სასახლეც“ ადრე სხვას ეკუთვნოდა. ის „სხვაც“ სადღაც გააქრეს, ხოლო მისი ქონება თვითონ დაისაკუთრა.

... რიბენტროპმა „შთაბეჭდილება მაშინაც მოახდინა“, როცა პროცესზე მოწმედ მისი ხასა ფროილაინ ბლანკი გამოიძახეს. დარბაზი ერთბაშად გამოცოცხლდა. თვით ზედმეტად სერიოზული ლოურენსიც კი ვერ ფარავდა ღიმილს. დამცველი ჰორნი კი რატომღაც დაინტერესდა ამ საკითხის ინტიმური მხარით და მანამ არ მოეშვა ბლანკს, ვიდრე პასუხი არ გააცემინა კითხვაზე:

— გქონდათ თუ არა კავშირი რიბენტროპთან? — თან ხელის ისეთი უცნაური მოძრაობა გააკეთა, რომ ყველა მიხვდა, რა „კავშირს“ გულისხმობდა იგი.

ბევრი უმტკიცა ფროილაინ ბლანკმა, ათი წლის მანძილზე ბატონ მინისტრს ჩემთვის „თითიც არ დაუკარებიაო“, მაგრამ ჰორნმა მაინც არ დაიჯერა. იცოდა, გარემოება აიძულებდა ფროილაინ ბლანკს, ასეთი ტყუილი ეთქვა.

...ახლა მივხვდი, ვინ მართავდა ჩვენს საგარეო საქმეთა სამინისტროს: ფროილაინ ბლანკი, — თქვა ზეის-ინკვარტმა რიბენტროპის დაკითხვის შემდეგ, როცა იგი თავის საკანში ბრუნდებოდა. გერინგმა სერიოზული სახის მიღება სცადა და თავშეკავებული ირონიით უთხრა:

— ჩინებული იყო, ჩინებული!..

მაგრამ „იმ ღვინის ვაჭარმა“ ჩაიარა თუ არა, მეზობელს გადაულაპარაკა:

— წარმოდგენა არა მაქვს, რატომ უბოძა ჰიტლერმა ამ ლაჩარს ესესის გრუპენფიურერის ჩინი?!

მერე სხვას უთხრა:

— კარგია, დამცველმა რომ ფროილაინ ბლანკი გამოიძახა მოწმედ. ასეთ დროს ქალები უფრო მამაცები არიან, ვიდრე კაცები.

ამას უკვე თვითონ რიბენტროპმა მოჰკრა ყური და გერინგს უსაყვედურა:

— მე დამცინით?

— ო, არა, მე საერთოდ ვამბობ, — გაიცინა გერინგმა.

შემდეგ კი ცალ-ცალკე ყველამ მოიქცია ყბა რიბენტროპის ლანძღვით: მას არაფერი გაეგებოდა საგარეო პოლიტიკის, იგი ბრიყვია და დილეტანტი. გერმანულად სწორად ვერ ლაპარაკობს, რადგან გრამატიკა არ იცის, ან ღვინით როგორ ვაჭრობდა ეს უბედური?! მე მეცოდება იგი, თუმცა, რა მისი ბრალია, რომ ასეთ მდგომარეობაში ჩავარდა! ჰიტლერია დამნაშავე. დიქტატორები საერთოდ ასეთ ბრიყვებს იკრებენ თავიანთ გარშემო... და, ვინ იცის, საერთოდ რა არ თქვეს იმ საცოდავ რიბენტროპზე.

— ღმერთო, ეს ვინ არის! ჰიტლერს ჩემს მაგივრად ამისთანა ყეყეჩი ჰყავდა მრჩევლად?! — წამოიძახა ფონ პაპენმა.

— არა მგონია, ფიურერს არ სცოდნოდა, რომ ის ბრიყვია, — დაეთანხმა მას დენიცი, — მაგრამ სწორედ ასეთებს იახლოვებდა, რომ თვითონ გამოჩენილიყო ჭკვიანი...

## რეპორტაჟი ნიურნბერგის პროცესიდან ★

გაგრძელება შემდეგ ნომერში

## ★ უფლებადამცველის სიტყვა



**ნანა კაკაბაძე**

# აქ: ჯუნგლებში, იქ: ედემის ბაღში



**ეს იყო გუშინ ედემის ბაღში**

*ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკი*

***საბჭოთა კავშირშიც კი ერთა შორის შუღლის გაღვივება კანონით ისჯებოდა. ერთადერთი იყო გერმანული ფაშიზმი, რომლის იდეოლოგიაც ეფუძნებოდა რასობრივ თეორიას და დაკანონებულად დევნიდნენ ებრაელებსა და სხვა „დაბალი რასის“ წარმომადგენლებს.***

ასე რომ, ჰომოფობიისა და ქსენოფობიის გარდა სხვას ვერაფერს დაარქმევ დაკნინების მიზნით შენი თანამემამულეებისთვის **„რუსო-რუსოს“** ძახილს.

**საბჭოთა რუსული იმპერიის წინააღმდეგ მებრძოლი დისიდენტებიც კი ვებრძოდით კომუნისტურ რეჟიმს და არა რუს ერს. უფრო მეტიც, ჩვენ რეჟიმს ვებრძოდით რუსი ეროვნების დისიდენტებთან ერთად და არასოდეს გვიცდია, ეროვნულ შუღლში გადაგვეზარდა ეს ბრძოლა!**

დღეს სწორედ ქართველი ერისათვის დამახასიათებელი **ტოლერანტობის** გენეტიკური კოდის შეცვლას ცდილობენ **ჩვენი „დაუძინებელი მეგობრები“**, როდესაც სიძულვილით გაჟღენთილ **ანტირუსულ გამოხტომებს** ტაშს უკრავენ და ახალისებენ.

ნაცისტების მიერ ებრაელების დევნის მსგავსი მიდგომა უცილობლად იწვევს საყოველთაო მიუღებლობასა და გმობას, მაგრამ, როგორც ჩანს, ევრო-ამერიკული ჰორიზონტიდან საქართველო **ჯუნგლებად** აღიქმება და ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დეზორიენტირებული და ფესვებმორყეული ერი ადვილად დასამორჩილებელი გახდეს.

როდესაც ადამიანების თავებში მოწინააღმდეგის დეჰუმანიზაციას მიაღწევ, მერე ყველაფერი ადვილია — გაბოროტებული, ზომბებად ქცეული ადამიანების მართვა სირთულეს არ წარმოადგენს, მორწმუნე და ჰუმანური ადამიანი კი ძნელი სამართავია, რადგან მას ამუხრუჭებს 10 მცნება, თუნდაც ნამდვილი ევროპული ღირებულებები, რომლებიც ქრისტიანულ მოძღვრებაზეა დაფუძნებული.

**ჩვენი ევროპელი „დაუძინებელი მეგობრები“** ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მაქსიმალურად გამოუთხარონ ძირი ქართველი ხალხის ევროპულ მისწრაფებებს, ისინი საქართველოს მიმართ ყოველდღიური მტრული გამოხტომებით არწმუნებენ მოსახლეობას, რომ **ქართველების შეხედულებების საპირისპიროდ, ევროპა და, ზოგადად, დასავლე**-**თი სულაც არ არის თანასწორობის, ჰუმანურობის, შემწყნარებლობის, ტოლერანტობის, თავისუფლებისა და სამართლიანობის ოაზისი, არამედ, როგორც მინიმუმ, ასეთი ამქვეყნიური სამოთხე მათ მხოლოდ საკუთარი ქვეყნებისთვის სჭირდებათ და არა ჩვენისთანა „ჩამორჩენილი“ და „მეორეხარისხოვანი“ ერებისთვის.** ამის მაგალითები უამრავია. **„ედემის ბაღში“** (როგორც **ჯოზეფ ბორელმა** ევროკავშირის ქვეყნებს უწოდა) პოლიციელებზე „მოლოტოვის კოქტეილებისა“ და პიროტექნიკის სროლა დანაშაულია და იქ დამნაშავე მკაცრად ისჯება, მაგრამ, თუ იგივე ხდება **„ჯუნგლებში“** (როგორც **იმავე ბორელმა** საქართველოს მსგავს ქვეყნებს უწოდა), ასეთი ქმედების ჩამდენთა დაპატიმრების შემთხვევაში ისინი **„პოლიტიკურ პატიმრებად“** უნდა ჩაითვალონ!

თუ **ედემის ბაღში** პოლიციელს სახეში სილა გააწანი, ულაპარაკოდ მიგაბრძანებენ „ვირის აბანოში“, მაგრამ **ჯუნგლებში** ასეთი ქმედება არა კანონდარღვევად, არამედ ხელის მოთათუნებად უნდა ჩაითვალოს, ხოლო დაკავებული **„სინდისის პატიმრად“** გამოცხადდეს!

**ედემის ბაღში** პარლამენტის შენობაზე თავდამსხმელები შეგიძლია, კანონიერად დახოცო, გადარჩენილები კი 10-20 წლით ციხეში გაამწესო, ხოლო **ჯუნგლებში** პარლამენტში შეჭრის მცდელობაში მონაწილეთა მიმართ წყლის ჭავლის, წიწაკის სპრეის ან გაზის გამოყენება ევროპარლამენტის დეპუტატების ან ევროპული სახელმწიფოს ლიდერების მოთქმა-გოდების საგანი ხდება და კვალიფიცირდება, როგორც „მშვიდობიანი მოქალაქეების“ მიმართ ხელისუფლების მხრიდან განხორციელებული **„სასტიკი ანგარიშსწორება და რეპრესია“.**

**ედემის ბაღში** გამჭვირვალობის კანონიც საუკეთესო და სამართლიანია, ჩვენთან, **ჯუნგლებში** კი, მსგავსი კანონი მხოლოდ დემოკრატიის დამსამარებელი და დიქტატურის დამამყარებელი შეიძლება იყოს!

ზომბებად ქცეული ქართველების ნაწილი საკუთარ ქვეყანას მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ მიიჩნევს და თვლის, რომ **მხოლოდ ჩვენთან არის აღმოსაფხვრელი კორუფციაც, დეპოლარიზაციაც, მხოლოდ ჩვენთან არ შეიძლება კანონდარღვევაზე რეაგირება, ხოლო იქ ედემის ბაღად აღქმულ დასავლეთში, არც კორუფციაა, არც დეპოლარიზაცია, არც პრეზიდენტის იმპიჩმენტის შესაძლებლობა.** იქ ცხოვრებაც დალაგებულია, მტრობაც აღმოფხვრილია და თუ გვსურს, ჩვენც მათი ნაწილი გავხდეთ, ყველაფერში ბრმად უნდა დავუჯეროთ, მათ ხომ ჩვენზე უკეთ იციან, რა სჭირდება ჩვენს ქვეყანას, ხოლო, ვინც ამას არ ეთანხმება, ისინი **რუსები** არიან!

მართალია, ზომბირებული ქართველები დღეისათვის უმცირესობას წარმოადგენენ, მაგრამ ისტორიის მწარე გამოცდილებიდან ვიცით, რომ თავის დროზე ბოლშევიკებიც და ფაშისტებიც უმცირესობაში იყვნენ. **ამიტომ ჯანსაღი საზოგადოებისა და ხელისუფლების პასუხისმგებლობაა, რომ ზომბირებული, გაბოროტებული უმცირესობა არ იქცეს უმრავლესობად!**



**ეს იყო გუშინ ედემის ბაღში**

*ნაცისტური საკონცენტრაციო ბანაკი*

ასავალ-დასავალი
2025 წლის 3 თებერვალი, №5 (301)

სარედაქციო კოლეგია
**„ასავალ-დასავალის“ საგამომცემლო სახლი.** ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com ელ-ფოსტა: mail@asavali.com ფეისბუქი: www. facebook.com/Asavali.com გამოდის **2003 წლის 7 აპრილიდან.**

# ველი თქვენს პასუხს და საჯარო დისკუსიას!

*2025 წლის 27 იანვარს, 22 საათზე, საზოგადოებრივ არხზე, გადაცემაში „აქტუალური თემა“ თქვენ აქტიურ რეკლამას უწევდით პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინას და საზოგადოებას კატეგორიული ტონით არწმუნებდით, რომ 10-14 წლის გოგო-ბიჭების (და უფროსებისაც) აცრა მათ სამუდამოდ დაიცავს საშვილოსნოს ყელის და სასქესო ორგანოების კიბოსაგან (გოგონებს — 40-65 წლის, ბიჭებს კი 55-70 წლის ასაკში, ანუ მაშინ, როდესაც ხდება ამ დაავადებების გამოვლინება).*










# მიმართვა

## *ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს მიხეილ სარჯველაძეს ლუგარის კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელს პაატა იმნაძეს ჯანმოს წარმომადგენლობის ხელმძღვანელს სილვიუ დომენტეს*

სამივესგან მოვითხოვ, გნებავთ, კოლექტიურად და, გნებავთ, ცალ-ცალკე, გარკვევით და, კონკრეტულად, ამერიკა-ევროპის რამდენიმე სახელმწიფოს კვლევითი და სტატისტიკური მონაცემების მოყვანით, გვიპასუხოთ შემდეგ შეკითხვებზე:

**1. პაპილომავირუსის საწინააღმდეგო პირველი ვაქცინა** 2006 წელს შეიქმნა და 21-ე საუკუნის პირველი დეკადის ბოლო წლებში დაიწყო 9-14 წლის გოგონების აცრა სკოლებში, მათი მშობლების თანხმობის გარეშე (შემდეგ წლებში აცრა დაუწყეს ბიჭებსაც)!

**იყო თუ არა სასწრაფო და აუცილებელი არასაკმარისად გამოცდილი ვაქცინით საყოველთაო ვაქცინაციის წამოწყება ბავშვებში?**

**2.** თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ **პაპილომავირუსი** სექსუალურად აქტიური ქალების და კაცების 90%-ს აქვთ, დაავადებით კი 100 000 ქალიდან მხოლოდ 10-ს უჩნდება საშვილოსნოს ყელის კიბო 40-65 წლის ასაკში (ანუ 0.01%-ს), კაცებიდან კი — 100 000-დან მხოლოდ ერთს ემართება სასქესო ასოს კიბო 55-70 წლის ასაკში (0.001%), თქვენ მაინც მიზანშეწონილად მიგაჩნიათ მილიონობით, ასეულმილიონობით ადამიანის უფასოდ აცრა და მილიარდობით დოლარის აბსოლუტურად უაზრო ხარჯვა ? ან იქნებ ისეთი ფილანტროპები ხართ, რომ ფულს კი არა, სულსაც არ დაიშურებთ კავკასიელებისთვის და აზიელ-აფრიკელებისთვის? ეს კითხვა ჯანმოს წარმომადგენელს — **დომენტეს** ეხება.

საქართველოზე მაფიქრალ **იმნაძე-სარჯველაძეს (გამყვრელიძესაც,** კოვიდპანდემიის პერიოდში გაწეული „უმწიკვლო“ სამსახურისთვის): შესაბამისი ცოდნა და ინფორმაცია არ გაგაჩნიათ ვაქცინებზე თუ ახლაც თავწაღუნული, უსიტყვოდ ასრულებთ დასავლეთიდან მიღებულ „რეკომენდაციებს“? რომ გვამუნათებთ: ვაქცინის ერთი დოზა რამდენიმე ასეული დოლარი ღირს და ჩვენ კი უფასოდ გვაძლევენო, ნუთუ უცნობია თქვენთვის ცნობილი გამოთქმა, რომ უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია?

**3.** ამბობთ, რომ **პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინა** უსაფრთხოა და, თანაც, **სამუდამოდ იცავს ქალსაც და კაცსაც, ანუ აცრიდან 40-50 წლის შემდეგაც. რის საფუძველზე ამტკიცებთ ამას?**

ცნობილია, რომ **ერთი ვაქცინაც კი არ არსებობს, რომელსაც სერიოზული გართულებები და სიკვდილი არ გამოეწვიოს! სამუდამო იმუნიტეტს კი არცერთი მათგანი არ იძლევა.** მაგალითად, პანდემიის პერიოდში გაპიარებულ კოვიდვაქცინას, თუნდაც, ოთხჯერ იყო აცრილი, გართულებების მეტი არაფერი მოაქვს, იმუნიტეტს კი, პირიქით, აქვეითებს და ამიტომაც უფრო ხშირად აცრილები ხდებიან ავად! რაც შეეხება პაპილომავირუსის საწინააღმდეგო ვაქცინებს, ახლა რომ ცხვირში გვატენიან, აქაოდა, რა გენაღვლებათ, მუქთააო, ამ ვაქცინების მთავარი სპეციალისტი, დოქტორი **დაიანა ჰარპი** ჯერ კიდევ 2009 წელს გვაფრთხილებდა, რომ ეს ვაქცინები **არ ამცირებენ საშვილოსნოს ყელის კიბოთი ავადობის მაჩვენებელს** და, რომ **მათი ეფექტურობა საერთოდ არ შესწავლილა!** დადასტურებული კი მხოლოდ ერთი რამ გახლავთ: **პაპილომავირუსის ვაქცინები ექსპერიმენტის კვალდაკვალ უნაყოფობას (ანუ უშვილობას) იწვევენ!** ეს არის მთავარი გართულება და სწორედ ამის მიღწევას ცდილობს ჯანმო **ბილ გეიტსის** ფინანსებით და მითითებებით, მიზანი — დეპოპულაციაა!

**4. იცით თუ არა ვაქცინებში შემავალი ინგრედიენტების: ქიმიკატების, შხამების, ალუმინის ნანონაწილაკების, ვირუსების და კიბოს უჯრედების ზემოქმედების შესახებ ადამიანის, განსაკუთრებით, ახალშობილების და მოზარდების ორგანიზმზე?**

**5.** ვალდებული ხართ თუ არა, როდესაც ვაქცინის დადებით მხარეებზე საუბრობთ, დაწვრილებით ახსენოთ ყველა ის მოსალოდნელი სერიოზული გართულება, რაც კონკრეტულ ვაქცინაციას ახლავს და ამის შესახებ საქმის კურსში ჩააყენოთ მშობელი თუ ასაცრელი პირი?

**6.** ობიექტურობისთვის საჭიროა თუ არა, რომ თქვენ მიერ ცალმხრივად მოწოდებულ ინფორმაციას ტელეეთერში თან ახლდეს პარალელურ რეჟიმში ოპონენტების მოსაზრებაც, რაზეც თქვენ დამაჯერებელ პასუხს გასცემდით ფაქტების მოშველიებით?

დაბოლოს — რამდენიმე, თქვენთვის კარგად ცნობილი ფაქტი მკითხველისთვის:




დიდი ბრიტანეთის **პრემიერ-მინისტრმა ტონი ბლერმა** 2002 წელს საჯაროდ **უარი განაცხადა, წითელაზე აეცრა თავისი ორი წლის ბიჭი. ტონი ბლერმა** ერთობ „პატიოსანი“ ახსნაც მოაყოლა: **„ჩემი შვილის აცრაზე ვამბობ უარს, თორემ, როგორც პოლიტიკოსი(!) მხარს ვუჭერ საყოველთაო (ანუ სხვების!) ვაქცინაციას“!**

სავალდებულო ვაქცინაციის კამპანიის ყველაზე აქტიურმა მონაწილემ, დეპოპულაციისთვის მებრძოლმა მილიარდერმა **ბილ გეიტსმა** თავისი სამი შვილიდან ერთიც კი **არ აცრა** არანაირი ვაქცინით!

**არ აცრა** თავისი ქალიშვილები ღორის გრიპზე არც **პრეზიდენტმა ობამამ!**

მაგალითები საკმარისზე მეტია, მაგრამ ამით შემოვიფარგლები.

ველი თქვენს პასუხს და საჯარო დისკუსიას.

***იაკობ ლეჟავა***

## კვირგვინოსნები

**ტედროს ადჰანომ გებრეიესუსი**
*ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური დირექტორი*



**საქართველოს წარმატება და ერთგულება** გვაძლევს იმედს, რომ შესაძლებელია, **მსოფლიო გათავისუფლდეს მალარიისგან.**

„საქართველოს რესპუბლიკა“

**სვიმონ ჯანგულაშვილი**
*საზოგადოება „ქართულის“ თანადამფუძნებელი, დირიჟორი*



თქვენ იბრძვით არა ევრო-ინტეგრაციისთვის, არამედ **„ქართული ოცნების“ ადგილზე ნაცების უმრავლესობით მოსვლისთვის.** თქვენთვის მთავარია, რომ **ქართველ ერზე იძალადოთ** თქვენი ისტერიით და გაამეფოთ **ზვარამია, ხოშტარია, ჯაფარიძე, მელია** და სხვა ნაცები. ამიტომაც **სასტიკად დამარცხდებით ამჯერადაც.**

„იმედინიუსი“

**ვარლამ ნიკლაური**
*ტელეწამყვანი*



**ტრამპის** მომხრეებს საოცრად დიდი მოლოდინი აქვთ. როდესაც მათ ვესაუბრებოდი, სულ აღნიშნავდნენ — **ყველაზე მთავარი ისაა, რომ ტრამპი დაიცავს ჩვენი ქვეყნის ღირებულებებს, იდენტობას, რელიგიას და ოჯახურ ფასეულობებსო.**

„სარკე“

**თენგიზ ფხალაძე**
*ექსპერტი*



საქართველო **ტრამპის** დღის წესრიგში პირველი არ არის, მაგრამ რამდენიმე ფაქტორმა შესაძლოა, განაპირობოს **ჩვენი საკითხის წამოწევა.**

„კვირის პალიტრა“

**თეა გოდოლაძე**
*სოციალური მონიტორინგის ცენტრის დირექტორი*



ციხეში ჯდომით ბევრს ვერაფერს შევცვლი, **გარედან გავაგრძელებ ბრძოლას. გაცილებით მეტი ვიცი და გაცილებით მეტი შემიძლია,** ვიდრე ჰგონიათ.

„რეზონანსი“

# ლაზარე ჯორბენაძე:

## ნანახი მაქვს სააკაშვილის სპეც-სამსახურების მიერ გადაღებული

# ფარული კადრები,

## სადაც მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი ქალი თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში წაწვენილი ჰყავთ... ამავე მდგომარეობაში მყავს ნანახი სხვა ევროპელი ქალიც, რომელიც ხშირად ჩანს ტელევიზორში!



*დასაწყისი იხ. „ა-დ“. 2024 წლის №30-53, 2025 წლის №1-2, 3-5*

*— ამერიკული და ევროპული სპეცსამსახურები საქართველოს ხელისუფლებას დღემდე სწორედ არასამთავრობოების მეშვეობით აკონტროლებდნენ. აქედან გამომდინარე, თუ დღევანდელ ხელისუფლებას სურს, გამოავლინოს გლობალური ჯაშუშური ქსელი, მდიდარი და გავლენიანი ენჯეოები პასუხისგებაში უნდა მისცეს და ენჯეოაგენტები ალაგმოს!*

***— ამ სიტყვებით დაიწყო ჩვენთან მორიგი საუბარი უფლებადამცველმა ლაზარე ჯორბენაძემ:***

— კორუფცია, ანუ ლობიზმი კლასიკურ საფეხურზე აიყვანა **სააკაშვილმა. კონდოლიზა რაისს, ჯეიმს აპატურაის, მეთიუ ბრაიზას, ადამ კინზინგერს,** არაერთ ამერიკელ კონგრესმენსა და სენატორს, ასევე ევროპარლამენტარებსა და სხვადასხვა სახელმწიფოთა კონკრეტულ თანამდებობის პირებს, მათ შორის, **ჟიგიმანტას პავილიონისს, კუბილიუსს, ანა ფოტიგას, რასა იუკნევიჩიენეს, ლექსმანს, გლუკსმანს** და სხვებს, სააკაშვილი ფულს უხდიდა!

ყველაფერი დაიწყო იმით, რომ საქართველოში ადამიანის უფლებების დაცვის, დემოკრატიისა და ჰუმანიტარული ტვირთების გამოგზავნის საფარქვეშ ამერიკამ და ევროპამ გაიჩინა ერთგული აგენტურული ქსელი. როგორც სააკაშვილის, ისე დღევანდელი ხელისუფლების უმაღლეს პირთა უმრავლესობა დაფინანსებული და მომზადებულია ამერიკული თუ ევროპული სასწავლო პროგრამებით. **შევარდნაძე** ჯერ კიდევ 1999 წელს ამბობდა: ჩვენ 200 ახალგაზრდა გავაგზავნეთ საზღვარგარეთ სასწავლებლად, რომლებიც დაბრუნდებიან და საქართველოს ევროპული ტიპის სახელმწიფოდ აქცევენ! აი, აქედან დაიწყო საქართველოს ეროვნულ სხეულში დასავლეთის აგენტურის ჩანერგვა. ამ აგენტურას პოლიტიკურ კორუფციაში ჩათრეული ამერიკელი და ევროპელი მაღალჩინოსნები, ათასნაირი პროგრამებისა და ფონდების მეშვეობით, ასეულობით მილიონს უგზავნიან და მერე ამ ფულის დიდ ნაწილს ე.წ. „ატკატის“ სახით ისევ უკან იბრუნებენ! ამ „ატკატს“ კარგად რომ შეიფუთოს, დაარქვეს ლობიზმი.

**— მაინც რა მაქინაციებს ახორციელებდა სააკაშვილი და ვის რა ფულებს ურიგებდა ხელისუფლების შესანარჩუნებლად?**

— ევროპარლამენტში, ევროსაბჭოში, ამერიკის კონგრესსა და სენატში, ვინც სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებდა და უწოდებს, სუყველა მოსყიდული მაიმუნია, რომელსაც სააკაშვილისგან ფული აქვს აღებული!

**— ამას რის საფუძველზე აცხადებთ?**

— ამას იმ უბინძურესი ფაილები მალაპარაკებს, რომელიც სააკაშვილმა და მისმა მუდრეგებმა 2003-2012 წლებში გადაიღეს და ე.წ. „ოტოს“ შენობაში დაასაწყობეს!

**— თქვენ ეს ფაილები ნანახი გაქვთ?**

— ცხადია, გარკვეული ნაწილი ნანახი მაქვს და ეს არის საშინელება! მილიონზე მეტი იქნება ასეთი ჩანაწერი!

**— მაინც რა არის იმ ჩანაწერებში ისეთი, მთელი ნაცსექტა სააკაშვილს რომ ემონება?**

— ოტოს შენობაში, დიმიტრი უზნაძის ქუჩაზე, სადაც არაერთხელ ვყოფილვარ, მილიონობით ჩანაწერია შენახული. ასევე ბევრი ჩანაწერია დაფაილებული ყოფილი **კუდ**-ის, ანუ დღევანდელი **სუს**-ის **ოტო**-შიც, სადაც ასევე ხშირად მქონია ვიზიტი. ვინც დღეს ხელისუფლებაშია, სააკაშვილს ყველაზე ჰქონდა კომპრომატი, მათ შორის, საძინებლის კადრებიც კი! დარწმუნებული ვარ, არსებობს მასალები, სადაც სააკაშვილს უცხოელი ლობისტებისთვის ქრთამის გადაცემის მომენტები აქვს გადაღებული!

**— თქვენ ეს კადრებიც ნანახი გაქვთ?**

— ერთს გეტყვით — ნანახი მაქვს სააკაშვილის სპეცსამსახურების მიერ გადაღებული ფარული კადრები, სადაც მსოფლიოში ცნობილი ერთ-ერთი ყოფილი მაღალჩინოსანი ქალი თბილისის ერთ-ერთ სასტუმროში წაწვენილი ჰყავთ... ამავე მდგომარეობაში მყავს ნანახი სხვა ევროპელი ქალიც, რომელიც ხშირად ჩანს ტელევიზორში! არამარტო ქალები, არამედ იმ ვიდეოფაილებში ევროპელი და ამერიკელი ლობისტი კაცებიც მყავს ნანახი ისეთ წაწვენილ მდგომარეობაში, რომ ჩვენს მტერსა და ავად მახსენებელს! ხაზგასმით ვაცხადებ — ეს ეხებათ ევროპელ და ამერიკელ მაღალჩინოსნებს, როგორც ქალებს, ისე კაცებს! ასე რომ, კოლექტიური ნაცმოძრაობის ლობისტები არამარტო პოლიტიკური, ფიზიკური ბოზებიც არიან!

**— ამ ხელისუფლებამ არ იცის, რომ ასეთი კადრები არსებობს? რატომ არ ასაჯაროებენ მათ და მთელი მსოფლიოს გასაგონად რატომ არ აცხადებენ, რის სანაცვლოდ ლობირებენ ეს გარყვნილი და უზნეო ადამიანები სააკაშვილსა და კოლექტიურ ნაცმოძრაობას?**

— საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება ამისთვის მზად არ არის! **როცა საქართველოში ხელისუფლება შეიცვალა, მთელი ექვსი თვის განმავლობაში „ქართული ოცნების“ რამდენიმე მაღალჩინოსანს იურიდიულ რჩევებს ვაძლევდი. აღმოჩნდა, რომ ამ ჩანაწერების გადამუშავებაზე ოტოში მუშაობდა სწორედ ის ხალხი, ვინც ადრე ამ ჩანაწერებს აკეთებდა.** აქედან გამომდინარე, „ქართული ოცნების“ მაღალჩინოსნებს გაკვირვებულმა ვკითხე — კაცო, ვინც ამ ჩანაწერებს აკეთებდა, ის ხალხი მუშაობს მათ გადამუშავებაზე და გგონიათ, რომ ესენი იმათ ინფორმაციას არ მიაწვდიან-მეთქი? 2017 წლის ბოლომდე, როგორც **სუს**-ის, ისე **ოტოს** სადაზვერვო სამმართველოში სწორედ ის ხალხი იჯდა, ვინც ამ ჩანაწერებს ქმნიდა. ასე რომ, ეს ადამიანები, „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებშიც კი, ნაცმოძრაობას გამუდმებით აწვდიდნენ ინფორმაციებს, თუ რა სამართლებრივი პროცესები მზადდებოდა ნაცხროვის ჯალათების მიმართ! ამიტომ იყო, რომ სახელმწიფო ვერაფერს ვერ აკეთებდა და შიგნით ჰყავდათ გამყიდველები!

**— თქვენ ზემოთ ახსენეთ შეერთებული შტატების ყოფილი უმაღლესი თანამდებობის პირები — კონდოლიზა რაისი, სენატორი კინზინგერი, მეთიუ ბრაიზა, რომლებსაც, თურმე, სააკაშვილი ფულს უხდიდა! როგორ ფიქრობთ, ამის დამტკიცება შესაძლებელია?**

— თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით, აბსოლუტურად შესაძლებელია ფულის მოძრაობის მარშრუტის დადგენა და იმის დამტკიცება, რომ სააკაშვილი **კონდოლიზა რაისს, მეთიუ ბრაიზას, ადამ კინზინგერსა** და არაერთ ამერიკელ და ევროპელ მაღალჩინოსანს ქრთამს ნამდვილად აძლევდა! **გიგა ბოკერიამ,** როცა უშიშროების საბჭოს მდივანი იყო, 20 მილიონი ამერიკული დოლარი ამერიკელ ლობისტებს გადაუხადა. ამის გამო 2012 წელს ბოკერიას ბატონი **ბიძინა ივანიშვილიც** კი ედავებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ **ბოკერია** პასუხისგებაში დღემდე არავის მიუცია და არც კი დაუკითხავთ!

2004 წლიდან **სააკაშვილს** ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტიდან პირდაპირ დაწერილი, გამზადებული დირექტივები მოსდიოდა, თუ რა ნაბიჯი უნდა გადაედგა და კონკრეტული მიმართულებით რა პოლიტიკური გადაწყვეტილება მიეღო. მე მინახავს ეს ინსტრუქციები...

**— სად ნახეთ?**

— საქართველოს პარლამენტის ფრაქცია ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარის მოადგილე ჩემი ოჯახის წევრის შვილის ნათლია იყო და სწორედ მის კაბინეტში, მაგიდაზე მაქვს







**„კონდოლიზა რაისს, ჯეიმს აპატურაის, მეთიუ ბრაიზას, ადამ კინზინგერს, არაერთ ამერიკელ კონგრესმენსა და სენატორს, ასევე ევროპარლამენტარებსა და სხვადასხვა სახელმწიფოთა კონკრეტულ თანამდებობის პირებს, მათ შორის, ჟიგიმანტას პავილიონისს, კუბილიუსს, ანა ფოტიგას, რასა იუკნევიჩიენეს, ლექსმანს, გლუკსმანს და სხვებს სააკაშვილი ფულს უხდიდა!“**







# „ვიდეოფაილებში ევროპელი და ამერიკელი ლობისტი კაცების მყავს ნანახი ისეთ წაწვენილ მდგომარეობაში, რომ ჩვენს მტერსა და ავად მახსენებელს!“

**„სპეცრაზმის პოლკოვნიკმა მიამბო, თუ როგორ წამოიღო კუდ-ის ორ მაღალჩინოსანთან ერთად 30 მილიონი დოლარი და მიუტანა სააკაშვილს, რომელმაც ამ ფულით ხალხი მოისყიდა და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გააყალბა!“**





**„სააკაშვილის დროიდან მოყოლებული, ირაკლი ღარიბაშვილის გარდა, საქართველოს თავდაცვის ყველა მინისტრი ამერიკის დაზვერვის თანამშრომელია!“**



**„გიორგი ბარამიძეც, ირაკლი ოქრუაშვილიც, დავით კეზერაშვილიც, ბაჩო ახალაიაც, ირაკლი ალასანიაც, მინდია ჯანელიძეც, თინა ხიდაშელიც ამერიკის დაზვერვის აგენტები არიან!“**

ნანახი ეს ინსტრუქციები. ეს კარგი კაცი ამავდროულად რკინიგზის დეპარტამენტის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეც იყო... მხოლოდ რკინიგზაში რა ფულიც ტყდებოდა და რა მილიონებიც ირიცხებოდა სააკაშვილის ანგარიშებზე ოფშორებში, ამ ხელისუფლებას ჯერ არ გამოუძიებია! დიახ, სააკაშვილის დროს მხოლოდ რკინიგზიდან იმდენი ფულია გადაქაჩული ოფშორებში, ეს რომ „ქართულმა ოცნებამ“ გამოიძიოს და დამნაშავეები პასუხისგებაში მისცეს, მთელი პოლიტიკური სპექტრი მაშინვე გაიწმინდება! რაც შეეხება სახელმწიფო დეპარტამენტიდან წამოსულ დირექტივებს, 2004 წელს გამოგზავნილი ერთ-ერთი დირექტივით, საქართველოში უნდა მოესპოთ განათლების ეროვნული ფორმა და დაენერგათ ე.წ. „თავისუფალი აზროვნება“ და „ლიბერალური მიდგომები“... სწორედ ამის შედეგი იყო სააკაშვილისა და მისი მანქურთების მიერ სკოლებიდან და უმაღლესი სასწავლებლებიდან ეროვნულად მოაზროვნე პროფესორ-მასწავლებლების განდევნა. მაგალითად, ქართული ჯარისათვის განკუთვნილი ერთ-ერთი დირექტივა პირდაპირ მოითხოვდა შეიარაღებიდან რუსული სამხედრო ტექნიკის ამოღებას და მის ნაცვლად ამერიკული და ისრაელის შეიარაღების შემოტანას. ყველაზე მთავარი — დირექტივაში პირდაპირ ეწერა, რომ რუსი სამხედრო იყო **„მტერი“**, რომელიც ქართველ ჯარისკაცს უნდა **„მოეკლა“!**

**— ეს პირდაპირ ეწერა დირექტივაში?**

— დიახ, დაფინანსებულ სასწავლო დირექტივებში პირდაპირ ეწერა, რომ ქართველ ჯარისკაცს რუსი ჯარისკაცი უნდა მოეკლა! რაც შეეხება შეიარაღებას, ამერიკელები თავიანთი შეიარაღების შესაძენად ფულს ნაძირალა სააკაშვილს კი არ აძლევდნენ, თავიანთ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსს ურიცხავდნენ და მერე ისინი აქ რას აგზავნიდნენ და უკან რამდენი მიჰქონდათ, ღმერთმა უწყის. სწორედ ამაში იშოვა სააკაშვილმა და სააკაშვილის თავდაცვის უწყების ყველა მაღალჩინოსანმა დიდძალი ფული. **დაახლოებით, 8-9 მილიარდი დოლარის იარაღია საქართველოში შემოტანილი ამერიკიდან და, ხომ წარმოგიდგენიათ, რა „ატკატებზე“ იქნება საუბარი...** სწორედ ამიტომაა, რომ სააკაშვილის დროიდან მოყოლებული, **ირაკლი ღარიბაშვილის** გარდა, საქართველოს თავდაცვის ყველა მინისტრი ამერიკის დაზვერვის თანამშრომელია! **გიორგი ბარამიძეც, ირაკლი ოქრუაშვილიც, დავით კეზერაშვილიც, ბაჩო ახალაიაც, ირაკლი ალასანიაც, მინდია ჯანელიძეც, თინა ხიდაშელიც** ამერიკის დაზვერვის აგენტები არიან!

**— დღევანდელი თავდაცვის მინისტრი ირაკლი ჩიქოვანიც ამერიკის დაზვერვის აგენტია?**

— ცხადია, ირაკლი ჩიქოვანიც ამერიკის დაზვერვის აგენტია! სხვათაშორის, ზემოთ ამერიკიდან წამოსული დირექტივები ვახსენე და ერთ-ერთი დირექტივა სწორედ ამას ეხებოდა — **მასობრივი დაპატიმრებები და ხალხის დაშინება!**

**თქვენ გგონიათ, სააკაშვილმა თვითნებურად მიიღო გადაწყვეტილება და ამდენი ხალხი თავისი ინიციატივით ჩაყარა ციხეში? ეს დირექტივის სახით მოდიოდა ამერიკიდან!**

ქუჩაში ახალგაზრდების ჩაცხრილვა, ტერორი, რეკეტი, პატიმრების წამება და უბედურება, რის გამოც ამერიკელი და ევროპელი სატანები სააკაშვილს „დემოკრატიის შუქურას“ უწოდებდნენ, სწორედ უცხოეთიდან იყო ნაკარნახევი, რათა ქართველი ერი გაეტეხათ და მერე ადვილად ემართათ!

ცალკე ინსტრუქციები იგზავნებოდა იმაზე, თუ როგორ უნდა ეწამებინათ, დაეჩაგრათ და გაეუბედურებინათ ადამიანები, როგორ ეტანჯათ პატიმრები... ეს იყო პროგრამა, რომელსაც ამერიკელი და ევროპელი სპეცსამსახურები სააკაშვილის ჯალათებს ასწავლიდნენ, ხოლო სწავლებაში ჩართული იყო მთელი პოლიტიკური მანქანა. ეს რომ ასე არ ყოფილიყო და ამერიკული და ევროპული სპეცსამსახურების ზურგი არ ჰქონოდა, სააკაშვილს, რომელიც დღემდე სამარცხვინო და სასაცილო ბრალდებების გამო იხდის სასჯელს, ამდენი უბედურების ჩადენას და ქვეყნის დაქცევას არ აპატიებდნენ?! **სააკაშვილისა და ადეიშვილის დროს ამერიკელები პოლიციისა და პროკურატურის თანამშრომლებს ტრენინგებს უტარებდნენ, რათა მოქალაქეები დაეკავებინათ, ხოლო შემდეგ ეცემათ, ეწამებინათ და თუ მაინც არ აღიარებდნენ დანაშაულს, მხოლოდ ამის მერე შეეფარდებინათ გირაო!** საუბედუროდ, ეს მოსამართლეები და პროკურორები, ანუ პოლიტიკური დიფ სთეითი **(იგივე ფარული დასი. რედ.)**, „ქართულმა ოცნებამ“ შეინარჩუნა!

ცალკე პროგრამები იყო ქვეყნის ეკონომიკის გაჩანაგებისა და სახელმწიფოს ვალებში ჩახრჩობის შესახებ... საქართველო პოსტსაბჭოთა სივრცეში ერთადერთი ქვეყანაა, სადაც ბანკებსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებში ასეთი კაბალური პირობებია. ეს სწორედ ევროპელი და ამერიკელი სპეცსამსახურების დირექტივების შედეგია, რათა ქართველი ხალხი აქედან გაიქცეს და დასახლდეს ის ხალხი, რომლის მართვაც ადვილი იქნება!

**— პრივატულად მითხარით, სააკაშვილმა 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გასაყალბებლად დიდძალი თანხა გადაიხადაო! მაინც რა თანხაზეა ლაპარაკი?**

— ადრეც ვთქვი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, 2008 წლის გაყალბებული საპრეზიდენტო არჩევნები **ნინო ბურჯანაძემ** დაუკანონა, მაგრამ ამას გარდა სააკაშვილმა დიდძალი ფული დახარჯა. მაშინ მისი რესურსი ასე გამოიყურებოდა — ჰყავდა 300 ათასი ერთგული მხარდამჭერი; თუ ამას დავამატებ ადმინისტრაციულ რესურსს, ანუ 125 ათას კაცს და კიდევ იმ ხალხს, ვინც იდეური ნაცი არ იყო, მაგრამ მაინც სააკაშვილს აძლევდა ხმას, იგი 700 ათას ხმაზე მეტს ვერანაირად ვერ აგროვებდა, რითაც არჩევნებს უეჭველი წააგებდა. ეს რომ არ მომხდარიყო, მაშინდელი სპეცრაზმის პოლკოვნიკს, რომელიც დღეს საქართველოდან არის გაქცეული, ვაკეში მდებარე ერთ-ერთი დაცული შენობიდან დაავალეს 30 მილიონი დოლარის გამოტანა, რომელიც ხალხს დაურიგეს და ამომრჩეველი მოისყიდეს! სპეცრაზმის პოლკოვნიკმა მიამბო, თუ როგორ წამოიღო **კუდ**-ის ორ მაღალჩინოსანთან ერთად 30 მილიონი დოლარი და მიუტანა სააკაშვილს, რომელმაც ამ ფულით ხალხი მოისყიდა და 2008 წლის საპრეზიდენტო არჩევნები გააყალბა! 30 მილიონი დოლარი მაშინ ძალიან დიდი ფული იყო.

**— ვისი იყო ეს ფული?**

— ვერ ვიტყვი! ამას რომ წაიკითხავს, გამოვიდეს და თვითონ თქვას!

*ესაუბრა*
**დიტო ჩუბინიძე**



# ლეგენდარული ალპინისტების

## ივანე ჯაფარიძე:

# 7 იანვარს 77 წელი შესრულდა ალექსანდრა ჯაფარიძის მიერ მყინვარწვერის კალთებზე ბეთლემის გამოქვაბულის აღმოჩენიდან!

*დასაწყისი იხ. „ა–დ“. 2025 წლის №3, 4*

***ლეგენდარულ მთამსვლელ ჯაფარიძეთა მემკვიდრე ივანე ჯაფარიძე ქართული ალპინიზმის ისტორიის შესახებ თხრობას განაგრძობს:***

— მამიდაჩემს — **ალექსანდრა ჯაფარიძეს** ისე აღვიქვამდი, როგორც გმირს. მას შექება და მოფერება არ ახასიათებდა, თუმცა, როცა ასაკში შევიდა და ოთახში ხუმრობით ზურგზე მოვიკიდებდი და ვაბზრიალებდი, მაშინ მეტყოდა ხოლმე: ციგანი, ციგანიო — აი, ეს იყო მისი მოფერება. 2025 წლის 11 თებერვალს მას დაბადებიდან 130 წელი უსრულდება, გარდაიცვალა 79 წლის ასაკში.

**— რატომ აუკრძალა ალექსანდრა ჯაფარიძეს ხელისუფლებამ 1945 წელს უშბაზე დაღუპული ძმის — ალიოშა ჯაფარიძის ძებნა?**

— **ალექსანდრა** და მამაჩემი არ დაემორჩილნენ აკრძალვას და უშბაზე გაიპარნენ დაღუპული ძმის მოსაძებნად. ეს ამბავი მხოლოდ ოჯახმა და კიდევ რამდენიმე მეგობარმა იცოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ვიღაცამ მაინც გათქვა. **მამაჩემსა და ალექსანდრას გეზი უკვე უშბის მწვერვალისაკენ ჰქონდათ აღებული, როდესაც მათ უშიშროების სამსახურის თანამშრომელი დაეწია და უკან დაბრუნება მოსთხოვა.** მამა ფიცხი იყო, იმ კაცს ხელი ჩაავლო და უთხრა: აქედან თუ არ წახვალ, დაგაგორებო. შეშინებული მდევარი მუხლებში ჩაუვარდა — ბრძანება თუ არ შევასრულე, დავიღუპები, ოჯახს გამინადგურებენო. ალექსანდრასა და მამაჩემს ეს კაცი შეეცოდათ და უკან დაბრუნდნენ. წინა წერილში გიამბეთ, რომ **ალიოშა ჯაფარიძის** ნეშტი იპოვეს მისი დაღუპვიდან 12 წლის შემდეგ, 1957 წელს.

**— ალიოშა ჯაფარიძესთან და სხვა ქართველ ალპინისტებთან არის დაკავშირებული ხვამლის მასივში გამოკვეთილი ციხე-ქვაბულის კვლევაც...**

— „ქართლის ცხოვრებიდან“ და ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიიდან ხვამლის მასივი ცნობილია, როგორც „მტრისაგან შეუალი, მეფეთა საგანძურთ სადები“. ამ გამოქვაბულში შეღწევა და მისი გამოკვლევა პირველად მოხერხდა 1939 და 1945 წლებში. სწავლულ-მეცნიერებსა და მთამსვლელთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა **ალიოშა ჯაფარიძე.** სამწუხაროდ, შემდეგ მოხდა ამ ჯგუფის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების უგულებელყოფა და მიჩქმალვა, რაც უზნეობა და უკადრისი საქციელია. საწყენია, რომ საქართველოში სავალალო ტენდენცია მკვიდრდება, ვიღაც თუ რაიმე საქმეს მოჰკიდებს ხელს, ჰგონია, რომ ამ საქმეში პირველი მხოლოდ ის არის და სხვათა დამსახურების იგნორირებას ახდენენ.

**— რას გულისხმობთ?**

— 2008 წელს საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთ-ერთ სატელევიზიო პროგრამაში გავიდა სიუჟეტი, სადაც წამყვანმა გვაუწყა, რომ არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ხვამლის კლდოვანი მასივის შესწავლა დაიწყო. მოწვეული იყო ექსპედიციის სრულფასოვანი წევრი, კინორეჟისორი **დავით გოგუაძე,** რომელსაც ისტორიკოს-არქეოლოგობაც ჰქონდა ნაკისრი, ტელეეკრანიდან სიცრუე და სიყალბე ილაპარაკა და ხვამლის პირველმკვლევრებს შეურაცხყოფაც მიაყენა.



ბეთლემის გამოქვაბულის კარი

**— ამ გადაცემაში ითქვა: მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ალიოშა ჯაფარიძეს სტალინმა დაავალა ხვამლზე ასვლა, რა კვლევები ჩატარდა უცნობია, ხოლო ალიოშა ჯაფარიძე იმავე წელს უშბის ექსპედიციაში დაიღუპა, მისი გარდაცვალება კი დღემდე საიდუმლოებითაა მოცულიო...**

— განაცხადეს, რომ მეცნიერები იქ დიდძალი განძის პოვნას იმედოვნებდნენ. **დავით გოგუაძის** აზრით, **ალიოშა ჯაფარიძე,** სტალინის დავალებით, 1939 წელს იყო ხვამლში შესული, 1945 წელს მეორედ შევიდა ექსპედიციით და, თურმე, ამისათვის მას ოქროს მედალიც მისცეს. **გოგუაძის** თქმით, „ხვამლის კვლევის მასალები არ არსებობს და ის მეორე ექსპედიციაც რაღაცის დასაფარად იყო მოწყობილი“. ეს არის დიდი ტყუილი და შეურაცხყოფა იმ ადამიანისა, ვინც სიცოცხლე თავისი ქვეყნისა და ხალხის სამსახურს შესწირა. ხვამლის პირველი მკვლევრები იყვნენ უმწიკვლო რეპუტაციის მქონე მამულიშვილები: არქეოლოგი **გიორგი ლომთათიძე,** მწერალი **ლევან გოთუა,** მთამსვლელები, და-ძმა **ალექსანდრა და ალიოშა ჯაფარიძეები,** მხატვარი **ვერა ბელეცკაია,** პალეონტოლოგი **ნიკოლოზ ბურჩაკ-აბრამოვიჩი,** გეოგრაფი **ელენე აბაშიძე,** ისტორიკოსი **ალექსი ნემსიწვერიძე.** სიცრუეა და სიყალბე, თითქოს **ალიოშა ჯაფარიძე** სტალინის დავალებით შევიდა ხვამლის გამოქვაბულში და ამისათვის მან ოქროს მედალი მიიღო, ხოლო მეორედ, 1945 წელს, სხვადასხვა დარგის 11 სპეციალისტი და კინოსტუდიის გადამღები ჯგუფი იმისათვის შეიყვანა ხვამლის ქვაბულში, რომ რაღაც საიდუმლო დაეფარა.

როდესაც **დავით გოგუაძეს** გავეცანი და როგორც ქართული ალპინიზმის ისტორიის მკვლევარმა, მოვთხოვე დაესახელებინა თუნდაც ერთი წყარო, რაც დაადასტურებდა **სტალინის** დავალებით ხვამლის გამოქვაბულში **ალიოშა ჯაფარიძის** შესვლას და ამისათვის ოქროს მედლის მიღებას, ვერაფერი მიპასუხა, მხოლოდ ის მითხრა — ეს სიცრუე ფილმში ინტრიგისათვის შევიტანეო. მას ნანახი არ ჰქონდა არც 1939 და 1945 წლების ექსპედიციების მონაწილეთა აღწერილობები და ჩანაწერები. ვაჩვენე **ალიოშა ჯაფარიძის, ლევან გოთუასა და გიორგი ლომთათიძის** წიგნები და ანგარიშები, სადაც გარკვევით წერია, რომ ალპინისტურ წრეებში ხვამლის გამოქვაბულში შეღწევის ინტერესი ჯერ კიდევ 1935 წელს დაი-



სიმონ ჯაფარიძე



ალექსანდრა და ნოე ჯაფარიძეები

> **„მამაჩემსა და ალექსანდრას გეზი უკვე უშბის მწვერვალისაკენ ჰქონდათ აღებული, როდესაც მათ უშიშროების სამსახურის თანამშრომელი დაეწია და უკან დაბრუნება მოსთხოვა!“**

## კვირგვინოსნები

**დათა თავაძე**
*რეჟისორი*



**მიმდინარე გაფიცვაში** ყველაზე დიდ საფრთხეებს სწორედ გაუფიცავი ინსტიტუციები გვიქმნიან, ვინც ყველაფერს აკეთებს იმის საჩვენებლად, რომ თითქოს ყველაფერი ძველებურადაა და **მთელი ეს ჩვენი გაფიცვა ახირების მეტი არაფერი ყოფილა.**

„ახალი თაობა“

**ბაია დვალიშვილი**
*მსახიობი*



ყველაზე უფრო ხმამაღლა, სცენა იქნება, ტელევიზია თუ გარეთ ფიცარნაგი, რეალურად, **მსახიობებმა აიმაღლეს ხმა.** შექსპირმა თქვა — **საფლავის ქვაზე ცუდი წარწერა გერჩივნოთ, ვიდრე მსახიობების ყბაში ჩავარდნაო.**

„ახალი თაობა“

**სალომე ყიფიანი**
*დუდუხანა წეროძის შვილიშვილი, მსახიობი*



ფილმში **„უდიპლომო სასიძო“ დუდუხანა წეროძე** ბიჭიკოს დედა გახლდათ... სცენარი თავდაპირველად ასე იყო ჩაფიქრებული — **ვარდენს მეზობლის ქვრივი ქალი კესარია უყვარდა და მისი ცოლად შერთვა სურდა.** სწორედ ამის გამო უშლიდა შვილს მეზობლის ბიჭის სიყვარულს. როდესაც სურათი სპეციალურმა კომისიამ განიხილა, საშინლად გააპროტესტა — **საბჭოთა მოქალაქეს მეზობელი როგორ შეუყვარდაო?!** რეჟისორს ნამუშევრის გადაკეთება მოუხდა.

„კვირის პალიტრა“

# მემკვიდრე მოგვითხრობს

ბადა, მაგრამ მხოლოდ 1939 წელს განხორციელდა.

**— ესე იგი, ექსპედიცია ხვამლზე სტალინის დავალება არ ყოფილა?**

— **სტალინის** დავალება რომ ყოფილიყო, **ალიოშა ჯაფარიძეს** 10 წელი არ დასჭირდებოდა გამოქვაბულში შესაღწევად ნებართვის მიღებაზე, ფრთებს გამოაბამდნენ და ნებისმიერ გამოქვაბულში რამდენიმე დღეში შეაფრენდნენ. ისიც კი არ იცოდნენ, რომ ჯერ კიდევ ცოცხალია 1945 წლის ხვამლის ექსპედიციის მონაწილე, გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ქალბატონი **ელენე აბაშიძე,** რომელიც აღშფოთებულია იმ უსირცხვილო სიცრუითა და უსინდისობით, რითაც „ახალი მეხვამლეები" ამახინჯებენ ისტორიას და სტალინელებად წარმოგვიდგენენ იმ პიროვნებებს, ვინც თავად იყვნენ სტალინური რეჟიმის მსხვერპლნი. დაპატიმრებული იყო **გიორგი ლომთათიძე,** 22 წელი რუსეთის საკონცენტრაციო ბანაკებში გაატარა მწერალმა **ლევან გოთუამ. ალიოშა ჯაფარიძე** უკვე დაღუპული იყო, თორემ ისიც თავისი მეგობრების ბედს გაიზიარებდა. აი, ამ ხალხის ღვაწლის გაბიაბრუებას ცდილობენ 2007 წლის ხვამლის ექსპედიციის მონაწილენი.

**— 1945 წელს ალიოშა ჯაფარიძისა და მისი ექსპედიციის დაღუპვა მართლა საიდუმლოებით არის მოცული?**

— **ალიოშა ჯაფარიძის** გარდაცვალება არავითარი საიდუმლოებით არ არის მოცული, მაშინ მთელმა მსოფლიომ გაიგო მისი დაღუპვისა და 12 წლის შემდეგ უშბაზე მისი პოვნის ამბავი. **ლევან გოთუა** ამბობდა — უშბამ პირველად დააბრუნა თავისი მსხვერპლიო. ფილმი, რომელიც **დავით გოგუაძემ** გადაიღო, უცხოელი ტურისტების მოზიდვას ემსახურებოდა, აცხადებდა — ჩავთვალეთ, რომ პრომეთეს მიჯაჭვის ადგილი დავადგინეთ და ეს ადგილი ხვამლის კლდეაო. ხომ წარმოგიდგენიათ, ტურისტული ნაკადების დაძვრა ხვამლისაკენ, ვითომ პრომეთეს მიჯაჭვის ადგილის მიმართულებით! ასე ავრცელებდნენ სიცრუეს. კიდევ კარგი, **ალექსანდრა** არ მოესწრო ამ ამბავს.

**— 7 იანვარს 77 წელი შესრულდა ალექსანდრა ჯაფარიძის მიერ მყინვარწვერის კალთებზე ბეთლემის გამოქვაბულის აღმოჩენიდან...**

— ბეთლემის გამოქვაბულში შობის დღეს — 1948 წლის 7 იანვარს შევიდა ჯგუფი **ალექსანდრა ჯაფარიძის** ხელმძღვანელობით, რომელიც ილია ჭავჭავაძის უკვდავ პოემას — „განდეგილს" უკავშირდება. ებრაული ენციკლოპედიით, ბეთლემი განმარტებულია როგორც „ღმერთის სახლი" ან „ღმერთის საცხოვრებელი", ბეთლემი არის „სახლი ცხოვრებისა, ბინა სიწმინდისა". ვორკუტის საკონცენტრაციო ბანაკიდან **ლევან გოთუა** დას სწერდა: **ალექსანდრა ჯაფარიძეს ჩემს მაგივრად მიულოცე „განდეგილის" ქვაბულის აღმოჩენაო.**

**— გთხოვთ, მოგვითხროთ ბეთლემის გამოქვაბულის აღმოჩენის ნამდვილი ისტორია.**

— ჯერ კიდევ 1913 წლის 15 დეკემბრის ჟურნალში „ИСКРЫ" გამოქვეყნდა წერილი სათაურით „წმინდა ნინოს ტაძარი", სადაც ეწერა, რომ რუსეთის სამთო საზოგადოების ვლადიკავკაზის განყოფილების საბჭოს წევრმა **ა.ი. დუხოვსკიმ** მყინვარის სიახლოვეს 12 700 ფუტის სიმაღლეზე შეძლო ძველი მონასტრის ნანგრევების აღმოჩენა. ამ პუბლიკაციიდან 14 წლის შემდეგ ბეთლემის მიდამოები მოინახულა საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოების მთასვლა-მგზავროსნობის განყოფილების მთამსვლელთა ჯგუფმა **სიმონ ჯაფარიძის** ხელმძღვანელობით, რის შესახებაც 1927 წლის 23 ნოემბრის გაზეთ „კომუნისტში" წერილი გამოაქვეყნა — „სარეკორდო ასვლა მყინვარწვერზე".

20 წლის შემდეგ, 1947 წლის 20 დეკემბერს, **ალექსანდრა ჯაფარიძესთან** ყაზბეგიდან ჩამოვიდა მეტეოროლოგიური სადგურის თანამშრომელი **შალვა წერეთელი,** რომელმაც ძალზე მნიშვნელოვანი ამბავი ჩამოიტანა: მონადირემ და მთამსვლელმა **ლევან სუჯაშვილმა** მყინვარზე, 4000 მეტრის სიმაღლეზე, შორეულ კლდეში, კარი დაინახა, საიდანაც ჯაჭვი ეშვებაო. **შალვა წერეთელმა** და მეტეოსადგურის თანამშრომლებმა ეს ინფორმაცია გადაამოწმეს და **სუჯაშვილის** მიერ მითითებული ადგილიდან მართლაც დაუნახავთ კლდეში ამოკვეთილი კარი და ჯაჭვი. თანაც, ეს კარი მხოლოდ ერთი წერტილიდან ჩანდა, როგორც კი გადაიწეოდი, თუნდაც, მეათედი გრადუსით, ქრებოდა და უკვე შიშველი კლდეები ჩნდებოდა.

1947 წლის 24 დეკემბერს **ალექსანდრამ** დაუყოვნებლივ მიმართა საქართველოს მთავრობას განცხადებით, რათა ყაზბეგის სამხრეთ-აღმოსავლეთით, კლდოვანი ქედის შვეულ ფერდობზე, ექსპედიცია დაენიშნათ. იგი წერდა: ვინაიდან გამოქვაბულში შესვლა ალპინიზმის უმაღლესი ტექნიკის გამოყენებას მოითხოვს, მიზანშეწონილად მიმაჩნია, მოეწყოს ალპინისტთაგან შემდგარი მცირერიცხოვანი ექსპედიცია, რომელიც გამოქვაბულში შევა, წინასწარ გამოიკვლევს, ხელმისაწვდომად გახდის მას მეცნიერ-მუშაკთათვის და ნათელს მოჰფენს საუკუნეობრივ საიდუმლოებასო. ექსპედიციის ორგანიზება დაუყოვნებლივ გადაწყდა, ხელმძღვანელობა დაევალა **ალექსანდრა ჯაფარიძეს.**

**— როდის გაიგზავნა ექსპედიცია?**

— 1948 წლის 2 იანვარს **ალექსანდრა ჯაფარიძე და შალვა წერეთელი** თბილისიდან გაემგზავრნენ. ჯვრის უღელტეხილზე დიდი თოვლის გამო, საქართველოს სამხედრო გზა ჩაკეტილი იყო. შემოვლა მოუხდათ ბაქოსა და ვლადიკავკაზის გზით, თერგის ნაპირებიდან მგზავრობა მარხილებით განაგრძეს. სტეფანწმინდაში ექსპედიცია 4 იანვარს ჩავიდა, იქ მათ **ლევან სუჯაშვილი** შეუერთდა. ადგილობრივი სახელმწიფო ორგანოების თხოვნით, ექსპედიციაში შეიყვანეს ყაზბეგის მუზეუმის დირექტორი **სტეფანე ალიბეგაშვილი** და მისი ორი თანამშრომელი. 6 იანვარს, დილის 6 საათზე, 6 კაცისაგან შემდგარი ჯგუფი, თოვლიანი ალპური ველების გავლით, მწვერვალის ციცაბო კალთებისაკენ გაემართა. მოხერხებული ადგილიდან დურბინდით კარგად დაინახეს გამოქვაბულის კარი, ხოლო შორი მანძილის გამო ჯაჭვი გარკვევით არ ჩანდა. ნაშუადღევს, 3 საათზე, ექსპედიციის წევრებმა მეტეოროლოგიურ სადგურს მიაღწიეს. ექსპედიციას ორი კაცი კიდევ დაემატა. 7 იანვარს, დილის 8 საათზე, უკვე 8 კაცი გაემართა გამოქვაბულისაკენ: **ალექსანდრა ჯაფარიძე** (ხელმძღვანელი), **ლევან სუჯაშვილი, შალვა წერეთელი, სტეფანე ალიბეგაშვილი, არჩილ კობაიძე, გრიგოლ შადური** და მეტეოსადგურის თანამშრომლები — **ირაკლი იმნაძე და ვალერიან სუჯაშვილი.**

კლდოვანი მასივის იმ ადგილიდან, საიდანაც უკვე გარკვევით ხედავდნენ გამოქვაბულის კარსა და ჯაჭვს, გზის უძნელესი უბანი იწყებოდა. იქ მეკავშირედ **შალვა წერეთელი** დატოვეს. ჯაჭვის ბოლოს როცა მიაღწიეს, განცვიფრდნენ: ჯაჭვს საუკუნეებისთვის გაეძლო და არ დაჟანგულიყო. **ლევან სუჯაშვილთან** ერთად ავიდნენ **ალექსანდრა ჯაფარიძე და ვალერიან სუჯაშვილი.** ჩაყინული კარი არ იღებოდა, რადგან ჯაჭვის სიმძიმეც არ უშვებდა. კარის თავზე არსებულ სარკმელში გადაძვრნენ და სამივენი სენაკში აღმოჩნდნენ. ამის შემდეგ ამოზიდეს ჯაჭვი და კარი შიგნიდან გააღეს. დანარჩენებიც თოკისა და ჯაჭვის დახმარებით ავიდნენ გამოქვაბულში.


ლევან გოთუა

**ალექსანდრა ჯაფარიძის** ჩანაწერის მიხედვით:

*„გამოქვაბული მდებარეობს მწვერვალ ყაზბეგის სამხრეთ-აღმოსავლეთით კლდოვან ფერდობზე, დაახლოებით 4 000-4 100 მ სიმაღლეზე. გამოქვაბულის კარი გამოკვეთილია თითქმის 400 მეტრის სიმაღლის შვეულ, მართლაც „ფრიალოსაებრ ჩამოთლილ" კლდეზე. კლდე შორიდანვე განირჩევა თავისი მოწითალო ფერით და სრულიად მიუვალად ეჩვენება თვალს. კარის ზემოთ თავისუფალ ადგილს სარკმლის დანიშნულება აქვს, საიდანაც გამოქვაბულში დღის სინათლე შედის. გამოქვაბულის კლდის შვეული კედლის მიმართება არის დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ამრიგად, კარი და, მაშასადამე, სარკმელიც პირდაპირ სამხრეთისკენაა მიმართული და მთელი დღის განმავლობაში მზის სხივები არ შორდება. ამით აიხსნება, რომ გამოქვაბულში საკმარისი სინათლეა და კარის გაღების შემთხვევაში, ფოტოგადაღებაც თავისუფლად შეიძლება".*

იქიდან წამოიღეს ის ნივთები, რომლებიც საინტერესო უნდა ყოფილიყო მეცნიერთათვის. ინფორმაცია კვლევის პირველი შედეგების შესახებ **ალექსანდრამ** გამოაქვეყნა გაზეთ „კომუნისტში", შემდეგ კი მოხსენებით გამოვიდა ალიოშა ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპური კლუბის პრეზიდიუმის სხდომაზე, შეაფასა აღმოჩენის მნიშვნელობა და აღნიშნა, რომ ესაა ამ საინტერესო ობიექტის კვლევის პირველი ნაბიჯი, რადგან ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, მყინვარის კლდოვან კალთებზე მღვიმე-გამოქვაბულთა მთელი სისტემა ყოფილა, რომელთაგან ზოგი შეიძლება დღეს ამოვსებულ-ამოქოლილია, ხოლო სხვები — თოვლ-ყინულით დაფარული.

ბეთლემის გამოქვაბულში მიკვლეული ნივთები ყურადღებით შეისწავლა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სწავლულთა კომისიამ აკადემიკოსების **ნიკო ბერძენიშვილის, გიორგი ჩუბინაშვილის, გიორგი ჩიტაიას,** ხელოვნებათმცოდნე **იროდიონ სონღულაშვილისა** და ნუმიზმატ **თამარ ლომოურის** შემადგენლობით.

მათ დაადგინეს, რომ ხატიდროშა რელიეფური გამოსახულებით და წარწერებით ძველი ქართული ჭედურობის იშვიათ ნიმუშს წარმოადგენს და არაუგვიანეს მე-12 საუკუნისა უნდა იყოს. უფრო ადრინდელი წარმოშობისაა შანდლის ბრინჯაოს სადგამი (ძირი); ვერცხლის ფული სხვადასხვა ეპოქისაა, აქედან ორი მონეტა ერეკლე მეფის დროინდელია, ერთი — მე-15 საუკუნის მეორე ნახევრისა, ხოლო 7 ცალი მე-17 საუკუნის ირანული მონეტებია. გამოკვლევის შემდეგ ეს ნივთები გამოფენილი იყო ყაზბეგის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში; აქვე ინახებოდა გამოქვაბულიდან მოგვიანებით ჩამოტანილი რკინით მოჭედილი სათადარიგო კარი და ჯაჭვი.


## სარეკორდო ასვლა მყინვარ-წვერზე

საქართველოს გეოგრაფიული საზ-ბის მთასვლა-მგზავრისნობის განყოფილების მყინვარწვერის ექსპედიცია ს. ჯაფარიძის მეთაურობით...

კომუნისტი

ოთხშაბათი, 23 ნოემბერი 1927 წ.


ბეთლემის გამოქვაბულში აღმოჩენილი ნივთები

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**კახა კინწურაშვილი**
*მსახიობი*



**სოხუმი, ძიძარიას მეორე შესახვევი, სახლი 7** — ეს არის ჩემი სახლის მისამართი და **ამ მისამართზე ბოლოს 8 წლის ასაკში ვიყავი,** მაგრამ კარგად მახსოვს მოხვეული კიბე, მყუდრო ეზო, პალმა, რომელიც ბაბუაჩემმა დარგო, როდესაც მე დავიბადე და **ის ხე ახლა 40 წლისაა, როგორც მე.**

„ახალი თაობა"

**თამთა ჭელიძე**
*მომღერალი*



ჩემი **უახლოესი მეგობრის შვილთან** ერთად გადავიღე ფოტო. ორივე ქერები ვართ, ორივეს ერთნაირ სტილში გვეცვა, ამიტომ გადავიღეთ ფოტო. ძალიან ბევრმა დაიჯერა ეს სისულელე, რომ **თითქოს 3 წელია, შვილს ვმალავ და ახლა გამოვაჩინე.** დღემდე უამრავი ზარი მომდის ტელეფონში, ზოგი პირდაპირ მოლოცვაზე გადადის. ისეთმა უახლოესმა დაქალებმაც კი დაიჯერეს, რომლებსაც ხშირად ვნახულობ ხოლმე. ახლა ვხვდები, **ადამიანები რა სწრაფად იჯერებენ მცდარ ინფორმაციას და რა მარტივია ცრუ ინფორმაციის გავრცელება.**

„სარკე"

**ქეთევან მითაიშვილი**
*დიქტორი*



თქვენ ვერ წარმოიდგენთ, **რამხელა ფასი ჰქონდა ტელევიზიიდან ნათქვამ სიტყვას.** ახლა რაც გინდა, თქვი, ვინც გინდა, აგინე, ლანძღე, **სატელევიზიო ლექსიკა დაკნინებულია.**

„სარკე"

**ნანა ლორთქიფანიძე**
*მსახიობი*



ძალიან ძვირად ღირებული პროცედურების ჩატარების უფლებას ვერ მივცემ თავს, **ჩემ უკან ოჯახია,** რომელსაც ვჭირდები.

„თბილისელები"

## მაკა ბულეიშვილი:

# ექიმის მოსვლამდე კატასტროფით დაზარალებული ადამიანის პირველადი დახმარების ცოდნა ყოველ მოქალაქეს მოეთხოვება!



***მოქალაქეები არცთუ იშვიათად აწყდებიან სიტუაციას, როდესაც უბედური შემთხვევის შედეგად მახლობლად მყოფი ადამიანის სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას საფრთხე დაემუქრება. დაზარალებულის გადარჩენისათვის ნებისმიერ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია პირველსავე წუთებში გაწეული დახმარება, მაგრამ ამ დროს მის გვერდით, უმეტეს შემთხვევაში, სამედიცინო განათლების არმქონე პირი იმყოფება. როგორ გადავარჩინოთ ადამიანი სასწრაფო დახმარების ბრიგადის მოსვლამდე? ამ საკითხზე გვესაუბრება რესპუბლიკური საავადმყოფოს კლინიკური ექსპერტი, პროფესორი მაკა ბულეიშვილი:***

— უბედური შემთხვევის დროს უნდა გვახსოვდეს უმთავრესი პრინციპი: საჭიროა სწრაფი რეაგირება, ფიზიკური და მორალური რესურსების მობილიზება, რასაც ვერ შეძლებთ, თუ პანიკას აჰყვებით. ამის შემდეგ უნდა დარწმუნდეთ, რომ სხვისი დახმარება თავად თქვენთვის არ იქნება სახიფათო. ნებისმიერი, ელემენტარული სამედიცინო განათლების არმქონე ადამიანიც კი აუცილებლად უნდა ფლობდეს პაციენტის მდგომარეობის შეფასებისათვის მნიშვნელოვან ისეთ ჩვევებს, როგორიცაა: **პულსის გასინჯვა საძილე არტერიებზე** — შეიძლება საკუთარ კისერზე ივარჯიშოთ; **გულის ტონების მოსმენა** —შეიძლება ყურის გულმკერდზე მიდებით ისწავლოთ; **სუნთქვის ფუნქციის შეფასება** — შეიძლება გულმკერდის მოძრაობაზე დაკვირვებით, ხოლო სუსტი სუნთქვისას ცხვირთან სარკის მიტანით, რა დროსაც სარკე იორთქლება.

**— როგორ მოვიქცეთ, თუ ჩვენ წინ უგრძნობლად მყოფი დაზარალებულია?**

— უპირველესად, უნდა მოვაცილოთ დამაზიანებელი ფაქტორი — გავარიდოთ ცეცხლს ან მომწამვლელ გარემოს, გამოვრთოთ დენი, შევუჩეროთ სისხლდენა და ა.შ.

თუ დაზარალებული უგონოდაა, მთავარია, მოვასწროთ ტვინისათვის ჟანგბადის მიწოდება. ამისთვის აუცილებელია, გავუთავისუფლოთ პირის და ცხვირის ღრუები, დახშული სასუნთქი გზები. ენის ძირის ჩავარდნით ხახა რომ არ დაიხშოს, აუცილებელია ქვედა ყბის წინ გამოწევა ან თავის მაქსიმალურად უკან გადაწევა. პირღებინების შემთხვევაში დაზარალებული უნდა გადავაბრუნოთ ან თავი მოვუბრუნოთ გვერდზე, რათა პირნაღებმა მასებმა არ დაახშოს სასუნთქი გზები.

**— თუ დაზარალებული აღარ სუნთქავს, არც პულსაცია აღენიშნება — რას ვაკეთებთ?**

— გულისცემის და სუნთქვის არქონის შემთხვევაში დაუყოვნებლივ და უწყვეტად ვაწარმოებთ რეანიმაციულ დახმარებას — ვაკეთებთ გულის მასაჟს და ხელოვნურ სუნთქვას ვუტარებთ. ამისთვის თავს მაქსიმალურად გადავუწევთ უკან, ცხვრის ნესტოებზე მოვუჭერთ თითებს, გავუღებთ პირს, მასზე დავაფარებთ სუფთა ნაჭერს, თუნდაც ცხვირსახოცს და პირში ჩავბერავთ ჰაერს. შემდეგ გულმკერდის ცენტრში დავაწვებით ისე, რომ ყაფაზმა დაიწიოს 4-5 სანტიმეტრით. ყოველი 2 ჩაბერვის შემდეგ 15-ჯერ ვაკეთებთ ზეწოლას.

კარგია, თუ შემთხვევის ადგილზე თქვენ გარდა სხვაც იმყოფება, ფუნქციას გაინაწილებთ — ერთი გააკეთებს ხელოვნურ სუნთქვას, მეორე კი — გულის მასაჟს. თანაც, ასეთ შემთხვევაში უფრო შედეგიანია ყოველი ერთი ჩაბერვის შემდეგ 5 ზეწოლა.

პარალელურად, უნდა დავრეკოთ 112-ში და გამოვიძახოთ სასწრაფო დახმარება, დავუძახოთ მეზობლებს, გამვლელებს და ა.შ. დაზარალებულის გონზე მოსვლის შემდეგ, ვიდრე სასწრაფო დახმარება მოვა, ვატარებთ დაზიანების ხასიათის შესაბამის დახმარებას.

**— თავად შევსწრებივარ, როცა ქუჩაში ადამიანს გული წასვლია და მოწყვეტით დაცემულა. ეს რისი ბრალია?**

— გულის წასვლა — ტვინის სისხლით მომარაგების უეცარი შეწყვეტის შედეგია, რაც სხვადასხვა ფაქტორით: შიშით, ნერვიულობით, ტკივილით ან უჰაერობით შეიძლება იყოს გამოწვეული.

ამ დროს დაუშვებელია პირში წყლის ჩასხმა. დაზარალებული უნდა დავაწვინოთ უბალიშოდ, რათა თავი დაბლა ჰქონდეს, ხოლო ფეხები შემაღლებულ მდგომარეობაში მოვაქციოთ. უზრუნველვყოთ გულწასულისთვის სუფთა ჰაერის მიწოდება, ამასთან, გავუხსნათ ქამარი, საყელო. სახეზე უნდა ვაპკუროთ ცივი წყალი. თუ საშუალება გვაქვს, ვასუნთქოთ ნიშადურის სპირტი.

**— როგორ ვუშველოთ ადამიანს, რომელსაც დენი დაარტყამს?**

— არავითარ შემთხვევაში არ შევეხოთ ძაბვის ქვეშ მყოფ დაზარალებულს, არამედ სასწრაფოდ გამოვრთოთ დენი ან დაზარალებული მოვაშოროთ დენის წყაროს დენგაუმტარი ნივთით — ფიცრით, ჯოხით, თუნდაც, მშრალ ტანისამოსზე მოქაჩვით. ამის შემდეგ ვაფასებთ პაციენტის მდგომარეობას, კერძოდ, აქვს თუ არა პულსი, სუნთქავს თუ არა, გონებაზეა თუ არა, რა მდგომარეობაში აქვს დენის დარტყმის შედეგად მიღებული დამწვრობის ადგილები. დაუშვებელია დაზარალებულის „დამარხვა“.

**— კატასტროფების ყველაზე გავრცელებული შედეგია სისხლმდინარე ჭრილობა. ასეთ დროს პირველადი დახმარება რას ითვალისწინებს?**

— ჭრილობის დროს, უპირველესად, სისხლდენის შეჩერება უნდა მოვახერხოთ. სუსტი სისხლდენა შეიძლება, პირდაპირი ზეწოლით შევაჩეროთ — დავაფაროთ სუფთა ნაჭერი და ხელი დავაჭიროთ ან მჭიდროდ შევახვიოთ. კიდურებიდან ძლიერი სისხლდენის დროს აუცილებელია მასზე ლახტის დადება. ამისათვის მხრის ან ბარძაყის დონეზე ვუჭერთ თასმას, თოკს, ქამარს ისეთი ძალით, რომ მის ქვეშ პულსი არ იგრძნობოდეს. უფრო სუსტი მოჭერა მხოლოდ გააძლიერებს სისხლდენას, ხოლო უფრო ძლიერი — მხოლოდ დააზიანებს ქსოვილებს. სასურველია, იქვე მივაწეროთ ლახტის დადების დრო.

დაუშვებელია ჭრილობაში თამბაქოს, კანიფოლის და სხვადასხვა ფხვნილების ჩაყრა, წყლით გამორეცხვა, მალამოს დადება, სისხლის კოლტის ამოღება, რადგან ამ დროს შეიძლება, ძლიერი სისხლდენა დაიწყოს. ჭრილობას, უბრალოდ, ფრთხილად ვასუფთავებთ ისე, რომ შიგნით არაფერი მოხვდეს, შეძლებისდაგვარად, ჭრილობის გარშემო კანს ვამუშავებთ იოდით და ვახვევთ სტერილური ბინტით ან სუფთა ქსოვილით.

**— დამწვრობას რა მოვუხერხოთ, ვიდრე სასწრაფო-სამედიცინო დახმარება მოვა?**

— დამწვრობა შეიძლება იყოს თერმული, ქიმიური ან ელექტრული. თუ ტანსაცმელი იწვის, მოვახვიოთ საბანი, პალტო, ფარდა ან დავასხათ წყალი. არ შეიძლება ალმოდებული სირბილი, რადგან ნიავი ცეცხლს აღვივებს. თუ დამწვრობა მდუღარე წყალმა გამოიწვია, სასწრაფოდ უნდა მოვაცილოთ სხეულს მდუღარე წყლით დასველებული ტანისამოსი და ფეხსაცმელი, მაგრამ კი არ შემოვაგლიჯოთ, არამედ ფაქიზად გავჭრათ და ფრთხილად გავხადოთ, რათა დამწვარი კანი არ დავაზიანოთ.




## კვირგვინოსნები

**ანდრო გოცირიძე**
*უსაფრთხოების ექსპერტი*



ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ **საეჭვო გზავნილებსა და შეთავაზებებზე.** შეიძლება, ძალიან მაცდური, კარგი წინადადებები მოგვივიდეს **ვითომ ფულის მოგების შესახებ,** მაგრამ არ უნდა წამოვეგოთ. განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოვეკიდოთ **უცხო ქვეყნიდან შემომავალ ზარებს,** მით უფრო, **ვოცაპისა და ვაიბერის აპლიკაციიდან შემოსულ ზარებს.** მთავარია, არ ვუპასუხოთ ასეთ ზარს, ამასთან, **უცხო ნომრიდან შემოსული შეტყობინებიდან არ უნდა ჩამოვტვირთოთ აპლიკაცია.**

„კვირის პალიტრა“

**გიორგი დვალაშვილი**
*გეომორფოლოგი*



ფერდობებს ისე არ უნდა შეეხო, რომ მიწა დაიძრას. თუ შეეხები, **გვირაბს გაიყვან, გზას შეაკეთებ, სახლებს ააშენებ,** უპირობოდ უნდა მიიღო ზომები, რომ მეწყრის დაძვრა შეაჩერო — **სამაგრი კედელი უნდა ამოუშენო ან იქაურობას გაეცალო.** თუკი ცნობიერება შეგვეცვლება და **მეწყერზე განგაშს დროულად, ნიშნების გამოჩენისთანავე ავტეხთ,** არაერთ უბედურებას ავიცილებთ.

„კვირის პალიტრა“

**დარეჯან დვალიშვილი**
*UFC-ის ჩემპიონის მერაბ დვალიშვილის დედა*



ჭიდაობიდან ერთ დღეს განერვიულებული მოვიდა — **შავდათუაშვილი მომერიაო,** კიმონოც იქვე დაუტოვებია და წამოსულა. თავიდანვე ემოციური იყო და **ამ წაგებას ვერ შეეგუა.** მაშინ ვეცადე, დამემშვიდებინა — **არა უშავს, ჭიდაობაში თუ არაფერი გამოგივა, „შოფრობა“ ისწავლე-მეთქი.** ამის გაგონებაზე სულ გადაირია — **რას ამბობ, მე ჩემი ქვეყანა უნდა ვასახელოო!**

„კვირის პალიტრა“

**ნინო მუმლაძე**
*მსახიობი*



ჩვენი **პროფესია ხომ პროფესიონალური ტყუილია** და, წესით, კარგად უნდა ვერკვეოდე, მაგრამ — ვერა, არ გამომდის. **პროფესიონალი მატყუარები** ადვილად მატყუებენ.

„თბილისელები“



# „ᲔᲚᲔᲛᲔᲜᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲡᲐᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲝ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲐᲠᲛᲥᲝᲜᲔ ᲐᲓᲐᲛᲘᲐᲜᲘᲪ ᲙᲘ ᲐᲣᲪᲘᲚᲔᲑᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲤᲚᲝᲑᲓᲔᲡ ᲞᲐᲪᲘᲔᲜᲢᲘᲡ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜ ᲘᲡᲔᲗ ᲩᲕᲔᲕᲔᲑᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲘᲪᲐᲐ: ᲞᲣᲚᲡᲘᲡ ᲒᲐᲡᲘᲜᲯᲕᲐ ᲡᲐᲫᲘᲚᲔ ᲐᲠᲢᲔᲠᲘᲔᲑᲖᲔ, ᲒᲣᲚᲘᲡ ᲢᲝᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲡᲛᲔᲜᲐ ᲓᲐ ᲡᲣᲜᲗᲥᲕᲘᲡ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲘᲡ ᲨᲔᲤᲐᲡᲔᲑᲐ!“

არ შეიძლება დამწვრობის ზედაპირზე ცხიმის, ზეთის, შარდის, მასტიკის წასმა, ბუშტუკების გახეთქვა. ზედაპირული დამწვრობის დროს უნდა დავაფაროთ სტერილური საფენი და შევახვიოთ. ღრმა დამწვრობისას კი უნდა შემოვახვიოთ სუფთა, ახალგაუთოებული ზეწარი.

ქიმიური ხსნარებით დამწვრობის შემთხვევაში სხეულის ზედაპირი უნდა გავრეცხოთ დიდი რაოდენობით ონკანის წყლით, რათა სხეულს მოვაცილოთ დამწვრობის გამომწვევი ნივთიერება.

**— საქართველოში იშვიათად, მაგრამ ადამიანები მოყინვის შედეგადაც ზარალდებიან.**

— პირველ რიგში, მოყინვის დროს დაზარალებულის თბილ გარემოში გადაყვანა უნდა მოვახერხოთ. თუ ეს შეუძლებელია, ვეცადოთ, მახლობლად ცეცხლი მაინც დავანთოთ. არ შეიძლება მოყინული კიდურის თოვლით ან მაუდით დაზელა, ზეთის წასმა და ა.შ. საკმარისია თბილი ხელით მსუბუქი მასაჟი.

სისხლის მიმოქცევის აღდგენის მიზნით, სხეულის მოყინულ ნაწილს ათავსებენ ოთახის ტემპერატურის წყლით სავსე ჭურჭელში და თბილი წყლის თანდათანობითი ჩამატებით ათბობენ 40%-მდე. სასურველია, დაზარალებულს ვასვათ თბილი სითხეები.

**— მზის დაკვრისას როგორ მოვიქცეთ?**

— სითბური და მზის დაკვრის დროს, პირიქით, ტვინს მიეწოდება ჭარბი სისხლი, რაც ვლინდება სისუსტით, თავბრუხვევით და ღებინებით. დაზარალებული უნდა გავარიდოთ მზეს ან სითბოს წყაროს. მოვათავსოთ გრილ ოთახში ან ელემენტარულად — ჩრდილში, თავზე დავადოთ ყინული, სხეულზე კი — ცივი საფენები.

**— კატასტროფების შედეგად ხშირია მოტეხილობა. რა ვიღონოთ ექიმის მოსვლამდე?**

— ძვლის მოტეხილობის დროს დაზიანებული ბოლოების ხახუნმა შეიძლება ტრავმული შოკი გამოიწვიოს. ამის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, უზრუნველვყოთ კიდურის უძრაობა, ანუ იმობილიზაცია. შესაძლებელია, მოტეხილი კიდური ჯანმრთელ კიდურზე ან სხეულზე მივაბათ. ასევე მოტეხილი კიდურის ორივე მხარეს ბინტით ან ზონრებით შეიძლება დავამაგროთ არტაშანი — ხის ძელი, ფიცარი, სახაზავი.

სასურველია, მოტეხილობის ან ღრძობის მიდამოს შემაღლებული მდებარეობა მივცეთ და დავადოთ ყინული.

ხერხემლის დაზიანების მქონე პაციენტის არასწორ ტრანსპორტირებას მძიმე შედეგები მოსდევს. ზურგის ტვინის დაზიანების ასაცილებლად, იმობილიზაციის მიზნით პაციენტი უნდა მივაბათ მყარ ზედაპირზე, ვთქვათ, ფიცარზე, ფანერზე და ასე გადავიყვანოთ. ასეთი მიდგომა ეხება კისრის არეში მოტეხილობასაც. ტრანსპორტირებისას თავის მოტრიალებამ შეიძლება პაციენტის პარალიზება გამოიწვიოს. ამიტომ თავი საყრდენ ზედაპირზე უძრავად უნდა დავამაგროთ. არ შეიძლება ხერხემლის ტრავმის მქონე ადამიანს მივცეთ დაჯდომის ან წამოდგომის უფლება. მითუმეტეს, დაუშვებელია მჯდომარე მდგომარეობაში ტრანსპორტირება.

**— მოწამლულს როგორ დავეხმაროთ?**

— ორალური გზით მოწამვლის დროს აუცილებელია, რაც შეიძლება ადრე ამოვრეცხოთ კუჭი. ამ მიზნით, დაზარალებულს უნდა დავალევინოთ ერთი ლიტრი წყალი, რომელშიც წინასწარ 2 სუფრის კოვზი სასმელი სოდაა გახსნილი. ამის მერე ხახის უკანა კედელი თითით გავუღიზიანოთ, რათა ღებინება გამოვიწვიოთ.

ტოქსიკური გაზებით მოწამვლის შემთხვევაში დაზარალებული უნდა გავიყვანოთ სუფთა ჰაერზე. სუსტი სუნთქვისა და გონების დაკარგვისას შეიძლება ნიშადურის სპირტიც ვაყნოსოთ.

**— ძაღლის ან კატისგან დაკბენის შემთხვევაში როგორ მოვიქცეთ ?**

— ნებისმიერი ძუძუმწოვარა ცხოველის ნაკბენი შეიძლება სასიკვდილო დაავადების ცოფის მიზეზად იქცეს. ამიტომ, თუ შემთხვევა ტყეში ან პიკნიკზე ხდება და იმ ცხოველზე დაკვირვების საშუალება არ არსებობს, რომელმაც უკბინა, დაზარალებულის აცრა აუცილებელია. ექიმთან მიყვანამდე ნაკბენი ჭრილობა უნდა დავამუშაოთ საპნიანი წყლით ან სპირტით და ცოფის საწინააღმდეგო ვაქცინაციისათვის მივმართოთ პოლიკლინიკას. განსაკუთრებით სწრაფ რეაგირებას მოითხოვს ნაკბენები თავისა და თითების მიდამოში.

**— გველისგან დაგესლილს რა ვუყოთ?**

— დაზარალებული უძრავად უნდა დავაწვინოთ. საპნიანი წყლით ჩამობანის შემდეგ ჭრილობაზე უნდა დავაფაროთ სტერილური საფენი და დავადოთ ყინული. დავალევინოთ ბევრი წყალი. შხამიანი გველის კბენისას ზოგიერთი სპეციალისტი დაზიანებულ კიდურზე ლახტის დადებას გვირჩევს, თუმცა, სხვათა აზრით ამის გაკეთება არ შეიძლება. საკმარისია ნაკბენის არეზე ზეწოლა და კიდურის დაბლა დაწევა. უნდა გავაკეთოთ კიდურის იმობილიზაცია — მივაბათ ჯანსაღ კიდურზე ან სხეულზე. უშედეგოა ჭრილობიდან შხამის პირით გამოწოვა.

**— ბზიკის ან ფუტკრის მიერ დაკბენილსაც სჭირდება დახმარება?**

— თუ დაზარალებულს ოდესმე განუცდია ანაფილაქსიური რეაქცია ბზიკის ნაკბენზე, მას აუცილებლად დასჭირდება იმუნოთერაპია, რაც ინიექციების რეგულარულ კურსს გულისხმობს. ასე რომ, ექიმამდე ოპერატიულ მიყვანას შესაძლოა, გადამწყვეტი მნიშვნელობაც ჰქონდეს პაციენტის სიცოცხლის შესანარჩუნებლად. მანამდე კი ფრთხილად უნდა მოვაცილოთ ნაკბენში ჩარჩენილი ნესტარი. ამისთვის გამოვიყენოთ დანა ან წვრილთავიანი პინცეტი. ნაკბენი საპნიანი წყლით უნდა ჩამოვბანოთ, დავამუშაოთ სპირტით, ოდეკოლონით, დავადოთ ყინული ან ცივი კომპრესი. არასწორია ნაკბენის გადაფხეკა, რადგან შხამის უკეთ შეწოვას გამოიწვევს.

**— წყალში ჩაძირული სიცოცხლისკენ როგორ შემოვაბრუნოთ?**

— წყალში დახრჩობისას პაციენტს მუცლით მუხლზე იწვენენ და ზურგზე ენერგიული ზეწოლით ფილტვებიდან წყალს აძევებენ. შემდეგ ათავსებენ ზურგზე, უთავისუფლებენ სასუნთქ გზებს და უტარებენ პირით პირში ხელოვნურ სუნთქვას. თუ საძილე არტერიაზე პულსაცია არ აღინიშნება, პარალელურად ახდენენ გულის მასაჟს, რაზეც ზემოთ უკვე მოგახსენეთ. გონზე მოსვლის შემდეგ ასმევენ თბილ სასმელებს, ათბობენ და უზრუნველყოფენ მშვიდ გარემოს.

დამაკმაყოფილებელი მდგომარეობის დროსაც კი აუცილებელია სამედიცინო დახმარება, რადგან მოსალოდნელია გვიანი გართულებები.

გახსოვდეთ, რომ თვითდახმარებისა და ურთიერთდახმარების პრინციპების ცოდნით გადაარჩენთ სიცოცხლეს! მაგრამ იმავდროულად უნდა გვახსოვდეს მედიცინის მთავარი პრინციპი — **ᲐᲠ ᲐᲕᲜᲝ!**



## „ᲒᲐᲮᲡᲝᲕᲓᲔᲗ, ᲠᲝᲛ ᲗᲕᲘᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲔᲑᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲘᲗ ᲒᲐᲓᲐᲐᲠᲩᲔᲜᲗ ᲡᲘᲪᲝᲪᲮᲚᲔᲡ!“

*ესაუბრა*

***ზაზა დავითაია***

## ᲙᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲝᲡᲜᲔᲑᲘ

**ᲪᲘᲪᲘᲜᲝ ᲖᲘᲕᲖᲘᲕᲐᲫᲔ**
*სვეტიცხოვლის გიდი*



**მე არსად მისწავლია ინგლისური ენა,** სვეტიცხოველში, ტურისტებთან ურთიერთობაში ვისწავლე. **გრამატიკულად რუსული და ინგლისური კი არა, ქართული არ ვიცი უშეცდომოდ და ძალიან დახვეწილად.** საერთოდ, მე ენების სწავლაში უნიჭო ვარ, მიჭირს მისი სრულყოფილად დაუფლება.

„ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲔᲚᲔᲑᲘ“

**ᲓᲐᲗᲝ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲫᲔ**
*მუსიკოსი*



დასალევი **ხელს მიშლიდა ᲓᲐᲗᲝ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲫᲔᲝᲑᲐᲨᲘ,** თუმცა, ისე არასდროს ვთვრებოდი, რომ სხვა გავმხდარიყავი. **ახლა კი ნამდვილი ᲓᲐᲗᲝ ᲔᲕᲒᲔᲜᲘᲫᲔ** ვარ. ფეხით დავდივარ მთაწმინდაზე, რუსთაველზე და ბავშვობას ვიხსენებ.

„ᲡᲐᲠᲙᲔ“

**ᲛᲘᲮᲔᲘᲚ ᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘ**
*აქტიორი*



**მოქეიფე ვიყავი, ვარ და ვიქნები** მთელი ცხოვრება. მოჩხუბარიც ვიყავი, ვარ და ვიქნები. პოლიციაში ნარკოტიკებისა და ხულიგნობისთვის კი არა, ჩხუბისთვის მაკავებდნენ. **არავინ მომიკლავს, არასდროს არაფერი მომიპარავს** და ქართველმა თუ არ იჩხუბა და თავისი ღირსება არ დაიცვა, პირიქით, სირცხვილია.

„ᲡᲐᲠᲙᲔ“

**ᲑᲐᲩᲝ ᲩᲐᲩᲘᲑᲐᲘᲐ**
*მსახიობი*



**„12 განრისხებულ მამაკაცში“** არაერთხელ ვითამაშე, მაგრამ ყოველ ჯერზე, როცა ფარდა იხსნებოდა, **სულ ვკანკალებდი.** პრემიერა როცა შედგა, ამ სპექტაკლში **24 წლის ვიყავი** და ბოლოს, როცა ვითამაშე იგივე სპექტაკლი, **42-ის ვიყავი.** მაშინ ვიფიქრე, ამდენი ხანი 800-კაციან დარბაზში ამდენი მაყურებელი რომ გიყურებს, ესე იგი, მართლა რაღაც გრანდიოზულს აკეთებ.

„ᲡᲐᲠᲙᲔ“

*ცნობილი ჰომეოპათი, ექიმი კახა საბახტარიშვილი კვების იდეალურ რეჟიმს ასახელებს და აცხადებს — ვინც დღის განმავლობაში ერთხელ ან ორჯერ, თუნდაც მამაპაპურად ჭამს, წონაში ნაკლებად იმატებს, ვიდრე ის, ვინც ხშირად და მცირე ულუფებით იკვებება:*



**კახა საბახტარიშვილი** — ექიმი ნევროპათოლოგი, საერთაშორისო ჰომეოპათიური ლიგის წევრი, საქართველოს ეკოლოგიის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი. გასული საუკუნის 80-იან წლებში იყო კიბოს საწინააღმდეგო პრეპარატ **„კატრექსის“** ავტორის **ალექსანდრე ბაჩეჩილაძის** მიერ შექმნილი **საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი საიდუმლო სამეცნიერო ლაბორატორიის მთავარი ექიმი,** ქალაქ თბილისის №13 პოლიკლინიკის დირექტორი. აქვს გამოქვეყნებული 7 წიგნი და 1 მონოგრაფია, 50 სამეცნიერო სტატია. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მისი ხელმძღვანელობით შექმნილმა წამლებმა **„გულის ელექსირი ფორტე“, „ტონზილინი“ და „იმუნო ჰერბი ფორტე“, „ტონზილინმა“** ასობით ბავშვი გლანდების ამოჭრას გადაარჩინა. **„იმუნო ჰერბი ფორტემ“** ათასობით ადამიანს გრიპი და კოვიდი თავიდან აარიდა. **„გულის ელექსირი ფორტე“** საიმედო დაცვაა ინფარქტისა და ინსულტისაგან.



**თბილისი, ვაჟა-ფშაველას 43, მეტროსადგური „დელისი“ (პროფკავშირების სახლი). 593 31 70 34; ფეისბუქი: „კახა საბახტარიშვილის ჯანმრთელობის ცენტრი“ და „ლაზიკა-ფარმა“**

# კახა საბახტარიშვილი:

# ყველას ვურჩევ, რომ დილა ყავით კი არა, ერთი სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთის მიღებით დაიწყოს!

— წლების განმავლობაში მიიჩნევდნენ, რომ ადამიანის ჯანმრთელობისთვის და წონის კორექციისთვის სასარგებლო იყო დღის განმავლობაში დაბალკალორიული საკვების მცირე ულუფებით ხშირ-ხშირად მიღება. თითქოს ამით მეტაბოლიზმი და ნივთიერებათა ცვლა უმჯობესდებოდა, რაც ორგანიზმს დიდად რგებდა. ეს შეხედულება უკვე მოძველებული და უარყოფილია. უფრო მეტიც, **დადასტურებულია, რომ მცირე ულუფებით ხშირი კვება ჯანმრთელობას ვნებს, რადგან ყოველი წახემსების დროს ინსულინი გამოიყოფა, ხოლო მის სიჭარბეს ინსულინრეზისტენტობამდე მივყავართ.**

**— ვიდრე იმაზე ვისაუბრებდეთ, თუ რა უნდა ვჭამოთ, მანამდე გვითხარით, როგორ უნდა ვჭამოთ, რათა წონაში არ მოვიმატოთ?**

— იდეალური იქნება, თუ გადავალთ ჩვენ მიერ არაერთგზის ხსენებულ ე.წ. „16 პლუს 8“ კვების რეჟიმზე, როცა დღე-ღამის განმავლობაში რვასაათიან მონაკვეთში, მაქსიმუმ, ორჯერ ვჭამთ, ხოლო დანარჩენი 16 საათი წყლის გარდა, არაფერს ვღებულობთ.

**თუ შაქარს, სახამებელსა და ნახშირწყლებს საერთოდ დავივიწყებთ, ბოსტნეულს რაც შეიძლება მეტს მივიღებთ, ხოლო ცილებს, მაქსიმუმ, 100 გრამის ოდენობით მოვიხმართ, მაშინ არც შაქრიანი დიაბეტი დაგვემუქრება და სხეულიც იდეალურ მდგომარეობაში გვექნება.**

**— ახლა იმის შესახებ, რა უნდა ვჭამოთ!**

— ჯანმრთელობისთვის ძალიან კარგია **მოხარშული კვერცხი,** დღის განმავლობაში თუნდაც სამი-ოთხი ცალი! წესად გავიხადოთ **დარიჩინის** სისტემატური მიღებაც. გვახსოვდეს, რომ იგი შიმშილს ვერ მოგვიკლავს, მაგრამ შაქრიანი დიაბეტის დაუძინებელი მტერია. დარიჩინი განსაკუთრებით კარგია კეფირთან ერთად. *3 გრამი დარიჩინის ფხვნილი უნდა ავურიოთ 200 გრამ კეფირში, გავაჩეროთ 20 წუთი და მივიღოთ დღეში ორჯერ — უზმოზე და ძილის წინ. დარიჩინი სასარგებლოა ე.წ. მექსიკური ჩაის სახითაც: 3 ცალი დარიჩინის ქერქის ტოტი უნდა ჩავყაროთ 4 ჩაის ჭიქა წყალში, მივიყვანოთ ადუღებამდე და შემდეგ 15 წუთი გავაჩეროთ. ამის შემდეგ ნაყენს დავუმატოთ 1 ჩაის კოვზი ლიმონის წვენი და დღეში ოთხჯერ დავლიოთ, როგორც ჩაი. იდეალურია დარიჩინისა და კურკუმას კომბინაციაც: 1 ჩაის ჭიქა შავი ჩაის ნაყენს დავუმატებთ 1 ჩაის კოვზ კურკუმას, 1 გრამ დარიჩინს და მივიღებთ დღეში ორჯერ — დილით და საღამოს.*





**„თევზეული ყველაზე უსაფრთხო და სასარგებლო პროდუქტია!“**





**— ეს ყველაფერი პურის გარეშე უნდა ვჭამოთ?**

— საერთოდ, **უნდა მივეჩვიოთ ისეთ საკვებ-პროდუქტებს, რომლებსაც დაბალი გლიკემიური ინდექსი აქვთ.**

თუ გვინდა, რომ სიმსუქნე თავიდან ავიცილოთ და დიაბეტიც არ დაგვემართოს, თეთრი პური საერთოდ დავივიწყოთ, რადგან მისი გლიკემიური ინდექსი 95-ია, ანუ ამ მაჩვენებლით სუფთა შაქარს უახლოვდება! თუ გვინდა, რომ სიმსუქნე თავიდან ავიცილოთ და დიაბეტიც არ დაგვემართოს, უმჯობესია, ქატოს ან უხეში ბოჭკოების შემცველი პური ვიყიდოთ. ასეთი პური შეიცავს უჯრედისს, რომელიც გლიკემიურ ინდექსს მნიშვნელოვნად ამცირებს. **თუ პურს მაცივარში შევინახავთ და შემდეგ ტოსტერში ან ტაფაზე გავაფიცხებთ, უვნებელი გახდება, რადგან სიცივის გავლენით მასში არსებული სახამებელი, რომელიც რეალურად შაქარია, გარდაიქმნება.**

**— თეთრი პურის გარდა კიდევ რომელ პროდუქტებს აქვს მაღალი გლიკემიური ინდექსი?**

— ყველაზე მაღალი გლიკემიური ინდექსი აქვს **ყველა სახის ცომეულს, ალკოჰოლს, ჩიპსებს, საზამთროს, ყურძენს, გოგრას, ყაბაყს, ყველა სახის ნამცხვრებსა და ტორტებს, კანფეტებს, თაფლს...** ამიტომ ამ პროდუქტებს მოვერიდოთ! მაღალი გლიკემიური ინდექსი ნიშნავს, რომ, როდესაც ამ პროდუქტებს მივიღებთ, სისხლში გლუკოზა სწრაფად მოხვდება, თავის ტვინიც სწრაფად „დანაყრდება“, ინსულინიც დიდი რაოდენობით გამოიყოფა და ადამიანს მაძღრობის შეგრძნება სწრაფად დაეუფლება. მაგრამ ცოტა ხანში გლუკოზის დონე სისხლში დაბლა ეცემა, ტვინი კვლავ „შიმშილს“ განიცდის, გამოიცემა სიგნალი, რომ თითქოს ადამიანი მშიერია და ამიტომ ზომაზე მეტ საკვებს მოიხმარს, რაც, ცხადია, სიმსუქნის მიზეზი ხდება!

საბჭოთა ბავშვებს ხშირად აჭმევდნენ მანანის ფაფას, რომელიც მაღალი გლიკემიური ინდექსით გამოირჩევა. სწორედ ეს იყო საბჭოთა კავშირში სიმსუქნისა და შაქრიანი დიაბეტის გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი.

**— რომელია დაბალი გლიკემიური ინდექსის მქონე პროდუქტები?**

— დაბალი გლიკემიური ინდექსი ნიშნავს, რომ სისხლში გლუკოზის რაოდენობა ნელ-ნელა მატულობს, უჯრედებს დოზირებულად მიეწოდება და ცხიმის სახით არ გროვდება, ხოლო პანკრეასის ჯირკვალი ყოველგვარი დატვირთვის გარეშე მუშაობს. სწორედ ამიტომ არის სასარგებლო დაბალი გლიკემიური ინდექსის მქონე პროდუქტები — **ყველა სახის**

**„დღის განმავლობაში სამი-ოთხი ცალი მოხარშული კვერცხი იდეალურია!“**

## კვირგვინოსნები

**გრიგოლ გაგნიძე**
*არასამთავრობო ორგანიზაცია „პოლიტიკის და სამართლის ობსერვერის“ დამფუძნებელი*



წარმოიდგინეთ, **ამერიკაში პოლიციელზე სილის გაწვნისთვის რა მოხდებოდა.** იქ ეს კრიმინალია, აქ — გმირობა. **პიროტექნიკა ახლო დისტანციიდან რომ ესროლათ,** დარწმუნებული ვარ, **ამერიკელი პოლიციელი მსგავსი კრიმინალის მიმართ ცეცხლსასროლ იარაღს გამოიყენებდა.**

„საერთო გაზეთი“

**გია ტაბლიაშვილი**
*ადვოკატი*



აქციებზე გამოსული ახალგაზრდობა აუცილებლად მიხვდება, **სად არის სიმართლე და სად — ფარისევლობა.** ის, რაც ჟურნალისტმა **მზია ამაღლობელმა** გააკეთა, არის **სამართალდამცავი ორგანოს წარმომადგენლის მორალური შეურაცხყოფა** და საზოგადოებისათვის იმის ჩვენება, რომ **ხსენებული ჟურნალისტისთვის არ არსებობს არც კანონი, არც კანონის ელემენტარული პატივისცემა, არც არანაირი შემზღუდველი ჩარჩო.** არცერთი სახელმწიფო არ დაუშვებს მსგავსი ქმედების რეაგირების გარეშე დატოვებას. **სააკაშვილის რეჟიმის დროს ამ ჟურნალისტს 5 კილოგრამი ნარკოტიკი ექნებოდა უკვე ჩადებული და ქალთა კოლონიის სამუდამო ბინადარი იქნებოდა.**

„საერთო გაზეთი“

**მამუკა არეშიძე**
*სტრატეგიული კვლევების კავკასიური ცენტრის ხელმძღვანელი*



ახლა აფხაზები ფიქრობენ — თუ ჩვენ არა გვყავს ერთგული მოკავშირე, არამედ **გვყავს მხოლოდ უფროსი ძმა, რომელიც როცა უნდა დაგვსჯის, რატომ არ შეიძლება საქართველოსთან ნორმალური ურთიერთობა გვქონდეს,** მითუმეტეს, შეგვიძლია მათთან ვივაჭროთ ან ქართველების მეშვეობით გარღვევები გვქონდეს მესამე ქვეყნებთანო?! **ამის რეალიზაციის პროცესი დაიწყეს და ენგურს აქეთ კონტაქტების დამყარებაც მიდის.**

„კვირის პალიტრა“

**ნოდარ ლადარია**
*ექსპერტი*



**მზია ამაღლობლის** საქმე **ბევრად უფრო მნიშვნელოვანია,** ვიდრე **ბირბილაშვილის, რობაქიძისა** და სხვების ამბები ერთად აღებული.

„მარშალპრესი“

## „თეთრი პურის მსგავსად, შაქარი საშიში პროდუქტია და ხმარებიდან საერთოდ უნდა ამოვიღოთ!“





მწვანილი, ბოსტნეული და ისეთი ხილი, რომელიც ტკბილი არ არის.

**— მიჩნეულია, რომ ხილი უსაფრთხო პროდუქტია! რას იტყვით?**

— ხილი ძალიან სასარგებლო პროდუქტია, მაგრამ მისი გადამეტებული მიღება ორგანიზმისთვის დამანგრეველია.

**ხმები იმის შესახებ, რომ ადამიანმა მთელი დღის განმავლობაში მხოლოდ ხილი თუ ჭამა, წონაში დაიკლებს და ჯანმრთელი იქნება, ბოროტი ტყუილია!**

ე.წ. ხილის დიეტით და ხილის გადაჭარბებული მიღების ჩვეულებით, ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ დავიზიანებთ ღვიძლს და წონაშიც მოვიმატებთ! გარდა ამისა, ტვინი იკვებება მხოლოდ გლუკოზით და არა ფრუქტოზით. ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ფრუქტოზა სამჯერ უფრო ტკბილია, ვიდრე გლუკოზა და ორჯერ უფრო ტკბილი, ვიდრე ჩვეულებრივი შაქარი. მთელ მსოფლიოში და, მათ შორის, საქართველოშიც, იმისათვის, რომ შაქრის ეკონომია გააკეთონ, საკონდიტრო პროდუქტებსა და ტკბილ სასმელებს ფრუქტოზით ამზადებენ. როცა მომხმარებელი ეტიკეტზე **შაქრის** ნაცვლად **ფრუქტოზას** წაიკითხავს, უხარია და ჰგონია, რომ, რადგან ხილის შაქართან აქვს საქმე, ე.ი. ნაკლებად მავნე პროდუქტს მოიხმარს. **სინამდვილეში ორგანიზმში ფრუქტოზის სიჭარბე ზუსტად იმავე სავალალო შედეგის მომტანია, როგორც ალკოჰოლის.** ხილში, მართალია, ფრუქტოზა შედის, მაგრამ ამავე დროს შედის მცენარეული ბოჭკოებიც, რომლებიც ორგანიზმში ფრუქტოზის ზედმეტი დოზით მოხვედრას ხელს უშლიან. ისიც უნდა ითქვას, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჯანდაცვის ბიუჯეტის სამი მეოთხედი სწორედ დიაბეტზე, კიბოზე, გულ-სისხლძარღვთა დაავადებებსა და ჭარბი წონით გამოწვეულ პრობლემებზე იხარჯება. ამერიკელ მეცნიერთა აზრით, ამის მთავარი მიზეზი საკვებ პროდუქტებსა და სასმელებში შაქრის ნაცვლად სუფთა სახის ფრუქტოზის გამოყენებაა.

**— დილით რა უნდა ვჭამოთ და დავლიოთ?**

— ბევრი ადამიანი გაღვიძებისთანავე ყავის სმას იწყებს, რაც მავნებელია. **უშაქრო ყავა საუზმიდან 1 საათის შემდეგ უნდა დავლიოთ!** გვახსოვდეს — **თეთრი პურის მსგავსად, შაქარი საშიში პროდუქტია და ხმარებიდან საერთოდ უნდა ამოვიღოთ!** რაც შეეხება საუზმეს, დილით კარგია **მოხარშული კვერცხი, საქონლის ხორცის კოტლეტი, არაჟანი და ხაჭო.** ღორის ხორცი უგემრიელესია, მაგრამ მაწყინარია, ამიტომ მცირე რაოდენობით უნდა მივირთვათ. იგივე ეხება ცხვრის ხორცსაც. რაც შეეხება თხისა და საქონლის ხორცს, ჯანმრთელობისთვის ორივე სასარგებლოა, მაგრამ მოხარშული სახით.

**— ფრინველის ხორცი მარგებელია?**

— განსაკუთრებით მარგებელია ინდაურის ხორცი. რაც შეეხება ნანადირევს, როგორც ფრინველი, ისე ცხოველი, ძალიან მარგებელია, რადგან ქოლესტერინს პრაქტიკულად არ შეიცავს!

**— ქათმის ხორცი რამდენად სასარგებლოა?**

— ქათმის ხორცი, განსაკუთრებით კი მისი მკერდის ნაწილი, ადვილად ასათვისებელია. შედარებით საფრთხილოა იხვისა და ბატის ხორცი, რადგან ერთიც და მეორეც დიდი ცხიმიანობით გამოირჩევა და, ამავდროულად, ალერგიის გამომწვევ პროდუქტად არის მიჩნეული.

**— საქართველოში ძალიან პოპულარულია მჭადი და ლობიო, რას იტყვით ამ პროდუქტებზე?**

— ლობიო და პარკოსნები არ უნდა მიიღონ მათ, ვისაც პოდაგრა აწუხებთ. ლობიო დიდი რაოდენობით პურინებს შეიცავს, რომლებიც შარდმჟავად გარდაიქმნება. ამასთანავე, ლობიო მძიმე მოსანელებელია და არ უნდა ჭამონ, ვისაც შეკრულობა აწუხებს. რაც შეეხება მჭადს, გაგიკვირდებათ და, პურის მსგავსად, მისი გლიკემიური ინდექსიც მაღალია, ამიტომ დიაბეტიანები არ უნდა გაეკარონ. მითია ისიც, თითქოს მჭადი არ ასუქებს! **მჭადი ძნელად მოსანელებელი პროდუქტია და ნაწლავის ბუშტის გაღიზიანებას იწვევს. სასურველია, დაძინებამდე რამდენიმე საათით ადრე მივიღოთ!**

**— ყველაზე უსაფრთხო და სასარგებლო პროდუქტი რომელია?**

— ყველაზე უსაფრთხო და სასარგებლო პროდუქტია თევზეული, მათ შორის, ყველაზე ცხიმიანიც კი, რადგან „ომეგა-3“-ის ბუდეა! **ჯანმრთელობისთვის მოხარშული თევზი განსაკუთრებით სასარგებლოა, თუმცა, შემწვარი უფრო გემრიელია.**

აბსოლუტურად უვნებელი და მარგებელი პროდუქტია ხაში... ვისაც სახსრების ანთება აქვს, ხშირად უნდა მიირთვას, რადგან ყველა იმ კომპონენტს შეიცავს, რისგანაც სახსარი შედგება! საერთოდ, ქართველმა კაცმა ბევრი მწვანილი უნდა ჭამოს, რადგან ხორცის მოყვარული ხალხი ვართ და მის მონელებას უწყობს ხელს! გარდა ამისა, მწვანილში გაცილებით მეტი ვიტამინები და მიკროელემენტებია, ვიდრე ხილში.

**— რამდენად სასარგებლო პროდუქტებია ჩვენში განსაკუთრებით პოპულარული ხინკალი, მწვადი და ხაშლამა?**

— ხინკალი საერთოდ, მძიმედ მოსანელებელი პროდუქტია, ამიტომ მისით გატაცება არ ღირს! ხინკალი ასუქებს, თუმცა, მასში შემავალი ძირა სასარგებლო ბოსტნეულია და ხინკლის ათვისებას უწყობს ხელს! მწვადიც ძნელად მოსანელებელი პროდუქტია, მისი დაბრაწული კანი კი კანცეროგენს წარმოადგენს. ამიტომ ცვრიანი სჯობს, ვიდრე დაბრაწული. ღორის ხორცის მწვადი განსაკუთრებით გემრიელია, მაგრამ — მაწყინარი. ანალოგიური ითქმის ცხვრის მწვადზეც... რაც შეეხება ხაშლამას, იგი ძალიან სასარგებლოა, მაგრამ პურთან ერთად მისი მიღება დაუშვებელია, რადგან ასუქებს!

საერთოდ, გვახსოვდეს, რომ მზესუმზირასა და სიმინდის ზეთი მავნებელია, ამიტომ ყველაფერი დავიკლოთ და აუცილებლად ჩავანაცვლოთ ზეითუნის ზეთით, რომელიც ჯანმრთელობისთვის იდეალური პროდუქტია. უფრო მეტიც, **ყველას ვურჩევ, დილა ყავით კი არა, 1 სუფრის კოვზი ზეითუნის ზეთის მიღებით დაიწყოს!**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## „თუ გვინდა, რომ სიმსუქნე თავიდან ავიცილოთ და დიაბეტიც არ დაგვემართოს, თეთრი პური საერთოდ დავივიწყოთ!“

**„საბჭოთა ბავშვებს ხშირად აჭმევდნენ მანანის ფაფას, რომელიც მაღალი გლიკემიური ინდექსით გამოირჩევა. სწორედ ეს იყო საბჭოთა კავშირში სიმსუქნისა და შაქრიანი დიაბეტის გავრცელების ერთ-ერთი მიზეზი!“**






## „ქართველმა კაცმა ბევრი მწვანილი უნდა ჭამოს!“

### კვირგვინოსნები

**ნინო კასრაძე**
*მსახიობი*



**ევროპაში ყველაფერი იდეალურად არ არის,** მათაც აქვთ პრობლემები, არის ბიუროკრატია, მაგრამ სისტემა მუშაობს. კიდევ ერთი დიდი ნიშანი, რაც ევროპელებს აერთიანებთ, ისაა, რომ **იცავენ მთავარ ფასეულობებს,** რაც მათ ქცევასა და ურთიერთობაში ვლინდება.

„კვირის პალიტრა“

**თემურ ჩხეიძე**
*მწერალი*



ევროკავშირში **ღირსებით** უნდა შევიდეთ. თუ ერმა **ღირსება** დაკარგა, მერე გინდ ყოფილა და გინდ — არა, მის არსებობას აზრი აღარ ექნება. **ევოლუციაა** საჭირო და არა **რევოლუცია.** „საერთო გაზეთი“

**ნანა მელქაძე**
*დიზაინერი*



23 წელია, ერთგული მომხმარებელი მყავს. პატარა გოგონები იყვნენ, ჩემი შეკერილი **საპატარძლო კაბებით** გათხოვდნენ, შვილები შეეძინათ, გამრავლდნენ, მერე მათი შვილებისთვის შევქმენი **საბანკეტო კაბები,** მერე — **საპატარძლო კაბები.** იყო ოჯახების ისტორიის მომსწრე, ეს უდიდესი ბედნიერებაა.

„თბილისელები“

**გიორგი ძოწენიძე**
*მომღერალი*



**ცხოვრებაში ყველაზე მეტად მეუღლეში გამიმართლა.**

„სარკე“

**ინდირა ჯგერენაია**
*მომღერალი*



მამაკაცის მოსახიბლად **გამომწვევად** არასოდეს ჩამიცვამს.

„სარკე“

# რით უნდა ამაყობდეს ქართველი?

*დასაწყისი იხ. „ა-დ“, 2025 წლის №1-2, 3-5*

***პროფესორ სვიმონ მასხარაშვილის განცხადებით, სავსებით რეალურია, რომ ჩვენს წინაპართა და ძირძველ შუმერთა საერთო წარმოშობისა და ენობრივი ნათესაობის შედეგად ტერმინ „მუშქს“ და ტერმინ „მესხ-მუშქს“ საერთო ეტიმოლოგია ჰქონდეთ. დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის მე-7-მე-6 საუკუნეებში შუმერები საბოლოოდ მისან-ქალდეველებად ტრანსფორმირდნენ, რაც ჩვენს უშუალო წინაპრებთან პირდაპირ კავშირშია:***

— ქართველთა წინაპრები სხვა ტომთაგან თავისი საზოგადოებრივი მოწყობის წესით გამორჩეული იყვნენ. ეს გამოიხატებოდა ქალთა და კაცთა თანასწორობასა და ცხოვრების დემოკრატიულ წესში, როცა ყველა საჭირბოროტო საკითხი საფიხვნოებზე, საბჭოებზე წყდებოდა და თითოეული მოქალაქის ხმა და აზრი გათვალისწინებული იყო. ამდაგვარი საზოგადოებრივი მოწყობა ხელს უშლიდა დიდ ტერიტორიაზე ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნას.

მტკვარ-არაქსის კულტურა ისევე, როგორც შუამდინარეთის კულტურა, ძველი წელთაღრიცხვის 3500-2500 წლებში მსოფლიოში ძალიან მაღალ საფეხურზე იდგა და გამოირჩეოდა თვითმყოფადობით, მაგრამ არც მტკვრისა და არაქსის ხეობებში ისევე, როგორც შუამდინარეთში, მთელ კავკასიაში, მცირე აზიასა და ზაგროსის მთებში, არ ჩანს ერთიანი ცენტრალიზებული ზესახელმწიფოს კვალი. პირიქით, ჩვენ წინაშეა ათეულობით **შუმერული ქალაქ-სახელმწიფო,** რომელიც ერთმანეთისგან სრულიად დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებს. იგივე პროცესი მიმდინარეობს ზაგროსის მთებში მცხოვრებ ელამელებში, უფრო ჩრდილოეთით მობინადრე კასიტებსა და ლულუბელებში, მცირე აზიაში მცხოვრებ ხათებში, მესხებსა და ხურიტებში.

ამ პერიოდის კავკასიაშიც არ ჩანს ერთიანი სახელმწიფოს კვალი, მიუხედავად იმისა, რომ რეგიონი კულტურულად და ეკონომიკურად აყვავებული და ძალიან დაწინაურებულია. პოლიტიკური სურათი რადიკალურად იცვლება, როდესაც ჩვენი წინაპრები და მათი ნათესავები გარკვეულ კონტაქტს ამყარებენ უცხოტომელებთან.

**— უცხოტომელებში ვის გულისხმობთ?**

— უცხოტომელებში ვგულისხმობ ყველას, ვისაც ჩვენი წინაპრების გენი არ ჰქონდა. საუბარია J-2 და Ge-2 გენებზე, რომლებიც ქართველებში დომინანტური გენებია. ამ შემთხვევაში საუბარია ნილოსის პირას მცხოვრებ აბორიგენ მოსახლეობასა და დონსა და დუნაის შორის მცხოვრებ ტომებზე, რომლებმაც ძველი წელთაღრიცხვის მეორე ათასწლეულში ჩვენს რეგიონში დაიწყეს ჩამოსახლება.

ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით 3000 წლისთვის ჩვენმა მონათესავე „გერზეს კულტურის“ მქონე ტომმა შუამდინარეთიდან ნილოსისპირეთში გადაინაცვლა, რასაც შედეგად მოჰყვა როგორც „გერზეს კულტურის“ წარმომადგენლების, ისე ადგილობრივი ნილოსელი აბორიგენების პოლიტიკური დღის წესრიგის რადიკალური ცვლილება. ზუსტად იგივე მოხდა, როდესაც ამ ამბიდან 1000 წლის შემდეგ, ანუ ძველი წელთაღრიცხვის 2000 წლისთვის, ინდოევროპელი ფალაელები და ნესიტები ჩვენს მონათესავე ხათებს შორის ჩამოსახლდნენ და **ხეთები** დაირქვეს.

**— მაინც რა პოლიტიკური ცვლილებები მოჰყვა ამ პროცესს?**

— როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში, ანუ ნილოსისპირეთსა (ძველი წელთაღრიცხვის დაახლოებით 3000 წელს) და მცირე აზიაში (ძველი წელთაღრიცხვის 2000-1800 წლებში) უცხო ტომებთან ჩვენს მონათესავე ტომთა აღრევამ გამოიწვია ცენტრალიზებული სახელმწიფოების შექმნა, ანუ „გერზეს კულტურის“ ხალხმა გააერთიანა ზემო და ქვემო ეგვიპტე და ძველი წელთაღრიცხვის 3000 წლისთვის, ლეგენდარული **ფარაონ** მენესის მეთაურობით, შექმნა ერთიანი ეგვიპტის სახელმწიფო. ანალოგიურად, ამ ამბებიდან 1200 წლის შემდეგ, ფალაელებისა და ჩვენი მონათესავე ხათების ურთიერთაღრევის შედეგად, წარმოიშვა ცენტრალიზებული მცირეაზიული **ხეთური ზესახელმწიფო,** რომელმაც ძველი წელთაღრიცხვის 1200 წლამდე იარსება, ვიდრე „ზღვის ხალხების“ შემოსევის შედეგად არ განადგურდა. თავის დროზე „გერზეს კულტურის“ მატარებელი ხალხი შუამდინარეთში სახლობდა, რომელიც არ იყო ცენტრალიზებული და წარმოადგენდა უამრავი, ერთმანეთისგან პოლიტიკურად დამოუკიდებელი ქალაქ-სახელმწიფოს ერთობას. საკმარისი იყო, „გერზეს კულტურის“ ხალხი სხვა რეგიონში გადასახლებულიყო, სადაც სხვა მენტალიტეტის ხალხი ცხოვრობდა, რომ მათ მომენტალურად თქვეს უარი წინაპართა პოლიტიკურ სისტემაზე და ეგვიპტის აბორიგენ ტომებს ჩამოუყალიბეს ცენტრალიზებული და აბსოლუტურად არადემოკრატიული — თეოკრატიული ზესახელმწიფო. ამ ამბიდან 1200 წლის შემდეგ, ანუ ძველი წელთაღრიცხვის მე-18 საუკუნეში, დაახლოებით იგივე მოხდა მცირე აზიაშიც. კერძოდ, აქ აბორიგენი იყო მრავალ ქალაქ-სახელმწიფოდ მცხოვრები **ხათების ქვეყანა,** სადაც ჩამოსახლდნენ შედარებით მცირერიცხოვანი ინდოევროპელები, მოხდა შეჯვარება და ძალიან მალე ამ ქალაქ-სახელმწიფოების სისტემა ჩაანაცვლა ცენტრალიზებული ხეთების იმპერიამ.

**— მსგავსი პროცესი შუმერსაც შეეხო?**

— დიახ, შუმერებშიც იგივე მოხდა. კერძოდ, დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 3000 წელს, ანუ „გერზეს კულტურის“ მატარებელი ხალხის შუამდინარეთიდან ეგვიპტეში მიგრაციის პარალელურად, ნილოსისპირეთის მცხოვრები აბორიგენი ტომების მონათესავე ენაზე მოლაპარაკე ერთ-ერთი ტომი, რომელიც აქადელების სახელით არის ცნობილი, გადმოსახლდა ცენტრალურ შუამდინარეთში. აქადელები აითქვიფნენ შუმერებში და ძველი წელთაღრიცხვის 2400 წელს აქადის მეფე **სარგონ ძველმა,** ანუ **სარგონ აქადელმა** (ძვ. წ.აღ. 2369-2314 წ.წ.), რომელიც აქადურ ენაზე მეტყველებდა, ყველა შუმერული და აქადური ქალაქი მოაქცია ერთიან ცენტრალიზებულ აქადურ-შუმერულ ზესახელმწიფოში. მართალია, დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის 2000 წლისთვის აქადურ-შუმერული სახელმწიფო დასუსტდა და დაიშალა, მაგრამ ძველი წელთაღრიცხვის 1750 წელს აქადური ენის მონათესავე ამორეულ ენაზე მოლაპარაკე **ხამურაბმა** ხელახლა დაიპყრო მთელი შუამდინარეთი და შექმნა ძველი **ბაბილონის სამეფო.** ხამურაბის ბაბილონის სამეფოში გაბატონებული ენა იყო აქადური. ასევე გაბატონებული მდგომარეობა ეჭირათ აქადურ-ამორეული წარმოშობის ავილუმებს, ხოლო შუმერული წარმოშობის მუშქენუმები კერძო საკუთრების არმქონე ტაძრის მონებად გადაიქცნენ და ისინიც და მათი ენაც ძირითადად საიდუმლო, საღვთისმეტყველო და სამეცნიერო-სახელოვნებო ენად იქცა. ნელ-ნელა ამ სფეროებშიც შუმერული აქადურმა შეცვალა და დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის მე-7-6 საუკუნეებში შუმერები საბოლოოდ მისან-ქალდეველებად ტრანსფორმირდნენ.

**— თქვენ მიერ ხსენებულ შუმერ მუშქენუმებსა და ჩვენს წინაპარ მუშქ-მოსხ-მუსკ-მესხებს შორის რამე კავშირი იკვეთება?**

— პირდაპირი კავშირი, ალბათ, ნაკლებად იკვეთება, მაგრამ სავსებით რეალურია, რომ ჩვენს წინაპართა და ძირძველ შუმერთა საერთო წარმოშობისა და ენობრივი ნათესაობის შედეგად ძველი წელთაღრიცხვის მე-18-მე-17 საუკუნეების შუამდინარეთში დამკვიდრებულ ტერმინ „მუშქს“ და ტერმინ „მესხ-მუშქს“ საერთო ეტიმოლოგია ჰქონდეთ. ეს ეტიმოლოგიური კავშირები ძალზე თვალშისაცემია სხვა ტერმინებშიც. კერძოდ, შუმერულ ქალაქ ურიდან წარმოშობილი აბრაამის შვილთაშვილ იოსებს, რომელიც ჰიქსოსების პერიოდში ეგვიპტეში დამკვიდრდა, **ივრს** დაარქმევენ, რაც მაშინ მამასახლისს ნიშნავდა. შემდგომში ეს **ივრი** გავრცელდება მის ძმებზეც, ანუ იაკობის სხვა შვილებზეც. მოკლედ,

**ძველი წელთაღრიცხვის მე-13 საუკუნეში ეგვიპტელთა ტყვეობაში მყოფი ებრაელი ერის ტომობრივი სახელი ივრი იყო. საინტერესოა, რომ ქართველების ერთ-ერთი საერთაშორისო და ყველაზე უფრო გავრცელებული სახელი სწორედ ივერი გახლავთ!**

უფრო მეტიც, შუმერთა შთამომავალი ქალდეველები, რომლებიც ძველი წელთაღრიცხვის მე-6 საუკუნეში დღევანდელი ერაყის სამხრეთით ცხოვრობდნენ და **ქალდად** იწოდებოდნენ, აშკარად ჩვენი **დნმ**-ის მატარებლები იყვნენ. დღეს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ „ჭაობის არაბთა“ 84 პროცენტს სწორედ ქართველთა J-2 დნმ-ი აქვს. ავიღოთ ბრინჯაოს ხანის მიწურულის, ანუ დაახლოებით ძველი წელთაღრიცხვის მე-7-მე-6 საუკუნეების შუმერთა უკანასკნელი სახელმწოდება **ქალდი** და შევადაროთ კავკასიურ ტოპონიმიკას. ჭოროხის ხეობაში მცხოვრებ რკინის გამომგონებელ ხალიბთა ავტოქტონური სახელწოდება იყო **ხალდი;** ურარტუს მთავარ ღვთაებას ერქვა **ხალდი;** სვანეთის სახელგანთქმული სოფელი იყო **ხალდე,** რომელიც 1875 წელს რუსებმა ზარბაზნებით დაანგრიეს და ხალხი ამოწყვიტეს. ამ აჯანყების ხელმძღვანელები იყვნენ გირგვლიანები და ჯოხაძეები. საქართველოში დღემდე გავრცელებული გვარებია — **ქალდანი, გალდავა და გალდავაძე.** რაც მთავარია — ტერმინ **საქართველოს** და სამეგრელოს ფუძეებია **ქართ** და **ეგრ...** ენათმეცნიერებაში აღიარებული ფაქტია, რომ **„რ“**-სა და **„ლ“**-ს, **„დ“**-სა და **„თ“**-ს ურთიერთმონაცვლეობა ჩვეულებრივი მოვლენაა. მეტიც, ეს ხშირად ხდება **„ქ“**-ს, **„გ“**-სა და **„ხ“**-ს შორისაც. შესაბამისად, ტერმინ **ქალდ**-ს **ქართ**-სა და **ხალდ**-ს შორის აბსოლუტური ტოლობის ნიშნის დასმა შეიძლება.



***სვიმონ მასხარაშვილი:***

**ტერმინ ქალდ-ს, ქართ-სა და ხალდ-ს შორის აბსოლუტური ტოლობის ნიშნის დასმა შეიძლება!**



**„ჭოროხის ხეობაში მცხოვრებ რკინის გამომგონებელ ხალიბთა ავტოქტონური სახელწოდება იყო ხალდი; ურარტუს მთავარ ღვთაებას ერქვა ხალდი; სვანეთის სახელგანთქმული სოფელი იყო ხალდე; საქართველოში დღემდე გავრცელებული გვარებია – ქალდანი, გალდავა და გალდავაძე!“**

*ესაუბრა*
***დიტო ჩუბინიძე***

## რიმა ხვედელიანი-ქარჩხაძე:

# ბოროტებაზე ყოველთვის იმარჯვებს სიკეთე. ასე მწამს, ასე ვიცხოვრე და ამ რწმენით წავალ იმქვეყნად!



***თბილისის მერიამ 100 წელს მიღწეულ მოქალაქეთათვის ერთჯერადი დახმარება 10 000 ლარამდე გაზარდა. გასულ წელს ამ ასაკის პირთა რიცხვი თბილისში 57 იყო, 2023 წელს — 54, ხოლო 2025 წლის სტატისტიკა მხოლოდ წლის მიწურულს იქნება ცნობილი. ყოფილი პედაგოგი, 100 წლის რიმა ხვედელიანი-ქარჩხაძე მადლიერებას გამოხატავს თბილისის მერიის მიმართ, რომ არ ივიწყებენ საუკუნოვან ადამიანებს:***

— მადლობას მოვახსენებ თბილისის მერიას დაფასებისა და სიკეთისათვის, ეს არის არამარტო ფინანსური დახმარება, არამედ მორალურად გვერდში დგომა, რადგან ამდენი საქმის მიუხედავად, არ დაგვივიწყეს საუკუნოვანი ადამიანები. ორი ქალიშვილი მყავს და ორი შვილიშვილი, ზრუნვას არ მაკლებენ, მაგრამ, როცა სახელმწიფოც იჩენს ყურადღებას, ძალიან სასიამოვნოა.

**— საუკუნე მიგაქვთ მხრებით...**

— ზაფხულში, 15 ივლისს, 101 წელი მისრულდება, არადა, ახალგაზრდობაში არასოდეს დავფიქრებულვარ ასაკზე, რომ 100 წელი მეცხოვრა.

### ხანგრძლივი სიცოცხლის საიდუმლოდ მივიჩნევ ცხოვრების მიმართ ოპტიმისტურ განწყობას. რა სიტუაციაშიც უნდა ჩავვარდნილიყავი, რა წინააღმდეგობაც უნდა შემხვედროდა, იმედიანად ვიყავი და ყოველთვის ვიცოდი, რომ სიმართლე გაიმარჯვებდა.

მნიშვნელობა არა აქვს, ოჯახშია გაუგებრობა, მეგობრებში, თუ სახელმწიფოებს შორის, სიმართლე ყოველთვის გაიმარჯვებს და ყველას თავის ადგილს მიუჩენს.

**— ასაკს განიცდით?**

— 90 წლის რომ შევსრულდი, ასაკი ძალიან განვიცადე და საოცრად ემოციური გავხდი. მახსენდება ჩემი ცხოვრების ყველაზე ბედნიერი წლები, რომლებიც ბავშვობას უკავშირდება. რაჭაში ვცხოვრობდი, ჩემს სოფელს ქრისტესი ჰქვია, თუმცა, კომუნისტებმა სახელი გადაარქვეს და ანკარა უწოდეს. მოგვიანებით, როდესაც **ზვიად გამსახურდია** მოვიდა ხელისუფლებაში, ხალხის თხოვნით სოფელს თავისი სახელი დაუბრუნეს. მადლიანი ადგილია, იქ არის ჯვარცმის ეკლესია.

**— თქვენი წინაპრებიდან 100 წლის ასაკს რამდენმა მიაღწია?**

— 100 წლამდე არავის მიუღწევია, მამა 88 წლის გარდაიცვალა, დედა — 78 წლის. ულამაზესი ქალი იყო, თბილისში დაბადებული, გიმნაზიაში სწავლობდა, შესანიშნავად ეხერხებოდა ჭრა-კერვა. გათხოვდა რაჭაში **გრამიტონ ხვედელიანზე** და იქვე დარჩა. ჩემი მშობლების სიყვარული ისეთივე ძლიერი იყო, როგორც რომეო და ჯულიეტასი. სამამულო ომმა დედაჩემი ძალიან გატეხა. ჩემი ძმა — **ვარდენ ხვედელიანი** 9 თვის გაწვეული იყო სამხედრო სამსახურში, როდესაც პირველივე თავდასხმის შემდეგ უგზო-უკვლოდ დაიკარგა დასავლეთ უკრაინაში. წლების მანძილზე დედა ფეხით დადიოდა მრავალძალის წმინდა გიორგის ეკლესიაში, ლოგინში არ წვებოდა, ამბობდა — მე თუ გავძელი, ესე იგი, ჩემი შვილიც გაძლებსო. მშობლებს ადრეც ჰქონდათ გადატანილი ტრაგედია, როდესაც 24 წლის ქალიშვილი დაეღუპათ და მისგან 3 წლის შვილი დარჩათ. დედა დეპრესიაში ჩავარდა, მე და დედმამიშვილებს ბებია გვივლიდა, პატარა ბავშვი ბაღში თვითონ დავდიოდი — ჩემი სოფლიდან კარგა მოშორებით — კვაშხიეთში, შემდეგ — სკოლაშიც. ჯერ კიდევ სკოლამდელმა წერა-კითხვა კარგად ვიცოდი.

**— მთელი ცხოვრება ბავშვებს ასწავლიდით, რაც დიდ ენერგიასა და შრომას მოითხოვდა...**

— ბავშვობიდანვე მინდოდა მასწავლებლობა, როცა პედაგოგი გავხდი, პირველ სექტემბერს აღტაცებით ველოდი, ჩემი მოსწავლეები ისე მენატრებოდნენ, ერთი სული მქონდა, სწავლა დაწყებულიყო. თავიდან ონის რაიონის სოფელ კვაშხიეთის საშუალო სკოლაში ვასწავლიდი, შემდეგ — ქუთაისის 27-ე სკოლაში (ჩემი მეუღლე, ქიმიკოსი **გივი ქარჩხაძე** ქუთაისის 30-ე და 24-ე საშუალო სკოლებში ასწავლიდა). დამთავრებული მაქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი, როდესაც რექტორი გახლდათ **ნიკო კეცხოველი.** ჩემი პროფესორები იყვნენ **კორნელი კეკელიძე, ალექსანდრე ბარამიძე, აკაკი შანიძე.**

არ მავიწყდება, როგორ დავიცავი დიპლომი, ჩემი ხელმძღვანელი იყო **ალექსანდრე ბარამიძე,** ხოლო რეცენზენტი — **კორნელი კეკელიძე.** გავცივდი, ძალიან ცუდად ვიყავი, მაგრამ ბიბლიოთეკაში მაინც დავდიოდი, სადიპლომო თემაზე ვმუშაობდი. მახსოვს, ჩემი მეგობარი, ექიმი **ეთერ ხომასურიძე** ქუჩაში შემხვდა, შენი სახე არ მომწონსო — მითხრა და თავის სახლში წამიყვანა. მერე საავადმყოფოში დამაწვინეს და ცნობილმა ექიმმა **ონანოვმა** გამიკეთა გლანდების ოპერაცია. ავადმყოფობის შემდეგ ძალიან გავხდი, როცა უნივერსიტეტში დავბრუნდი, კიბეებზე **კორნელი კეკელიძე** შემხვდა და მითხრა — ისეთი კარგი რეცენზია დაგიწერე, ამდენ ხანს სადა ხარო?

**— თქვენი საყვარელი ავტორები?**

— ყველაზე ღრმად შესწავლილი მაქვს **დავით გურამიშვილის** შემოქმედება, ჩემი სადიპლომო ნაშრომი მას ეძღვნებოდა. მიყვარდა **იაკობ ცურტაველი,** რომლის ნაწარმოებიდანაც იწყებოდა ჩვენი ერის ლიტერატურა, **შოთა რუსთაველის** „ვეფხისტყაოსანი“, რომელიც გვასწავლის, რომ ბოროტებაზე ყოველთვის იმარჯვებს სიკეთე. ასე მწამს, ასე ვიცხოვრე და ამ რწმენით წავალ იმქვეყნად.

***— როგორ შეაფასებთ მიმდინარე მოვლენებს საქართველოში?***

— უპირველესად, განათლების სისტემაა მისახედი. ძალიან მაღელვებს დღევანდელი მდგომარეობა,

### ხელისუფლებას დიდი ბრძოლა დასჭირდა, რომ ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვნის დაცვის შესახებ კანონი მიეღო. ვფიქრობ, ეს უფრო ადრეც უნდა გაკეთებულიყო. სახელმწიფოს პირველი უჯრედი სწორედ ოჯახია და ეს საკითხი რომ მოაგვარეს, მთავრობის ღირსებაზე მეტყველებს.

და კიდევ: სახელმწიფოს საფუძველს უმყარებს ქრისტიანული სარწმუნოება, რითაც ადამიანმა უნდა გადალახოს ყოველგვარი სირთულე და ღირსეულად იცხოვროს.

**— ყველაზე მეტად სად ისურვებდით წასვლას, რომელი ადგილი გენატრებათ?**

— მენატრება მშობლიური სოფელი ქრისტესი, სადაც ჩემი მშობლების საფლავებია. ყველაზე მეტად კი ის ადგილი მიყვარს, სადაც დავიბადე, გავიზარდე და ცხოვრების დიდი ნაწილი გავატარე!

> **კახა კალაძე, თბილისის მერი:** როდესაც ადამიანს უსრულდებოდა 100 წელი, დედაქალაქის მერია მას გადასცემდა ჯილდოს ათასი ლარის სახით. მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ ჯილდო ათჯერ გაიზრდება და 10 ათასი ლარი იქნება იმ ადამიანებისთვის, ვისაც 100 და მეტი წელი შეუსრულდება. მინდა, ამ ადამიანებს, პირველ რიგში, ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე ვუსურვო. ჯილდოს მისაღებად მოქალაქემ ან მისმა წარმომადგენლებმა თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურს განცხადებით უნდა მიმართონ. განცხადებას თან უნდა ერთვოდეს 100 წელს მიღწეული მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და ბოლო ერთი წლის განმავლობაში თბილისში უწყვეტი რეგისტრაციის შესახებ სამოქალაქო რეესტრის მიერ გაცემული საინფორმაციო ბარათი. იმ ხანდაზმულებს, რომლებმაც 2025 წლამდე აღნიშნული პროგრამით უკვე ისარგებლეს, განცხადების დაწერა აღარ მოუწევთ და ბენეფიტი პირდაპირ ჩაერიცხებათ.

### „მადლობას მოვახსენებ თბილისის მერიას დაფასებისა და სიკეთისათვის, ეს არის არამარტო ფინანსური დახმარება, არამედ მორალურად გვერდში დგომა, რადგან ამდენი საქმის მიუხედავად, არ დაგვივიწყეს საუკუნოვანი ადამიანები!“

*ესაუბრა*
***ქეთევან ხამიცაშვილი***

## კვირგვინოსნები

**ელენე ფოჩხუა**
*მომღერალი*



ყოველდღე ისე უნდა გამოვიყურებოდე, **თითქოს მილიონზე ლარი მაკლია** და დაე, ეგონოთ ასე.

„თბილისელები“

**ცუცა კავანაძე**
*მსახიობი*



**ველოდები თეთრ ცხენზე ამხედრებულ პრინცს.** სულ ასე ვიძახი და აღარ დაადგა საშველი ამ პრინცის მოსვლას.

„თბილისელები“

**მანანა აბრამიშვილი**
*მსახიობი*



**კაზინოშიც მომიგია.** მაინტერესებდა და ერთხელ მეგობრებმა წამიყვანეს. ჩემი თანხით არც მითამაშია, მათ მათამაშეს. წარმოდგენა არ მქონდა, რა უნდა მექნა, მაგრამ **რამდენიმე ათასი დოლარი მოვიგე, იმხელა თანხა იყო, სამმა მეგობარმა გავიყავით.** კარგად, გემრიელად გამოვიყენე, მაგრამ **ამ ცდუნებას არ ავყოლილვარ.**

„თბილისელები“

**ვახტანგ ტატიშვილი**
*მომღერალი*



ლაოსსა და ვიეტნამში მათი ახალი წლის პერიოდში ვიყავით. რატომღაც **ყველა წყალს ასხამდა ერთმანეთს,** ასეთი ტრადიცია ჰქონიათ. გატარებული ხორცისგან გაკეთებული **იხვი მოგვიტანეს**. რომ გეახელით, გვითხრეს, რომ **ძაღლის ხორცი გვიჭამია.**

„სარკე“

**ნანუკა კალატოზიშვილი**
*მსახიობი*



**ჩვენ გავილვიძეთ! არ გავჩერდებით! არ გავჩუმდებით! არ დავიღლებით,** იმიტომ, რომ ჩვენ ვართ საქართველო და **ეს ქვეყანა ჩვენია!**

„ახალი თაობა“



# ადამიანთა უმეტესობა ერთგვარ „ასტრალურ ნისლში, ბურუსში“ აღმოჩნდება!

თებერვლის დასაწყისი საკმაოდ ხელსაყრელია. **12 თებერვლამდე დედამიწა ჰარმონიული და შემოქმედებითად დადებითია კოსმოსური გავლენის ზონაში.** ამ „სფეროების მუსიკა“ ბევრ ადამიანს მისცემს შესაძლებლობას, იმოქმედონ უფრო თავდაჯერებულად და ნაყოფიერად. ამიტომ ეს პერიოდი უნდა გამოიყენონ მთავარი მიზნების მისაღწევად. ინვესტიციები იქნება ძალიან წარმატებული, აქციების ფასები, ბიზნესაქტივობა გაიზრდება საერთაშორისო ბირჟებზე, საერთაშორისო პოლიტიკურ ასპარეზზე კომპრომისული შეთანხმებები მიიღწევა, ძველი კონფლიქტები მოგვარდება. **4 თებერვლიდან პლანეტა ვენერა ვერძის** ნიშანში შევა, ხოლო პლანეტა **იუპიტერი** დირექტიული გახდება. პლანეტა **მერკური,** რომელიც **14 თებერვლამდე** იქნება **მერწყულის** ზოდიაქოში, ააჩქარებს კომუნიკაციის დინამიკურ ტემპს პრინციპით „დრო არ იცდის“. **14 თებერვლიდან** პლანეტა **მერკური თევზებში** შევა, რაც თვის მეორე ნახევარში გაზრდის უარყოფით კოსმიურ გავლენას. ყველაზე რთული პერიოდი **17-დან 25 თებერვალამდეა,** ბიზნესაქტივობა მკვეთრად შემცირდება. ამ პერიოდში **თევზების** ნიშანში მდებარე **მზისა და პლანეტა ნეპტუნის** აქტიური გავლენის გამო, ადამიანთა უმეტესობა ერთგვარ „ასტრალურ ნისლში, ბურუსში“ აღმოჩნდება. გაიზრდება დაღლილობა, შესუსტდება იმუნიტეტი, ინფექციები გამძაფრდება. არასტაბილურობა პოლიტიკურ ასპარეზზე გართულდება, მოსალოდნელია სამხედრო გადატრიალებები არასტაბილური მთავრობების მქონე ქვეყნებში. **26-27 თებერვლიდან** მდგომარეობა გამოსწორდება. ამას ხელს შეუწყობს დედამიწის ბიოსფეროს უფრო მშვიდი ფონი და პლანეტა **მარსის** პირდაპირი გავლენა **24 რიცხვიდან.** ეს გავლენები უბიძგებს ადამიანებს ცვლილებებისკენ, დაეხმარებათ ჰარმონიულ კომუნიკაციაში, ასევე რომანტიკული ურთიერთობების სფეროში. ამიტომ ეს პერიოდი ძალიან ხელსაყრელია ძველი ურთიერთობის დასასრულებლად და ახალი ურთიერთობის დასაწყებად, ასევე პარტნიორული ურთიერთობის ნებისმიერი ცვლილებისთვის. **20 თებერვლიდან მზე** შევა **თევზების** ნიშანში და თავისი ენერგიებით მხარს დაუჭერს იქ მდებარე პლანეტებს — **მერკურს, ნეპტუნსა და სატურნს,** რაც საშუალებას მისცემს **27 რიცხვიდან** შექმნას უფრო მაღალი ბიოპოტენციალი და პირობები შემოქმედებისთვის.

## 3 - 9 თებერვლის ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** (21.03-20.04)
საკმაოდ ხელსაყრელი თვეა. პირველ დეკადაში შეკრებთ გუნდს და განახორციელებთ ახალ პერსპექტიულ პროექტებს, ასევე წრეში გეყოლებათ ადამიანი-თილისმა, რომელიც მოგიტანთ ახალ იდეებსა და დიდ იღბალს. აქტიურად უნდა გააფართოოთ საქმიანი და სოციალური კავშირები, განიხილოთ სიტუაცია, ისაუბროთ გეგმებზე, რადგან თქვენ მოგისმენენ. დღეს მოერიდეთ ქორწინებას, საფინანსო ოპერაციებს, კაპიტალდაბანდებას, ხელშეკრულების დადებას. კარგი პერიოდია ექსკურსიებისა და ტურისტული ლაშქრობისთვის, მგზავრობა-მოგზაურობისთვის.

**კურო** (21.04-20.05)
ენერგიის ნაკლებობას განიცდით, თუმცა, ხელსაყრელი სიტუაციები და მოვლენები მაინც გექნებათ — ფინანსური წარმატება, ახალი პერსპექტიული პროექტების დაწყება და მნიშვნელოვანი შენაძენები. უნდა შეიკავოთ იმპულსები. არ დააჩქაროთ ხელოვნურად მოვლენები, ასევე თავი შეიკავეთ მკაცრი განცხადებებისა და რადიკალური წინადადებისგან. იყავით ყურადღებით თქვენს პარტნიორულ ურთიერთობაში — ეცდებიან პრობლემის წარმოქმნას. მაღალია გაცივების ალბათობა, აკონტროლეთ საფულე. კარგი პერიოდია კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მგზავრობისთვის.

**ტყუპი** (21.05-22.06)
დინამიკური და პოზიტიური პერიოდია, განსაკუთრებით ინტელექტუალური და სულიერი განვითარებისთვის. დაძაბული პერიოდია კოლეგებთან და მშობლებთან ურთიერთობისთვის. დღეს გაუფრთხილდით პარტნიორულ ურთიერთობებს. მოერიდეთ სარისკო მოქმედებებს, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. აკონტროლეთ საფულე. ცუდი დროა მგზავრობისთვის.

**კირჩხიბი** (23.06-22.07)
ეს პერიოდი დინამიკური იქნება. შეძლებთ ძალიან ეფექტურად მიაღწიოთ დასახულ მიზანს, წარმატებები გელით სამსახურში, თამამად შეცვალოთ გეგმები და პრიორიტეტები. თავს დააღწევთ მსხვილ შეცდომებსაც კი. დეტალურად გაერკვიეთ ყველა იმ საკითხის ნიუანსებში, რომელიც თქვენ გაღიზიანებთ. დაეყრდენით ინტუიციას, სპონტანურ იმპროვიზაციას. კარგია პატიება. კარგი დროა სიყვარულისა და ქორწინებისთვის, ახალი ნაცნობობისთვის, მგზავრობისთვის.

**ლომი** (23.07-23.08)
ხელსაყრელი დროა, როგორც ენერგეტიკული პოტენციალის თვალსაზრისით, ასევე გადაწყვეტილების მისაღებად. დაასრულებთ ისეთ პრობლემებსა და საქმეებს, რომლებიც დიდი ხნის განმავლობაში გაიწელა. გაჩნდება საჭიროება და შესაძლებლობა, მოაგვაროთ ფინანსები, საკამათო საკითხები ურთიერთობებში. შესაძლოა, კარგი პერსპექტივებიც წარმოიშვას, ამიტომ ძველი ვალები და შეუსრულებელი ვალდებულებები შეიძლება გახდეს სერიოზული დაბრკოლება შემდგომი წინსვლისათვის კარიერასა და ბიზნესში.

**ქალწული** (24.08-23.09)
ნუ იჩქარებთ გადაწყვეტილების მიღებისას, მიეცით სიტუაციას თავისით განვითარების შესაძლებლობა. წარმატებები გექნებათ პროფესიულ საქმიანობაში. მიუხედავად დაბალი ენერგიისა, მაინც არ შეანელებთ ტემპს. გამოჩნდება ახალი და საინტერესო საპასუხისმგებლო თემები, რაც საშუალებას მოგცემთ, უფრო წარმატებული გახდეთ ფინანსურად. მგზავრობა მიზანშეწონილი არაა.

**სასწორი** (24.09-22.10)
თავს იგრძნობთ წარმატების მწვერვალზე, რაც გამოიწვევს ცხოვრებისეულ ცვლილებებსა და სერიოზულ გარდაქმნებს. მოგეცემათ საუკეთესო შესაძლებლობა, გამოავლინოთ საკუთარი ნიჭი და უნარები, გახდეთ შთაგონება სხვებისთვის, ასევე სამართლიანი — მოსამართლეებისთვის. ხელსაყრელი დროა პრობლემების მოსაგვარებლად, ახალი იდეებისა და ჰობის აღმოსაჩენად.

**ღრიანკალი** (23.10-22.11)
ხელსაყრელი პერიოდია ოჯახში სასიხარულო და პოზიტიური ცვლილებებისთვის. შეგემატებათ თავდაჯერებულობა და კომფორტი. შეძლებთ მნიშვნელოვან შესყიდვებს და წარმატებით მოაგვარებთ საშინაო საქმეებს. ხელსაყრელი პერიოდია ოჯახის შესაქმნელად, უძრავი ქონებისა და ახალი მეგობრების შესაძენად. კარგი პერიოდია შემოქმედებითი მუშაობისთვის, ვაჭრობისთვის, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის, ტრადიციების ჩასაღრმავებლად, ბავშვის ჩასახვისთვის. დაპირებებს ნუ გასცემთ.

**მშვილდოსანი** (23.11-21.12)
ძალიან წარმატებული პერიოდია. გააძლიერებთ პარტნიორებთან ურთიერთობას, რისი წყალობითაც გააფართოვებთ საქმიან და პირად კავშირებს, მოიპოვებთ თვითრეალიზაციის შესაძლებლობებს. კარგი პერიოდია საკუთარი გუნდის შესაქმნელად, კონტრაქტებისა და ხელშეკრულების გასაფორმებლად, მაგრამ არ უნდა იჩქაროთ ძველი კავშირების გაწყვეტაზე. თქვენს წარმატებას დიდწილად უზრუნველყოფს ძლიერი ოჯახური ურთიერთობები და საყვარელი ადამიანების მხარდაჭერა.

**თხის რქა** (22.12-19.01)
ფინანსურად ძალიან წარმატებული პერიოდია. ახალ პერსპექტიულ პროექტებში დაინახავთ არამხოლოდ მოგების გაზრდის შესაძლებლობას, არამედ მიიღებთ მორალურ კმაყოფილებას როგორც პროცესისგან, ასევე შედეგებისგან. იმუშავებთ შრომისმოყვარეობით და ნაყოფიერად, მაგრამ მნიშვნელოვანია, არ გადააჭარბოთ უფლებამოსილება და ძალაუფლება ბოროტად არ გამოიყენოთ.

**მერწყული** (20.01-18.02)
ეს პერიოდი ძალიან წარმატებულია, იგრძნობთ შთაგონებას, ახალი იდეებით, ადამიანებით, კომუნიკაციით, ბევრ საქმეს გაუმკლავდებით. ნუ გარისკავთ, ზედმეტად დახარჯოთ ენერგია ბრწყინვალე მომავალზე ფიქრში. სასიკეთო დღეა ტრადიციებში ჩასაღრმავებლად, პატრიოტიზმის გამოსავლენად, საოჯახო-სანათესაო ურთიერთობისთვის.

**თევზები** (19.02-20.03)
მიუხედავად დაღლილობის შეგრძნებისა, მოგეცემათ საუკეთესო შესაძლებლობა, მოაგვაროთ პრობლემები და წარმატებით დაასრულოთ რამდენიმე პროექტი. შეძლებთ ოცნებების რეალიზებას, დიდი ხნის დაგეგმილი სახლის შესყიდვას. მოსალოდნელია კონფლიქტები, სასიყვარულო ურთიერთობაში მეტი ტაქტი და მოთმინება გმართებთ. კარგი დროა მოგზაურობისთვის. ჯანმრთელობის გასაკაჟებლად კარგია ვარჯიში.

## მიმდინარე კვირის გეომაგნიტური დღეებია 4, 5, 6 და 9 თებერვალი

**12 თებერვალი — სავსემთვარეობა;**
**28 თებერვალი — ახალმთვარეობა**

## საეკლესიო კალენდარი

**3 თებერვალი. ორშაბათი. ღირსისა მაქსიმე აღმსარებელისა;** მოწამისა ნეოფიტესი, რომელი იყო ნიკია ქალაქით ბითვინიისა; მოწამეთა: ევგენი ტრაპეზუნტელისა და მის თანა უალერიანესი, კანდიდოსი და აკვილასი; ქალწულმოწამისა აგნია რომაელისა; მოწამისა ანასტასისა, მაქსიმე აღმსარებელის მოწაფისა; **ყოველთა მოწამეთა, რომელნი სტეფანესითგან ვიდრე დღენდელად დღემდე წამებულ არიან კეთილითა წამებითა ყოველსა სოფელსა, წმინდა პატრიარქ კალისტრატესი (ცინცაძე).**

✝ **4 თებერვალი. სამშაბათი.** მოციქულისა 70-თაგანისა ტიმოთესი; ღირსმოწამისა ანასტასი სპარსისა; მოწამეთა: მანუელ, გიორგი, პეტრე და ლეონტი ეპისკოპოსთა, სიონი, გაბრიელ, იოანე, ლეონტი და პაროდი ხუცესთა და სხვათა 368-თა; მღვდელმოწამისა ბიკენტი დიაკონისა, სარაგოსელისა; ღირსისა იოსებ კრეტელისა, განწმედილისა.

✝ **5 თებერვალი. ოთხშაბათი.** კლიმენტი ანკვირელი ეპისკოპოსისა და მოწამისა აგათანგელოზისა; ღირსისა მავსიმე ასურისა; ღირსისა სალამან მდუმარისა. პავლინე მოწყალისა, ნოლანელი ეპისკოპოსისა. ხსენება წმიდათა მამათა, რომელნი შეიკრიბნენ მე-6 მსოფლიო კრებაზე; ღირსისა ევსევი ასურისა; ორთა მოწამეთა კვიზიკელთა; აქოლე თესალონიკელი ეპისკოპოსისა.

✝ **6 თებერვალი. ხუთშაბათი. წმ. მელქისედეკ I-სა, საქართველოს პირველი კათოლიკოს-პატრიარქისა, სვეტიცხოვლის განმაახლებელისა;** ღირსისა ევსებია დედათდიაკონისა, რომელსა ეწოდა ქსენია, რომაელისა და ორთა მსახურთა მისთა. მოწამეთა: ბაბილა სიცილიელისა და მოწაფეთა მისთა ტიმოთესი და აგაპისა; ღირსისა მაკედონისა, სირიელი მეუდაბნოისა.

✝ **7 თებერვალი. პარასკევი.** გრიგოლ ღმრთისმეტყველისა, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა; გაბრიელისა, იმერეთის ეპისკოპოსისა; მოწამისა ფილიცატასი; ღირსისა პოპლისა; ღირსისა მარი მგალობელისა.



**7 თებერვალი - ხსენება გრიგოლ ღმრთისმეტყველისა, კონსტანტინოპოლელი მთავარეპისკოპოსისა**

✝ **8 თებერვალი. შაბათი. კეთილმსახურისა მეფისა დავით აღმაშენებელისა;** ღირსთა: ქსენოფონტისა, მეუღლისა მისისა მარიამისა და ძეთა მათთა არკადისა და იოანესი. მოწამეთა: ანანია ხუცისა, პეტრე მეჰურჰლისა და მათთანა შვიდთა მხედართა, რომელნი იტანჯნეს ფინიკეს; ღირსისა სვიმეონ ძველისა, სინელისა.

✝ **9 თებერვალი. კვირა. მეზვერისა და ფარისევლის კვირიაკე. კრება ახალმოწამეთა და აღმსარებელთა. იოანე ოქროპირის წმიდათა ნაწილთა აღყვანება აფხაზეთის კომანიდან კონსტანტინოპოლს;** კეთილმორწმუნისა დედოფლისა მარკიანასი; ელიასი, იერუსალიმელი პატრიარქისა; ღირსისა პეტრე მეგვიპტელისა; მოწამისა დიმიტრისა კონსტანტინეპოლში; დიმიტრიანესი, ტამასოს ეპისკოპოსისა, სასწაულმოქმედისა.

## 3 თებერვალი, ორშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.11 საათზე. ჩადის 17.19 საათზე. **მთვარე** ვერძის ზოდიაქოშია. ამოდის 09.39 საათზე, ჩადის 23.20 საათზე (მთვარის მე-6 იწყება 10.54 საათზე. პირველი ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 14.21 საათიდან 24.00 საათამდე. **ტენდენციები:** დღეს გადაღლას უნდა მოერიდონ მერწყულის, თევზების, ვერძისა და კუროს ზოდიაქოს ნიშნით დაბადებულები, რათა შეცდომები არ დაუშვან და ჯანმრთელობა არ დაიზიანონ. მოერიდეთ სტომატოლოგიურ პროცედურებს, თმის შეჭრას, წესების დარღვევას (დაჯარიმდებით), კამათს, ეგოიზმს. აკონტროლეთ პარტნიორული ურთიერთობები — აგრესია, ემოცია. ნუ გადაღლით თვალებს. ეფექტურია თირკმლების, შარდსასქესო სისტემის, ყელის მკურნალობა. კარგი დღეა სწრაფად შესრულებადი საქმეებისთვის, ტექნიკასთან ურთიერთობისთვის, ხელმძღვანელებთან კონტაქტისთვის, ტანსაცმლის, ავეჯის, საყოფაცხოვრებო ნივთების, ცეცხლსასროლი იარაღის, მჭრელი საგნების, სპორტული ატრიბუტიკის შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია თავი, სისხლძარღვები, თვალები, გრძნობათა ორგანოები. **ქვები:** ძოწი, წითელი იასპი, იაგუნდი, ქარვა. **ფერები:** წითელი, ყვითელი, ნარინჯისფერი, ლურჯი, ცისფერი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 4 თებერვალი, სამშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.10 საათზე, ჩადის 17.20 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს კუროს ზოდიაქოში. ამოდის 10.04 საათზე, ჩადის 23.59 საათზე (მთვარის მე-7 დღე იწყება 11.02 საათზე. პირველი ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 01.00 საათიდან 07.35 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** დღეიდან 27 მარტამდე პლანეტა **ვენერა** გადაინაცვლებს **ვერძის** ზოდიაქოში (11.58) და ამ ზეგავლენის შედეგად მეტად განავითარებს ურთიერთობებში აქტიურობას, მებრძოლ სულისკვეთებას, დამოუკიდებელ მოქმედებას, ორგანიზაციულ შესაძლებლობას, კეთილშობილებას, გონებამახვილობას, ამავდროულად განავითარებს კამათისადმი მიდრეკილებას, სულსწრაფობას, ეგოიზმს, უყაირათობას, აგრესიას, დიქტატორულ თვისებებს. კარგია დღეა კონტაქტებისთვის, ამავდროულად, ნუ იჭორავებთ და შეუსრულებელ დაპირებებს ნუ გასცემთ. მოერიდეთ ხალების, პაპილომების მოშორებას, კისრის მკვეთრ მოძრაობებს, ორპირ ქარს, ცივ გაზიან სასმელს, სარისკო მოქმედებებს, სულსწრაფ გადაწყვეტილებებს. სასიკეთო დღეა მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის, ქორწინებისთვის, მეგობრებისთვის, საყიდლებისთვის, ვაჭრობისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ზურმუხტი, მარგალიტი, ონიქსი. **ფერები:** ყავისფერი, ლიმონისფერი, მწვანე, ლურჯი, ტერაკოტა, ბეჟი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულისთვის.

## 5 თებერვალი, ოთხშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.09 საათზე, ჩადის 17.22 საათზე. **მთვარე** კუროს ზოდიაქოშია. ამოდის 10.33 საათზე, ჩადის 00.36 საათზე (მთვარის მე-8 დღე იწყება 11.14 საათიდან. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** გამარჯვების მმართველი პლანეტა **იუპიტერი** ხდება დირექტიული (წინმავალი) **ტყუპების** ზოდიაქოში და ამით ხელს შეუწყობს ახალ საკანონმდებლო აქტებს და მათ რეალიზაციას, იურიდიული საკითხების გადაწყვეტას, მგზავრობა-მოგზაურობას, უცხოელებთან ურთიერთობას, სპორტულ ღონისძიებებს, საგანმანათლებლო და რელიგიური საქმეების, აგრეთვე ტურიზმის განვითარებას, პოლიტიკურ საქმიანობას. მოერიდეთ ცივ გაზიან სასმელებს, ორპირ ქარს, ხალების, პაპილომების მოშორებას, კისრის მკვეთრ მოძრაობებს, ყურების გახვრეტას. ცუდი დღეა ტანსაცმლის, ფეხსაცმლის, პარფიუმერიის, კოსმეტიკის, ავეჯის, ცხოველების შესაძენად, მშენებლობისთვის, დიზაინისთვის, კულტურულ-გასართობი ღონისძიებებისთვის, მგზავრობისთვის, შემოქმედებითი მუშაობისთვის, მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ყელი, ენდოკრინული სისტემა, სწორი ნაწლავი. **ქვები:** აქატი, მალაქიტი, ქრიზოპრაზი, მარგალიტი, ზურმუხტი. **ფერები:** ყავისფერი, ლიმონისფერი, კრემისფერი, მწვანე, ტერაკოტა. **პოზიტიური დღეა** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის.

## 6 თებერვალი, ხუთშაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.08 საათზე. ჩადის 17.23 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს ტყუპების ზოდიაქოში. ამოდის 11.08 საათზე, ჩადის 01.53 საათზე (მთვარის მე-9 დღე იწყება 11.32 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 07.31 საათიდან 10.45 საათამდე. **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მოერიდეთ სიყვარულს და ქორწინებას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, სამსახურში ახალი თანამშრომლების მიღებას, რემონტის დაწყებას, მანიკიურს, პედიკიურს, თმის შეჭრა-შეღებვას, საიდუმლოს გათქმას, ახალი საქმის დაწყებას, უჰაერო სივრცეებს, თამბაქოს. მაღალია დაცინვის, ჭორების, ინტრიგების, მოტყუების, ქურდობის ალბათობა. ძილის წინ ზედმეტი ინფორმაციით ნუ გადაღლით ტვინს. შვიდჯერ გაზომეთ, ერთხელ გაჭერით, სანამ რაიმეს იტყვით, ნუ ჩქარობთ. სასიკეთო დღეა ტელევიზორის, ტელეფონის, კომპიუტერის და სხვა საკომუნიკაციო სისტემების შესაძენად, აუქციონებისა და კონფერენციებისთვის, რეკლამისთვის, ახალი კავშირებისა და მოლაპარაკებებისთვის, გაცვლითი ოპერაციებისთვის, მიმოწერისთვის, სწავლისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, მშენებლობისთვის, ცხოველთა ჩუქებისთვის, ხელშეკრულების დასადებად, კონტაქტებისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, ხელები, მხრები. **ქვები:** ტოპაზი, ჰიაცინტი, ჰელიოტროპი, ამაზონიტი, ლაბრადორი, აქვამარინი. **ფერები:** ნაცრისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ნარინჯისფერი, ცისფერი. **პოზიტიური დღეა** ვერძისთვის, ტყუპებისთვის, მერწყულისთვის. **ნეგატიურია** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის.

## 7 თებერვალი, პარასკევი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.07 საათზე, ჩადის 17.24 საათზე. **მთვარე** ტყუპების ზოდიაქოშია. ამოდის 11.53 საათზე, ჩადის 03.08 საათზე (მთვარის მე-10 დღე იწყება 12.01 საათზე. მე-2 ფაზა). **ტენდენციები:** მოერიდეთ რემონტის დაწყებას, თამბაქოს, მანიკიურის, პედიკიურის გაკეთებას, დაპირებების გაცემას, ზედმეტ ლაპარაკს და საიდუმლოს გათქმას, თმების შეჭრა-შეღებვას, სიყვარულს და ქორწინებას, პარტნიორულ თანამშრომლობას, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვას, სამსახურში თანამშრომლების მიღებას, ახალი საქმის დაწყებას, ძილის წინ გონების გადაღლას ზედმეტი ინფორმაციით. მოიმატებს ტყუილების, დაცინვის, ჭორების, ქურდობის, ინტრიგების ალბათობა. პოზიტიური დღეა ტელევიზორის, ტელეფონის და სხვა საკომუნიკაციო აპარატურის შესაძენად, კონტაქტებისა და მოლაპარაკებებისთვის, რეკლამისა და კონფერენციებისთვის, აუქციონებისთვის, სავაჭრო გარიგებებისთვის, სწავლისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, მშენებლობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის, მგზავრობა-მოგზაურობისთვის, ხელშეკრულების დასადებად, მიმოწერისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, მხრები. **ქვები:** აქვამარინი, ტოპაზი, ჰიაცინტი, ამაზონიტი, ლაბრადორი. **ფერები:** ნაცრისფერი, ყვითელი, კრემისფერი, ცისფერი, ნარინჯისფერი. **პოზიტიური დღეა** ლომისთვის, სასწორისთვის, მშვილდოსნისთვის. **ნეგატიურია** კუროსთვის, კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის, თევზებისთვის.

## 8 თებერვალი, შაბათი

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.05 საათზე, ჩადის 17.25 საათზე. **მთვარე** გადაინაცვლებს (15.04) კირჩხიბის ზოდიაქოში. ამოდის 12.47 საათზე, ჩადის 04.17 საათზე (მთვარის მე-11 დღე იწყება 12.49 საათზე. მე-2 ფაზა). **მიმართულებადაკარგული მთვარის** პერიოდია 11.53 საათიდან 15.05 საათამდე. **ტენდენციები:** რთულ სიტუაციაში აიღეთ პაუზა საკამათო საკითხის უკეთ შესწავლისთვის. ნეგატიურია დღის პირველი ნახევარი — რემონტის დასაწყებად, მანიკიურ-პედიკიურის გასაკეთებლად, ზედმეტი ლაპარაკისა და საიდუმლოს გათქმისთვის, ქორწინებისთვის, უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისთვის, ახალი საქმის დასაწყებად. პარტნიორულ ურთიერთობაში მოიმატებს ზედაპირულობა, საღამოს კი — ემოციურობა. მაღალია მოტყუების, ქურდობის, დაცინვის, ჭორების, ინტრიგების ალბათობა. სასიკეთოა დღის პირველი ნახევარი სწავლისთვის, კონტაქტებისა და მოლაპარაკებებისთვის, რეკლამისა და აუქციონებისთვის, კონფერენციებისთვის, სავაჭრო გარიგებებისთვის, ხელშეკრულებისთვის, საქმიანი შეხვედრებისა და მიმოწერისთვის, საბანკო ოპერაციებისთვის, მშენებლობისთვის, სამეცნიერო კვლევისთვის. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია ფილტვები, ბრონქები, კუჭი, მკერდი, ხელები. **ქვები:** ტოპაზი, აქვამარინი, ამაზონიტი. **საღამოს** — ზურმუხტი, რაუხტოპაზი. **ფერები** — ნაცრისფერი, ყვითელი, ნარინჯისფერი, კრემისფერი. **საღამოს** — თეთრი, მწვანე, იისფერი. **პოზიტიური დღეა** ქალწულისთვის, ღრიანკალისთვის. **ნეგატიურია** ვერძისთვის, ტყუპებისთვის.

## 9 თებერვალი , კვირა

**მზე** იმყოფება მერწყულის ზოდიაქოში. ამოდის 07.04 საათიდან 17.27 საათამდე. **მთვარე** კირჩხიბის ზოდიაქოშია. ამოდის 13.51 საათიდან, ჩადის 05.16 საათამდე (მთვარის მე-12 დღე იწყება 13.58 საათიდან. მე-2 ფაზა). **გეომაგნიტური დღეა. ტენდენციები:** მოერიდეთ უარყოფით ემოციებს, ცუდ აზრებს, შიშებს, კომპლექსებს. ეცადეთ, შეინარჩუნოთ კარგი განწყობა. კარგია აბაზანა, არომათერაპია, კულინარია, ფოტოგრაფია, შემოქმედებითი მუშაობა. მოერიდეთ ქარიზმებს, სახლის მშენებლობის დაწყებას, ადგილსამყოფლის (ბინის) შეცვლას, სესხის აღებას, დაპირებების გაცემას. პარტნიორულ უსაფრთხოებაში მოიმატებს ეჭვიანობა, უნდობლობა. კარგია მცენარეების დარგვა-გადარგვისთვის და მორწყვისთვის, საყიდლებისთვის, ვაჭრობისთვის, ხალხური შემოქმედებისა და მათი ნივთების შესაძენად, საოჯახო-საყოფაცხოვრებო საქმეებისთვის, ცხოველების შესაძენად. **ჯანმრთელობა:** დასუსტებულია კუჭი, მკერდი, ღვიძლი, ნაღვლის ბუშტი. **ქვები:** ზურმუხტი, რაუხტოპაზი, აქატი, ოპალი, მარჯანი. **ფერები:** თეთრი, მწვანე, იისფერი, ვერცხლისფერი, ცისფერი. **პოზიტიური დღეა** კირჩხიბისთვის, თხის რქისთვის. **ნეგატიურია** ლომისთვის, სასწორისთვის.

IWAY.GE
შპს «აივეი»


გთავაზობთ
ბეტონის მშრალი იატაკის დამცავ და წყალგაუმტარ ლაქს შიდა და გარე გამოყენებისათვის
უზრუნველყოფს ბეტონის ზედაპირის დაცვას ამტვერებისაგან და მექანიკური ზემოქმედებისაგან ქარხნებში, საწყობებში, პარკირების ადგილებში, საფეხმავლო ბილიკებსა და ტროტუარებზე. ხელს უშლის ბზარების გაჩენას, არ შეიცავს ტოქსიკურ ნივთიერებებს, მედეგია ქიმიკატების მიმართ.
თბილისი, აგლაძის №32, მაღაზია 29
+995 511 239 088, +995 591 502 580
info@iway.ge


მაღაზია «ბუკვიცა»
ყიდულობს და ყიდის რუსულ და ქართულ ანტიკვარულ წიგნებს, დაბეჭდილს1945 წლამდე
574-73-46-96, 243-01-17, 555-68-82-90
მისამართი: დ.უზნაძის №15, ქურდიანის №2.

იმედის კლინიკა
თბილისი, დიდი დიღომი, მირიან მეფის 10ა
imediclinic.com

* ორსულ ქალთა კონსულტაცია
* სამშობიარო სახლი
* პედიატრიული კლინიკა
* გინეკოლოგიური დეპარტამენტი
პროფესიონალიზმი, უახლესი აპარატურა, ოჯახური გარემო
სამშობიარო:
032 229-56-50
პედიატრიული კლინიკა:
032 223-85-80

საქართველო- ისრაელის ერთობლივი კლინიკა


გიდმედი
გქონდეთ ჩვენი იმედი!
ნებისმიერი ქირურგიული და უროლოგიური პათოლოგია
თბილისი, ლუბლიანას ქ. 2/6, მეხუთე სართული. 591 35 33 55

მადლობა მკურნალ ლამარა თოდუას!
თოდუების საგვარეულო მალამოებითა და წამლებით ქალბატონმა ლამარამ ათასობით ადამიანი გამოაჯანმრთელა. ის 100-პროცენტიანი გარანტიით კურნავს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, დარჩენილ ნაწიბურებს, ნაწოლებს, გამაგრებულ ნანემსრებს, თმის ბუდობრივ ცვენას, ბუასილს, ბულძმარვას, კუჭის წყლულს, დისბაქტერიოზს (შეკრულობას, აშლილობას), თმის ჩაბრუნებას. მისი მალამოები სწრაფად შეგიხორცებთ დაჩირქებულ ჭრილობებს (დიაბეტიანებს), მოგირჩენთ ჰაიმორიტს (ქრონიკულს), მოგაშორებთ ქერტლს, ტილებს (ერთი პროცედურით), სწრაფად და წარმატებით კურნავს სოკოვან დაავადებებს, ფრჩხილების გასქელებას, დახეთქილ ქუსლებს, ჩირქოვან გამონაყარს კანზე, მწერების ნაკბენს (პირველივე წასმაზე ქრება ქავილიც და სიწითლეც).
ტელეფონები: 599-16-10-82, 593-99-62-52, 230-62-52

### 32-ე გვერდზე გამოქვეყნებული ლენტვორდებისა და კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 4. კამბალა; 9. მესა; 11. კაბალეტა; 12. რურკი; 13. რეკლამა; 14. ნერუ; 15. პიციკატო; 16. ბანდა; 17. დრაჟე; 18. რუბი; 19. ტაბურეტი; 20. თოიძე; 21. ნანკინი; 23. თონე; 24. დინამიკა; 28. სინი; 30. ფაზენდა; 32. კაი; 34. დივიდენდი; 35. დიკლო; 36. ზანდუკი; 37. ტიპიკონი; 40. ლიეპაია; 41. კაინიტი; 44. ტამპონადა; 46. მიმიკა; 48. პერანგი; 49. წიწაკა; 52. ნაგანი; 54. ეტიუდი; 55. მოლეკულა; 56. ზამბია; 57. სარი; 58. ალანია.

შვეულად: 1. მარიფათი; 2. კალიგულა; 3. დედაბერი; 4. კაროლინა; 5. მაკედონია; 6. არარატი; 7. არაბეთი; 8. ტრანზიტი; 9. მინარეთი; 10. სარაბანდა; 22. ნანსუკი; 24. დოდე; 25. ნივთი; 26. მადლი; 27. კანჯო; 28. სადილი; 29. ნაკრები; 30. ფიზიკა; 31. ზანგი; 32. კოზაკი; 33. ისპანახი; 37. ტრაპი; 38. პეპია; 39. კენია; 42. ნარგიზი; 43. ტანდემი; 45. დელტა; 46. მინდია; 47. მაგო; 48. პაუზა; 49. წამი; 50. წილი; 51. კუკი; 53. ნატი; 54. ელი.

ტოსკანადალიდარაბატიხარიხაბაზიერინიაზიდანი
ფარაჯაგერილიანოსირიფიგაროტენორისინემანინო

| ქალაქი იტალიაში | ფრანგი მომღერალი ქალი | საქონელზე ფასჩამოკლება მუდმივი პარტნიორისთვის | მოაჯირის ნაწილი | ქორ-შევარდენთა სანადიროდ დაგეშვა | ტაჯიკი მწერალი | ოსტატობის ხარისხი ძიუდოში |
|---|---|---|---|---|---|---|
| პუჩინის ოპერა | ესპანელი ჩოგბურთელი | ფანჯრის ხის საფარი | თხელი გამყოფი კედელი ოთახში | პურის მცხობელი | შურისმაძიებელი ქალღმერთი ბერძნულ მითოლოგიაში | ფრანგი ექს-ფეხბურთელი |




**თარაზულად:** 4. ზღვის ბრტყელი თევზი, რომელსაც ორივე თვალი ერთ მხარეს აქვს; 9. კათოლიკური წირვა; 11. კავატინა; 12. ამერიკელი მსახიობი მიკი ...; 13. ღონისძიება მომხმარებელთა, მაყურებელთა მოზიდვის მიზნით; 14. ინდოელი ჯავაჰარლალ ...; 15. თითის ამოკვრით, უხემოდ დაკვრა ხემიანი საკრავისა; 16. ყაჩაღთა ჯგუფი; 17. ერთგვარი წვრილი კანფეტი; 18. კენედის მკვლელის მკვლელი; 19. უზურგო სკამი; 20. ქართველი მხატვარი; 21. ქალაქი ჩინეთში; 23. ქართული პურის საცხობი; 24. მექანიკის დარგი; 28. ლანგარი; 30. ბრაზილიური რანჩო; 32. გერდას მეგობარი ბიჭუნა („თოვლის დედოფალი“); 34. აქციონირების მოგების ნაწილი დაბანდებული კაპიტალის შესაბამისად; 35. სოფელი ახმეტის რაიონში; 36. სკივრი; 37. საეკლესიო წესების კრებული; 40. ქალაქი ლატვიაში; 41. სასასუქე მინერალი; 44. ტამპონის ჩადება ჭრილობაში; 46. სახის კუნთების მოძრაობა, გამოხატავს ადამიანის გრძნობებს, განწყობილებას; 48. გრიგოლ რობაქიძე — „გველის ...“; 49. მწარე ბოსტნეული; 52. ხელით სასროლი იარაღი; 54. სავარჯიშო მუსიკალური პიესა; 55. ნივთიერების უმცირესი ნაწილაკი; 56. აფრიკის სახელმწიფო; 57. ინდოელი ქალების სამოსი; 58. ოსეთი.

**შვეულად:** 1. შნო, მოხერხება; 2. რომის იმპერატორი; 3. მოხუცი, ბებერი ქალი; 4. აშშ-ის შტატი; 5. ევროპის სახელმწიფო (დედაქალაქი სკოპიე); 6. სომხეთის საფეხბურთო კლუბი; 7. აზიის სახელმწიფო საუდის ...; 8. ტვირთის გადაზიდვა ან მგზავრათა გადაყვანა ერთი პუნქტიდან მეორეში გზაზე მდებარე პუნქტების გავლით; 9. მეჩეთის კოშკი; 10. ძველებური ესპანური ცეკვა; 22. ბამბის წმინდა ქსოვილი; 24. ფრანგი მწერალი; 25. საგანი; 26. კეთილი საქმე; 27. პატარა ნიჩბიანი ნავი; 28. შუადღის პურის ჭამა; 29. სხვადასხვა გუნდიდან შერჩეულ სპორტსმენთაგან შედგენილი გუნდი; 30. საბუნებისმეტყველო მეცნიერება; 31. შავკანიანი; 32. აქლემის ნაშიერი; 33. ფოთლოვანი ბოსტნეული მცენარე; 37. თვითმფრინავის კიბე; 38. თამროს მამა („გლახის ნაამბობი“); 39. აფრიკის სახელმწიფო; 42. ერთგვარი ყვავილი; 43. ორადგილიანი ველოსიპედი; 45. ბერძნული დ-ს სახელი; 46. ვაჟა-ფშაველას „გველისმჭამელის“ პერსონაჟი; 47. აფრიკული უკუდო მაიმუნი; 48. რისამე დროებითი შეწყვეტა; 49. წუთის 1/60; 50. რისამე გარკვეული ნაწილი; 51. ინგლისელი ზღვაოსანი; 53. ზამში; 54. ინგლისური ლუდი.

*კროსვორდისა და ლენტვორდების პასუხები იხ. 31-ე გვერდზე*

| მაზარა | პარტიზანული ომის სახელი ესპანეთში | სოფელი სენაკის რაიონში | სევილიელი დალაქი (ლიტ.) | კაცის სასიმღერო ხმა | კინოს ძველი სახელი | ჩვენი განმანათლებელი წმინდანი |
|---|---|---|---|---|---|---|
| ცხვრის ჯოგი | მუსიკოსი მიკ ... | სავანის ტიპი | წყალქვეშა კლდე | დასჯა დახრჩობით ესპანეთში | მსახიობი ჩაკ ... | მდინარე ლიეტუვაში |
| იაპონური თეატრი | | | | | | |

## ვარსკვლავები (არ) ხუმრობენ...

სასიამოვნო, სასიკეთო დღე.

პლანეტების ზეგავლენა არაკეთილსასურველია. მნიშვნელოვანს ნურაფერს მოიმოქმედებთ და ნურც ახალ საქმეს წამოიწყებთ.

მოთმინება, თავშეკავება და განსჯის უნარი გამოიჩინეთ.

ნურავის ენდობით, შეიძლება მოგატყუონ. სიფრთხილე გამოიჩინეთ მეგობრებთან და ბავშვებთან ურთიერთობაში.

მოიწყვეთ პირადი ცხოვრება, დახვეწეთ ინტიმური ურთიერთობები, ყველაფერს შემოქმედებითად მიუდექით.

მოვლენათა უეცარი შემობრუნება, ფრიად პერსპექტიული წინადადებები გელით.

მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება, პროფესიული წარმატებები.

მოერიდეთ ურთიერთობას უფროსობასთან და იმ ადამიანებთან, რომელთაც დიდი ზეგავლენა აქვთ თქვენზე. ნუ შეეცდებით, უფრო სოლიდურად გამოიყურებოდეთ.

რთულ მომენტში დახმარებისათვის მეგობრებს, თანატოლებსა და ახლობლებს მიმართეთ.

ნუ გარისკავთ. გაუფრთხილდით ჯანმრთელობას.

შესაძლოა, გქონდეთ სასიამოვნო და საჭირო შენაძენი.




რეკომენდებულია ინიციატივისა და აგრესიულობის გამოვლენა.

შრომისუნარიანობის ამაღლება. შედეგი დიდად არის დამოკიდებული თქვენს შრომისმოყვარეობაზე.

კარგი სიახლენი, საუკეთესო პერსპექტივა და სასიხარულო მოვლენები გელით.

მოერიდეთ კამათსა და კონფლიქტებს. უარი თქვით ალკოჰოლურ სასმელებზე.

წარმატებას გიქადით ნებისმიერი სახის მგზავრობა. ენდეთ საკუთარ ინტუიციას.

სოლიდურ, ცნობილ ხალხთან და უფროსობასთან კონტაქტი სარგებელს მოგიტანთ.

ნუ გაგიტაცებთ პირადი ცხოვრება და შემოქმედება. უფრთხილდით იმედგაცრუებას.

შეძლებისდაგვარად გადადეთ მგზავრობა. მოერიდეთ ჰიპნოზიორებთან და ექსტრასენსებთან ურთიერთობას.

შეგიძლიათ ცოტა გადაჰკრათ კიდეც. სასიამოვნოა პრეზენტაციებსა და პრემიერებზე დასწრება.

გაფრთხილდით კოლეგებთან, ნათესავებთან და მეზობლებთან ურთიერთობისას.

იქონიეთ კონტაქტი ბუნებასთან, მოუარეთ შინაურ ცხოველებს. იყავით კეთილნი და გულმოწყალენი.

დაარსებულია 1992 წლის 3 მარტს
დამოუკიდებელი და ზეპარტიული
ასავალ დასავალი
2025 წლის 3 - 9 თებერვალი №6 (1577)
გამოდის ორშაბათობით

მეღიაჰოლჰინგი "ასავალ-დასავალი". საგამომცემლო სახლი "ასავალ-დასავალი"
მთავარი რედაქტორი ლაშა ნადარეიშვილი
*აზრი დაცულია აბსოლუტური პრივილეგიით. ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელ ავტორთა განწყობა გადამოწმებას არ ექვემდებარება. მასალის დაუბეჭდაობა არ მოტივირდება.*

წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ ფოსტაზე:
mail@asavali.com
„ასავალ-დასავალის“ ვებ-გვერდი ინტერნეტში: www. asavali.com
ოფიციალური გვერდი ფეისბუქზე: www. facebook.com/Asavali.com
გაზეთი დაბეჭდილია „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.


THE FLAG OF THE UNITED STATES OF AMERICA

This is to certify that the accompanying flag was flown over the United States Capitol on April 26, 2007, at the request of the Honorable Frank R. Lautenberg, United States Senator.

This flag was flown for Lasha Nadareishvili, in honor of the 15th anniversary of the newspaper, Asaval-Dasavali.

2007-032096-001 Stephen T. Ayers, AIA
Acting Architect of the Capitol